შაბათის
პალიტრა მედია
# ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 იანვარი **შაბათი** 2010
№011(12999) ფასი 1 ლარი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა




# ალათასა, ბალათასა...

## საქართველო მხურვალე აგვისტოს მოლოდინში




დღეს წილისყრაა >> გვერდი 18



## კობის პირველი ბრძოლა

ევროთასები >> გვერდი 6-9



>> გვერდი 19

## ცინცაძეს დონეცკი დაეშალა

### მორიგი სპეკულაციები

## ჰიდინკი ლივერპულში...





## ბენიტესი იუვენტუსში...

>> გვერდი 13



დღეიდან ლელოში

ბიძინა ბარათაშვილი წარმოგიდგენთ

## იქ, ამერიკაში...

## დღევანდელი ლელო 24-გვერდიანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო




ფოტო: www.fcdinamo.ge

# ახალი სპონსორითა და სხვა სიახლეებით

ორშაბათს თბილისის „დინამო" ორკვირიანი შეკრების ჩასატარებლად თურქეთში მიემგზავრება. ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ანთალიაში, პრესტიჟულ სასტუმრო „კრემლინ პალასში" დაბინავდება. დღეში ორჯერადი ვარჯიშების გარდა, კახა კაჭარავას გუნდი თურქულ შეკრებაზე ხუთ საკონტროლო მატჩსაც ჩაატარებს, თანაც მეტოქეები ერთი-მეორეზე ძლიერი ეყოლება. „დინამოს" სპარინგ-პარტნიორებსა და საერთოდ, ამ „სატრანსფერო ფანჯარაში" გუნდში მომხდარ ცვლილებებზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ; მანამდე კი კლუბის ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ამბავზე უნდა ვთქვათ: გუშინდელი დღიდან თბილისის „დინამოს" გენერალური სპონსორი „ვი-თი-ბი ბანკი" გახდა! უფრო ზუსტად, ამ სოლიდურ ბანკსა და „დინამოს" შორის სასპონსორო შეთანხმება ცოტა ხნის წინათ გაფორმდა; აი, გუშინ კი დილმის საწვრთნელ ბაზაზე, ჟურნალისტების თანდასწრებით ხელშეკრულების გაფორმების პრეზენტაცია შედგა.

**ბუბა ტყავაძე („დინამოს" მმართველი დირექტორი):** *„აქამდე, „ვი-თი-ბი ბანკი" „დინამოს" ერთ-ერთი სპონსორი იყო და ჩვენი ურთიერთობა ჯერ კიდევ წინა სეზონში დაიწყო. დღეიდან კი ეს ძლიერი, საიმედო და პროგრესული ბანკი ჩვენი გენერალური სპონსორი იქნება. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ქართულ საკლუბო ფეხბურთში მსგავსი პრეცედენტი არასდროს ყოფილა, როცა ასეთი სოლიდური ბანკი გუნდის გენერალური სპონსორი ხდება. თანაც, ჩვენი კლუბისთვისაც და ვი-თი-ბი ბანკისათვისაც წინგადადგმული ნაბიჯია და ვისურვებდი, ჩვენ-ჩვენს სფეროში მხოლოდ პირველები ვყოფილიყავით".*

**არჩილ კონცელიძე („ვი-თი-ბი ბანკის" გენერალური დირექტორი):** *„დიდი ხანია პრიორიტეტად ქართული სპორტის გვერდში დგომა ავირჩიეთ - ყველანაირად ვეხმარებით კალათბურთს, ჩოგბურთს. თუმცა ძირითადი აქცენტი მაინც ფეხბურთზე გავაკეთეთ - პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური სპონსორი ვართ და საქართველოს სუპერთასიც ჩვენი პატრონაჟით ტარდება. „დინამოსთან" ამ ეტაპზე ნელინადნახევრიანი კონტრაქტი გავაფორმეთ და არ არის გამორიცხული, ეს ხელშეკრულება მერე კიდევ გაგრძელდეს".*

როგორც ასეთი შინაარსის პრეზენტაციებზეა „მიღებული", ვი-თი-ბი ბანკის გენერალურ დირექტორს არჩილ კონცელიძეს თბილისის „დინამოს" მაისურა საჩუქრად გადაეცა. ასეთივე საჩუქრები მიიღეს ამ ბანკის წარმომადგენლებმაც: **ნინო ბენდელიანმა, კარლო მეზურნიშვილმა, ბექა ჩაკვეტაძემ** და **შოთა გავაშელმა**, რომლებთაც „დინამოს" მაისურები გადასცეს: გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა **ამირან ლიბრაძემ** და ფეხბურთელებმა - **გურამ კაშიამ, გიორგი მერებაშვილმა** და **ედნილსონმა**.

ახლა კი წმინდა საფეხბურთო საკითხებსაც შევეხოთ. მეორე ეტაპისათვის მზადება „დინამომ" უკვე დიდი ხანია დაიწყო და ორი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა („სპარტაკთან" - 1:3, IBSU-სთან - 0:1);

დღეს კი **კახა კაჭარავას** გუნდს ერთობ სერიოზული სპარინგმატჩი ელოდება - რუსთავში, ადგილობრივ „ოლიმპთან"; ორშაბათიდან კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დინამო" ანთალიაში გაემგზავრება და უკვე ცნობილია საკონტროლო მატჩების განრიგიც და მომავალი მეტოქეებიც: 22 იანვარი - „ვორსკლა" (პოლტავა, უკრაინა), 24 იანვარი - „შახტარი" (დონეცკი, უკრაინა), 28 იანვარი - „შახტიორი" (ყარაგანდა, ყაზახეთი), 31 იანვარი - „ტავრია" (სიმფეროპოლი, უკრაინა).

ახლა კი „დინამოს" სატრანსფერო სიახლეებზეც ვთქვათ; პირველ ეტაპთან შედარებით გუნდში გარკვეული ცვლილებები მოხდა: სხვადასხვა მიზეზის გამო „დინამო" დატოვეს **დავით დილმელაშვილმა, გიორგი ნერგაძემ, მილოშ კრშკომ, გიორგი სომხიშვილმა, შოთა ლომიამ** და **ნიკოლოზ ჯიშკარიანმა**.

ჯერჯერობით გაურკვეველია **ლევან ხმალაძის** საკითხი, რომელიც ისრაელის უმაღლეს ლიგაში აპირებს კარიერის გაგრძელებას. რაც შეეხება მატებას, უკვე გადაწყვეტილია სამი ტრანსფერი: ცხინვალის „სპარტაკის" ყოფილი მეკარე **ბექა შეყრილაძე** „დინამოში" სეზონის ბოლომდე ითამაშებს. ასევე ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა „დინამოსთან" **თენგიზ ჩიკვილაძემ** - ეს შედეგიანი მცველი სხვადასხვა დროს წარმატებით თამაშობდა „ამერში", „ოლიმპსა" და „სიონში"; უფრო ხანგრძლივი, სამწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა ნიჭიერ ფეხბურთელთან **გიორგი კახელიშვილთან** - 22 წლის შემტევ მარჯვენაფლანგელს თავისი შესაძლებლობა „ლოკომოტივში", „ოლიმპსა" და „ვიტ ჯორჯიაში" არაერთხელ გამოუვლენია.

რაც შეეხება კიდევ ერთ პოტენციურ ახალწვეულს, **ალექსანდრ კრსტესკის**, უნდა ითქვას, რომ ეს ტანმაღალი მაკედონიელი ცენტრალური მცველი ჯერჯერობით ურიგო შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს. მის გარდა, თურქულ შეკრებაზე „დინამოს" შემადგენლობაში რამდენიმე უცხოელ ფეხბურთელსაც დააკვირდებიან და საერთოდაც, მეორე ეტაპის დაწყებამდე გუნდის შემადგენლობაში ცვლილებებს კიდევ უნდა ველოდოთ. სხვანაირად ვერც იქნება - ჩემპიონატში „დინამო" ამჟამად მეოთხე ადგილზე იმყოფება და ამას მალ-მალე და ხშირ-ხშირად იმიტომ „ვახსენებთ" კლუბის ხელმძღვანელებს, მწვრთნელებსა თუ ფეხბურთელებს, რომ გუნდის ისტორიაში ყველაზე უარესი შედეგი არ უჩვენონ...

**გია ტუხაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

კალენდარი

**III წრე**

**XIX ტური**

**5 თებერვალი, პარასკევი**
სიონი-სპარტაკი

**6 თებერვალი, შაბათი**
ოლიმპი-ბაია

**7 თებერვალი, კვირა**
ვიტ ჯორჯია-სამტრედია
ზესტაფონი-ლოკომოტივი

**8 თებერვალი, ორშაბათი**
დინამო-გაგრა

**XX ტური**

**12 თებერვალი, პარასკევი**
სპარტაკი-ბაია
სიონი-დინამო
გაგრა-ვიტ ჯორჯია

**13 თებერვალი, შაბათი**
სამტრედია-ზესტაფონი
ლოკომოტივი-ოლიმპი

**XXI ტური**

**16 თებერვალი, სამშაბათი**
დინამო-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-სიონი

**17 თებერვალი, ოთხშაბათი**
ზესტაფონი-გაგრა
ოლიმპი-სამტრედია
ბაია-ლოკომოტივი

**XII ტური**

**20 თებერვალი, შაბათი**
დინამო-ვიტ ჯორჯია

**21 თებერვალი, კვირა**
სამტრედია-ბაია
გაგრა-ოლიმპი
სიონი-ზესტაფონი
სპარტაკი-ლოკომოტივი

**XIII ტური**

**25 თებერვალი, ხუთშაბათი**
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი

**26 თებერვალი, პარასკევი**
ზესტაფონი-დინამო
ბაია-გაგრა
ოლიმპი-სიონი

**27 თებერვალი, შაბათი**
ლოკომოტივი-სამტრედია

**XXIV ტური**

**6 მარტი, შაბათი**
დინამო-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
სიონი-ბაია
გაგრა-ლოკომოტივი
სპარტაკი-სამტრედია

**XXV ტური**

**13 მარტი, შაბათი**
ოლიმპი-ვიტ ჯორჯია

**14 მარტი, კვირა**
ზესტაფონი-სპარტაკი
ლოკომოტივი-სიონი
ბაია-დინამო
სამტრედია-გაგრა

**XXVI ტური**

**19 მარტი, პარასკევი**
ვიტ ჯორჯია-ბაია
სპარტაკი-გაგრა
დინამო-ლოკომოტივი

**20 მარტი, შაბათი**
ზესტაფონი-ოლიმპი
სიონი-სამტრედია

**საქართველოს თასი**

**23 მარტი, სამშაბათი**
1/2 ფინალი. პირველი მატჩი

**XXVII ტური**

**26 მარტი, პარასკევი**
გაგრა-სიონი

**27 მარტი, შაბათი**
ბაია-ზესტაფონი
ოლიმპი-სპარტაკი
ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია
სამტრედია-დინამო

**IV წრე**

**XXVIII ტური**

**2 აპრილი, პარასკევი**
ლოკომოტივი-ზესტაფონი

**3 აპრილი, შაბათი**
სპარტაკი-სიონი
სამტრედია-ვიტ ჯორჯია
ბაია-ოლიმპი
გაგრა-დინამო

**XXIX ტური**

**10 აპრილი, შაბათი**
ბაია-სპარტაკი
ზესტაფონი-სამტრედია
ვიტ ჯორჯია-გაგრა
დინამო-სიონი

**11 აპრილი, კვირა**
ოლიმპი-ლოკომოტივი

**საქართველოს თასი**

**14 აპრილი, ოთხშაბათი**
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

**XXX ტური**

**17 აპრილი, შაბათი**
სამტრედია-ოლიმპი
გაგრა-ზესტაფონი

**18 აპრილი, კვირა**
ლოკომოტივი-ბაია
სპარტაკი-დინამო
სიონი-ვიტ ჯორჯია

**XXXI ტური**

**24 აპრილი, შაბათი**
ვიტ ჯორჯია-დინამო

**25 აპრილი, კვირა**
ბაია-სამტრედია
ოლიმპი-გაგრა
ზესტაფონი-სიონი
ლოკომოტივი-სპარტაკი

**XXXII ტური**

**30 აპრილი, პარასკევი**
გაგრა-ბაია

**1 მაისი, შაბათი**
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
სამტრედია-ლოკომოტივი
დინამო-ზესტაფონი
სიონი-ოლიმპი

**XXXIII ტური**

**5 მაისი, ოთხშაბათი**
ლოკომოტივი-გაგრა
სამტრედია-სპარტაკი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-დინამო
ბაია-სიონი

**XXXIV ტური**

**9 მაისი, კვირა**
გაგრა-სამტრედია
სპარტაკი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი
სიონი-ლოკომოტივი
დინამო-ბაია

**XXXV ტური**

**15 მაისი, შაბათი**
ბაია-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-ზესტაფონი
გაგრა-სპარტაკი
სამტრედია-სიონი
ლოკომოტივი-დინამო

**XXXVI ტური**

**20 მაისი, ხუთშაბათი**
ზესტაფონი-ბაია
სპარტაკი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
დინამო-სამტრედია
სიონი-გაგრა

**საქართველოს თასი**

**26 მაისი, ოთხშაბათი**
ფინალი

*შენიშვნა: „ვიტ ჯორჯია" საშინაო მატჩებს რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე ჩაატარებს. თბილისის „დინამო" მეორე ეტაპიდან ეროვნულ სტადიონს დაუბრუნდება, „ლოკომოტივი" კი, სავარაუდოდ, მეტოქეებს „ამერის" არენაზე უმასპინძლებს.*



ეყოლება მაყურებელი ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპს?

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ოლიმპი

# ლომაია ჯორჯიას დაუბრუნდა

## ბრაზილიაში თავდამსხმელს ეძებენ



დღეს „ოლიმპი" რუსთავში მორიგ საკონტროლო შეხვედრას გამართავს - ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი თბილისის „დინამოს" უმასპინძლებს. **თემურ მახარაძის** გუნდი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს და შესაბამისად, ამ გუნდში ყოველდღიური სიახლეებია.

გუშინ ერთ-ერთ მედიასაშუალებაში ეწერა, თითქოს, მეკარე **მიხეილ ალავიძესა** და მცველ **სევასტი თოდუას** კლუბი არ დაუტოვებიათ. ალავიძის ამბავი დანამდვილებით ვიცით - ის გუზორის (უზბეკეთი) „შურტანში" ვარჯიშობს. ასევეა თოდუას ამბავიც - ის აზერბაიჯანულ „გაბალაში" ისინჯებოდა. მის ასავალ-დასავალზე „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტ **ზურაბ ჯაფარიძეს** ვკითხეთ: *„ვერ გეტყვით, სად არის სევასტი თოდუა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ „ოლიმპში" არ დაბრუნებულა".*

ასე რომ, თოდუა და ალავიძე რუსთავში არ დაბრუნებულან, ხოლო თუ რა მოხდება სინჯებს რომ მორჩებიან, ეს კი ნამდვილად არ ვიცით. ჯაფარიძეს ახალწვეულებზეც დავეკითხეთ. მისი თქმით, ახალწვეულებიდან ჯერ მხოლოდ ნიგერიელი მცველის **ემანუილ ელოხის** დატოვებაა გადაწყვეტილი.

*„ნიგერიელი ყველას მოეწონა და მას კონტრაქტს გავუფორმებთ. რაც შეეხება სლოვაკ რომან ხომიცეკს, მას კიდევ დავაკვირდებით. ნიგერიელმა ფორვარდმა დომინიკ აუდუმ კი უკვე დაგვტოვა"*, - ამბობს ჯაფარიძე.

კლუბის ახალგაზრდა ნახევარმცველი **ზაზა ჭელიძე** ამჟამად ყაზახეთის პრემიერლიგელ „აკჟაიკში" ისინჯება. ქალაქ ურალსკის კლუბი ელიტაში წელს დაბრუნდა და გაძლიერებას აპირებს. 23 წლის ქართველი ნახევარმცველი კი რუსთავში ვერ დამკვიდრდა და მდიდარ ლიგაში მოხვედრას ცდილობს. შეგახსენებთ, რომ „ოლიმპამდე" ჭელიძე ქუთაისის „ტორპედოში", ბათუმის „დინამოსა" და ბოლნისის „სიონში" თამაშობდა, რამდენჯერმე ახალგაზრდული ნაკრების ფორმაც მოურგია.

რუსთავში გასინჯვის შემდეგ, ცენტრალური მცველი **დავით ლომაია** „ვიტ ჯორჯიას" დაუბრუნდა და გუშინ უკვე თავის კლუბთან ერთად ივარჯიშა. მან „ოლიმპში" საკონტროლო შეხვედრაც გამართა, მახარაძე მის მიმართ სიმპათიითაც იყო განწყობილი, მაგრამ მაინც ნიგერიელი ელოხის დატოვება გადაწყვიტა. რაკი რუსთაველებს მხოლოდ სამიოდე მოთამაშის დამატება სურთ, მეორე ეტაპზე კი მხოლოდ 18 ფეხბურთელზე აპირებენ დაყრდნობას, ამიტომაც გადაწყვიტეს ლომაიასთან განშორება.

რაც შეეხება ბრაზილიელ ფეხბურთელთა ახალ ნაკადს, ამაზე ქვემო ქართლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ **დავით კირკიტაძეს** ვკითხეთ. მისი თქმით, ფეხბურთელების შესარჩევად „ოლიმპის" დელეგაცია ბრაზილიაში მომავალ კვირას გაემგზავრება:

*„17 იანვარს აკინო და ფრაგა დაგვიბრუნდებიან და კლუბთან ერთად შეუდგებიან მზადებას. ჩვენ კი შემდეგ კვირას ბრაზილიაში გავემგზავრებით და კლუბისთვის სასურველ ფეხბურთელებს ადგილზე შევარჩევთ. მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია, რომელ პოზიციაზე აიყვანოს მოთამაშე. ვიცი, რომ მახარაძეს, როგორც მინიმუმ, შედეგიანი თავდამსხმელის დამატება სურს".*

გაგრა

# თურქეთისკენ პერი, პერი...

დღეს „გაგრა" მოსამზადებლად თურქეთის საკურორტო ქალაქ სიდეში მიემგზავრება. კლუბის პრესატაშე **მიხეილ აფხაზავამ** გასამგზავრებელ მოთამაშეთა სია გაგვაცნო.

მეკარეები - **რევაზ თევდორაძე, ლადო ნადირაშვილი;** მცველები - **ირაკლი ქურთუა, დავით გიგაური, გიორგი ჭაავა, თორნიკე შალიკაშვილი, ლაშა კალანდაძე, ჯიმი გაბუნია;** ნახევარმცველი - **ზურა ქურდობაძე, ირაკლი შალიკაშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, გიორგი გულორდავა, ჯაბა ჯიშკარიანი, ნიკა ჯიშკარიანი, თორნიკე ოქრიაშვილი, ზვიად ჩხეტიანი, მოიზესი, მიხეილ კობერიძე;** თავდამსხმელები - **ილია პავლიაშვილი, გიორგი გაბედავა, ირაკლი კიკნაძე, ოვონიკოკო აბაიომი სეუნი.**

თბილისში რჩება მცველი **ლაშა თოთაძე**, რომელსაც უნგრულ „დიორი ეტოში" ყოფილ თანაგუნდელ **ვახტანგ ფანცხავასთან** ერთად გასინჯავენ.

კლუბმა ზამთრის სატრანსფერო „ფანჯარა" ნაყოფიერად გამოიყენა. გუნდში დაბრუნდა **ირაკლი ქორთუა.** 22 წლის მცველი კიევის „დინამოში" სწორედ ამ კლუბიდან მოხვდა, შემდეგ კი ლატვიის „დინაბურგში" გადავიდა, საიდანაც, ცნობილი მოვლენების გამო, საქართველოში დაბრუნება ამჯობინა და „გაგრასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

დაიმატეს 35-ე საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელი **ზურა ქურდობაძე,** ხოლო ბრაზილიიდან დაბრუნდა საყრდენი ნახევარმცველი **და სილვა მოიზეს ანტონიო,** რომელიც შემოდგომაზე მოულოდნელად... გაქრა.

ამას გარდა, ერთწლიანი კონტრაქტები გაუფორმეს ქუთაისის „ტორპედოს" საყრდენ ნახევარმცველ **ზვიად ჩხეტიანს,** თბილისის „დინამოს" მარცხენაფლანგელ **ნიკა ჯიშკარიანსა** და ბოლნისის „სიონის" ყოფილ ფორვარდ **ირაკლი კიკნაძეს.** ამ უკანასკნელმა გასულ სეზონში თავი „ბორჯომში" კარგი თამაშით დაგვამახსოვრა და პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელიც გახდა. თუმცა შემდეგ დაშავდა და ლამის მთელი მეორე წრე გაუცდა. „გაგრა" კიკნაძეს მაშინაც ინვევდა, მაგრამ თავდამსხმელი ამბიციურ კლუბში მოხვედრას იმედოვნებდა და წინადადებაზე უარი თქვა.

„გაგრა" სიდეში ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავს - 20 იანვარს „გაბალასთან" (აზერბაიჯანი), 23 იანვარს „ობოლონთან" (უკრაინა), 26 იანვარს „ტობოლთან" (ყაზახეთი), 29 იანვარს „მარიუპოლთან" (უკრაინა).

გუნდი საქართველოში 30 იანვარს დაბრუნდება.

ტრავმის შემდეგ...



გრიგოლ დოლიძე

# დოლიძემ ვარჯიში დაიწყო

**ირაკლი დოლიძე** ზაქათალას „სიმურგიდან" ტრავმის გამო გამოუშვეს. საქართველოს ნაკრებში ნათამაშები ნახევარმცველი ზაფხულში თბილისის „დინამოში" ჩაირიცხა, მაგრამ ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია - კონტრაქტის გაფორმებიდან ცოტა ხანში ირაკლი კვლავ დაშავდა.

როგორც შევიტყვეთ, დოლიძე მომჯობინდა და ახლახან ვარჯიშიც განაახლა, თუმცა ჯერ უცნობია, როდის დაუბრუნდება მოედანს. არადა, მეოთხე ადგილზე მყოფი „დინამოსთვის" ნიჭიერი და გამოჯანმრთელებული ნახევარმცველი უდავოდ დიდი ძალა იქნებოდა...

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ტრანსფერები

# ყოფილი დინამოელები ისრაელს მიაწყდნენ

## ხმალაძე და იაშვილი ბნეი სახნინში

წელს ისრაელს იმდენი ქართველი ფეხბურთელი მიაწყდა, რაც ამ ქვეყანას აქამდე არ ახსოვს. თბილისის „დინამოს" ორი ყოფილი კაპიტანი - **დავით დილმელაშვილი** და **ლევან ხმალაძე,** ახლა სწორედ ამ ქვეყანაშია. ისინი ისრაელის უმაღლესი ლიგის სხვადასხვა კლუბში მოწყობას ცდილობენ.

ხმალაძე ჯერ ისრაელის ჩემპიონატის ლიდერ ჰაიფას „მაქაბიში" (სადაც **ლადო დვალიშვილი** თამაშობს, **გიორგი დარასელია** კი მთავარი მწვრთნელის ასისტენტია) მიიწვიეს და წინასწარი ინფორმაციით, კონტრაქტიც უნდა გაეფორმებინა. თუმცა „მაქაბიმ" 24 წლის ქართველის აყვანა ვერ გარისკა. საქმე ისაა, რომ ხმალაძე აღთქმულ ქვეყანაში ტრავმამოურჩენელი გაემგზავრა და ვარჯიშისას ალბათ ამ ტრავმის კვალი ეტყობოდა. ამიტომაც შეიკავა თავი ლიდერმა კლუბმა.

მაგრამ შევიტყვეთ, რომ ლევანი ისრაელში დარჩა და შესაძლოა, კარიერა უმაღლესი ლიგის სხვა კლუბში გააგრძელოს. ის ერთ-ერთ გუნდში უკვე ვარჯიშობს კიდეც. რაც შეეხება დილმელაშვილს, ის რაანანის „ჰაპოელში" ისინჯება. მან „ტოტოს თასის" გათამაშებაში მოირგო ამ გუნდის ფორმა. ეს არის არაოფიციალური ტურნირი, რომელსაც გუნდები მოსამზადებლად და სავარაუდო ახალწვეულებზე დასაკვირვებლად იყენებენ. ჰოდა, 29 წლის დილმელაშვილმა ჰაიფას „მაქაბის" ძლევაში მთლად გოლით შეიტანა საკუთარი წილი.

ფეხბურთის ფედერაციის ტრანსფერებისა და მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტის ხელმძღვანელ **რევაზ შენგელიას** თქმით, დღემდე, ისრაელიდან არც ერთი დინამოელის გათავისუფლების ფურცელი არ მოუთხოვიათ...

გარდა ზემოხსენებული ფეხბურთელებისა, ისრაელს თბილისის „დინამოს" კიდევ ერთმა ყოფილმა ფეხბურთელმა, **სანდრო იაშვილმაც** მიაშურა. ის გაოცებული დარჩა, როცა საკმაოდ წარმატებული სეზონის შემდეგ მახაჩყალის „ანჟიდან" გაუშვეს. ასეა თუ ისე, სანდრო თავისუფალი აგენტი გახდა, ეს სტატუსი კი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის, მით უფრო, უცხოეთსა და ეროვნულ ნაკრებში ნათამაშებისთვის, ხელფეხის გახსნას ნიშნავს.

როგორც გავიგეთ, სანდროს თელ-ავივის „მაქაბიში" გადასვლა შესთავაზეს. თუმცა 2 იანვარს ისრაელში გადაფრენა ვერ მოახერხა და ახლა სხვა კლუბში (სამწუხაროდ, ჯერ ვერ დავადგინეთ, რომელში) ცდილობს კონტრაქტის მოპოვებას...

ისრაელში ჰაიფას „მაქაბის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე **გიორგი დარასელიას** დავუკავშირდით. მან ბევრი საინტერესო ამბავი გაგვიმხილა...

**- ჩვენთვის გაურკვეველია ლევან ხმალაძის ამბავი და თქვენ თუ იცით, როგორ გადაწყდა მისი საკითხი?**

- ამ დღეებში გაირკვევა, ხმალაძე დარჩება თუ არა.

**- როგორც შევიტყვეთ, მას რამდენიმე კლუბი იწვევს...**

- ის უკვე აღარ არის ჰაიფაში, სხვა გუნდშია...



ლევან ხმალაძე

**- და რომელში?**

- „ბნეი სახნინში". ამ გუნდს ახლა ძალიან უჭირს, ბოლოდან მეორე ადგილზეა და მისმა ხელმძღვანელობამ გაძლიერება გადაწყვიტა.

**- როგორც შევიტყვეთ, ისრაელში ელოდნენ სანდრო იაშვილსაც, მაგრამ თელ ავივის „მაქაბის" ნაცვლად, ის სხვა კლუბში გადავიდა. მასზეც თუ იცით რამე?**

- როგორ არ ვიცი, ისრაელი პატარა ქვეყანაა და თითქმის ყველა ქართველის ამბავს ვიგებ. სანდროც ხმალაძესთან ერთადაა - „ბნეი სახნინში" ვარჯიშობს. სხვათა შორის, ამ კლუბში ორი წლის წინ ელიშა ლევისთან ერთად ვმუშაობდი, ჩვენ გადმოვიყვანეთ უმაღლეს ლიგაში და მერე უეფას თასზეც გავიყვანეთ... ასე რომ, ეს გუნდი ჩემთვის უცხო არაა და გამიხარდება, თუ ლიგაში დარჩენას ჩვენი ბიჭების დახმარებით თუ შეძლებს. ამის შანსი კი საკმაოდ დიდია. მართალია, „ბნეი სახნინი" ბოლოსწინა ადგილზეა, მაგრამ მეათე საფეხურზე მყოფ აცრეს „ჰაპოელს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. ლევანის ამბავი უახლოეს დღეებში გაირკვევა. წესით, პასუხს კვირამდე ეტყვიან.

**- და რაც შეეხება იაშვილს?**

- სანდრო ორი დღის წინ ჩამოვიდა და მის კონტრაქტზე ლაპარაკი ჯერნაადრევია, სანამ არ გასინჯავენ.

**- მართალია, რომ თელ ავივის „მაქაბი" იწვევდა?**

- მართლია, მაგრამ ჩამოსვლა დააგვიანა და ბოლო მომენტში კლუბმა სხვა თავდამსხმელის აყვანა გადაწყვიტა. მერე იმაზეც უარი თქვეს და ახლა კვლავ ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობენ.

**- დილმელაშვილზე რას გვეტყვით?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, აფორმებს კონტრაქტს თუ არა.

**- „ტოტოს თასის" გათამაშებაში დილმელაშვილმა ჰაიფას „მაქაბის" გაუტანა გოლი. საინტერესოა, მთლიანობაში როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

- მომეწონა, დათომ საკმაოდ კარგად ითამაშა. იმედია, დატოვებენ. თუკი ამ უქმეებზე გასამართავ ტურში ათამაშებენ, ესე იგი, კონტრაქტიც გაუფორმებია...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გოჩა ჟორჟოლიანი
# უმაღლესი ლიგისკენ მიზანმიმართულად ვივლით


გოჩა ჟორჟოლიანი

**მართალია, ამხანაგური მატჩის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც გამოსარჩევი ამბავია, პირველი ლიგის ბინადარი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს რომ ამარცხებს. ზამთრის პაუზისას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდმა თბილისის „დინამო“ დაამარცხა, შემდეგ კი წაგების მიუხედავად, დიდი წინაალმდეგობა გაუწია მოქმედ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“. იმის მიუხედავად, რომ IBSU ახალგაზრდა და ბევრისთვის უცნობი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, საკმაოდ გამართულ ფეხბურთს თამაშობს. როგორც გუნდის მთავარ მწვრთნელთან, გოჩა ჟორჟოლიანთან საუბრისას შევიტყვეთ, IBSU-ს სერიოზული გეგმები აქვს.**

- სპარინგ-პარტნიორებად საგანგებოდ ავარჩიეთ ძლიერი მეტოქეები, რათა საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები უკეთ დაგვენახა. „დინამოსთან“ დამსახურებულად გავიმარჯვეთ და წესით, „ვიტ ჯორჯიასთანაც“ არ უნდა წაგვეგო. გამოუცდელობამ დაგვალალატა, თორემ ამ მატჩშიც დადებით შედეგს მივაღწევდით.

**- ახლა IBSU-ს საფეხბურთო გუნდის ისტორია გვიამბეთ.**

- ეს ისტორია მხოლოდ ორ წელიწადს ითვლის. ჩვენი გუნდი თავის ისტორიაში მეორე სეზონს ატარებს. თავიდან მეორე ლიგაში ვითამაშეთ და მაშინვე პირველი ლიგის საგზური მოვიპოვეთ. ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთ და უმაღლესში გადასვლაც გვინდა. პირველ ლიგაში დღეისათვის მერვე ადგილზე ვართ და ამ სეზონში ეს ძალიან რთული იქნება, მაგრამ ჩვენსას მაინც ვეცდებით. მთავარია, პირველ ლიგაში საფუძვლიანად გავმაგრდეთ და უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება წელს თუ ვერ მოვიპოვეთ, ახალ სეზონში საამისოდ კიდევ უფრო მომზადებულები ვიქნებით. უმაღლესისკენ მიზანმიმართულად ვივლით. თავდაპირველად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დიდ მიზნებს არ ისახავდა და მხოლოდ სტუდენტური სპორტის დონეზე აპირებდა გუნდის ჩამოყალიბებას, მაგრამ წარმატებულმა სერიამ დაგვანახვა, რომ უფრო მეტის მიღწევაც შეგვიძლია და გადავწყვიტეთ, უფრო მაღალ ამოცანებსაც შევჭიდებოდით. მეორე ლიგის დასკვნით ნაწილში უმაღლეს დონეზე ვიასპარეზეთ, 18 მატჩიდან 17 მოვიგეთ.

**- კლუბს შავი ზღვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გარდა, კიდევ თუ აფინანსებს ვინმე?**

- უნივერსიტეტის მესვეურები - რექტორი აჰმეთ ჩეთინ ჯანი, კანცლერი ფათიჰ მეჰმედ საინი, კლუბის პრეზიდენტი აჰმედ დემირი და მენეჯერი გიორგი ჯაფარიძე ამჟამად სპონსორების ძიებაში არიან და იმის რეალური იმედი გვაქვს, რომ მალე მსხვილი თურქული კომპანიები დაგვაფინანსებენ. უმაღლეს ლიგაში გადასვლის ამბიციაც სწორედ ამიტომ გვაქვს. ნელ-ნელა ვვითარდებით და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო სერიოზულ მიზნებს დავისახავთ.

**- გუნდში უმეტესად შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტები თამაშობენ?**

- თავიდან ასე იყო, მაგრამ შემდგომში სხვა ძლიერი ფეხბურთელები მოვიყვანეთ. თუმცა დღეისთვის გუნდში რამდენიმე სტუდენტი კიდევ გვყავს.

**- ფეხბურთელებს ანაზღაურება თუ აქვთ?**

- ჯერჯერობით, ისინი ხელფასებს არ იღებენ, სამაგიეროდ, გვაქვს პრემიალურების სისტემა. ფეხბურთელებს პირობები ეტაპობრივად აუცილებლად გაუუმჯობესდებათ.

**- აქცენტს შემდგომშიც ახალგაზრდებზე გააკეთებთ?**

- არა, საჭიროების შემთხვევაში, გამოცდილ მოთამაშეებზეც არ ვიტყვით უარს. ამის გარეშე დიდ შედეგებს ვერ მივაღწევთ. ამჟამად კი უმეტესად, ახალგაზრდებს ვეყრდნობით. ყველაზე უფროსი ფეხბურთელი 25 წლისაა.

**- ზამთრის შესვენებისას ახალი ფეხბურთელები დაიმატეთ?**

- შემადგენლობაში ცვლილებები ფაქტობრივად, არ გვაქვს. გაძლიერება უფრო ზაფხულისთვისაა მოსალოდნელი.

**- ერთი ლეგიონერიც გყავთ...**

- ოკონკო ნიგერიელია, ახალგაზრდა და საკმაოდ ნიჭიერია და უპრობლემოდ შეძლო ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება.

**- ინფრასტრუქტურის მხრივ როგორ გაქვთ საქმე?**

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის აეროპორტის დასახლებაში ახალი შენობა შენდება. აიგება ევროპული დონის ცენტრი, სადაც სპორტისთვის ყველაფერი იქნება გათვალისწინებული. გვექნება დიდი სპორტკომპლექსი, სადაც იდეალურ პირობებში ვივარჯიშებთ.

**- სეზონის მეორე ნახევრისთვის ბოლომდე თბილისში მოემზადებით თუ შეკრებაზე სხვა ქალაქში წასვლაც გაქვთ დაგეგმილი?**

- ამ ზამთარს თბილისში ვივარჯიშებთ. ზაფხულში სამსუნში ვიყავით შეკრებაზე და შესაძლოა, იქ ახალი სეზონისთვის მზადების პერიოდშიც გავემგზავროთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

უცხოურ პრესაში



ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

# ეს საქართველოსაც შეუძლია

**რუსულმა ვებგვერდებმა გუშინ მალხაზ ასათიანის ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნეს. მასალა საკმაოდ საინტერესოა და ქართველ მკითხველსაც მოეწონება. ამ ინტერვიუს მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

## აფრიკელი რომ მოვიყვანო ცოლად...

**- თქვენი თანაკლუბელების უმრავლესობამ საახალწლო შვებულება ზღვაზე გაატარა. თქვენ მთელი ეს პერიოდი ქუთაისში იყავით?**

- დიახ, მთელი შვებულება საქართველოში გავატარე. ბევრგან ვიყავი, ქუთაისის გარდა, თბილისშიც ვიყავი და სოფელშიც. მართალი გითხრათ, ზამთარში არასდროს მივდივარ ზღვაზე. მით უმეტეს, სამშობლოში იშვიათად მიწევს ჩასვლა და მთელი შვებულება ჩემებთან გავატარე. ჩემი ძმა ოჯახიანად სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად და მშობლები მარტო დარჩნენ. სამშობლოში ბევრი მეგობარი მყავს და ყველა მოვინახულე. შვებულებას ყოველთვის საქართველოში ვატარებ. ზღვაზე ბოლოს კლუბიდან, მოსამზადებელ შეკრებაზე ვიყავი.

**- სამშობლოში რომელია თქვენი საყვარელი ადგილი?**

- მთელი საქართველო. განსაკუთრებით ჩემი მთიანი სოფელი მიყვარს. სწორედ იქ გავიზარდე, მთებში. იქ სიწყნარეა და წელიწადის ნებისმიერ დროს ყველაფერი ლამაზია.

**- კავკასიის ქვეყნებში ახალი წლის დადგომისას მხოლოდ მაშხალებს კი არა, ავტომატსაც ისვრიან. ქუთაისშიც ასეა?**

- პირადად მე არასდროს მისვრია ავტომატი. სოფელში უფრო უკეთ ძველად ახალ წელს აღნიშნავენ, ვიდრე 1 იანვარს. ადრე ეს მიკვირდა, მერე უკვე მივხვდი, თუ რატომ ზეიმობენ 14 იანვარს ახალ წელს. ჯერ შობაა და მერე დგება ახალი წელი. მართლმადიდებლებისთვის შობა 7 იანვარსაა და ახალ წელს 14-ში აღვნიშნავთ.

**- თქვენი ძმა დაოჯახებულია. თქვენ კი უკვე 28 წლისა ხართ და ცოლი არ მოგიყვანიათ...**

- ყველას თავისი ბედი აქვს. ჯერჯერობით, დაოჯახებული არ ვარ, მაგრამ, როგორც ყველას, მეც მინდა ოჯახი შექმნა. ფიქრობ, ეს გვიან არ არის. ამ თემაზე მშობლებიც მელაპარაკებიან ხოლმე.

**- ცოლად მხოლოდ ქართველს მოიყვანთ?**

- დიახ, ქართველ მეუღლეს ვამჯობინებ. თუმცა ამას მშობლების გამო არ ვამბობ. დედ-მამა, ვინც არ უნდა მოვიყვანო ცოლად, ამას ჩვეულებრივად მიიღებენ... აფრიკელიც რომ იყოს. მაგრამ ყველა ერს თავისი მენტალიტეტი, ტრადიციები და შეხედულებები აქვს, ამიტომაც, ქართველს ვამჯობინებ ცოლად.

**- 2008 წლის აგვისტოს ომისას შოთა არველაძემ საქართველოდან ოჯახის ევაკუირება სპეციალურად დაქირავებული თვითმფრინავით გადაწყვიტა. თქვენი ოჯახის წევრები სად იყვნენ მაშინ?**

- ჩემები სოფელში, მთაში იყვნენ. რა თქმა უნდა, მაშინდელი ამბები მათაც მძიმედ განიცადეს და მეც. მინდოდა ჩემების გვერდით ვყოფილიყავი, დამემშვიდებინა და გამემხნევებინა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. კარგია, რომ ყველაფერი მალე დასრულდა. თუმცა სამწუხაროა, რომ მშვიდობა დაირღვა და სისხლი დაიღვარა. საქართველო და რუსეთი, მართლმადიდებელი ქვეყნებია და ჩვენ შორის ომი არ უნდა მომხდარიყო - ბევრი გვაქვს საერთო... ნორმალურ ხალხს ეს კარგად ესმის. თუმცა როცა ომი იწყება, მაშინ ყველა დამნაშავეა...

**- თქვენები არ გსაყვედურობენ, რომ ყოველივე ამის შემდეგ, ისევ რუსეთში აგრძელებთ კარიერას?**

- არა, ნორმალური ხალხი სხვაგვარად ფიქრობს. მათ ესმით, რომ ეს პოლიტიკაა და უბრალო ხალხი არაფერ შუაშია. ჩვენ, ქართველებს, გვინდა, მშვიდობიანად ვიცხოვროთ, აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან ერთად.

>> მე-13 გვერდზე

ბაია

# შევსება გრძელდება

„ბაია“ უკვე ურეკულ შეკრებაზე იმყოფება. ბოლო დღეებში გუნდის შემადგენლობაში კიდევ რამდენიმე ცვლილება მოხდა. უკვე იცით, რომ ზუგდიდელებმა **გიორგი სომხიშვილი, გიორგი კივესიეშვილი, ამირან ყველაშვილი** და **ზაზა სახოკია** დაიმატეს. „ბაიას“ ბოლო ახალწვეული კი **შოთა ლომიაა**, რომელიც ზუგდიდს თბილისის „დინამოდან“ დაუბრუნდა.

„ბაიას“ შემადგენლობაში კიდევ ერთი დინამოელი, **ვალერი ბოლქვაძე** ვარჯიშობს. იგი სინჯებზეა, ისევე როგორც **ბექა ბებუა**, რომელიც ბოლო წლებში თბილისის „ლოკომოტივში“ ასპარეზობდა. „ბაიას“ კონსულტანტი **სოსო ჭედია** თავდამსხმელის ძიებაშია. **რევაზ ჯიქიას** გუნდიდან წასვლის შემდეგ მისი შემცვლელის მოძიება ზუგდიდელთა უმთავრესი საზრუნავია. „ბაიას“ მწვრთნელებს რამდენიმე კანდიდატურა უკვე შეგულებული ჰყავთ და გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებენ. მოკლედ, გუნდის გაძლიერების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

ფოთის კოლხეთში გადასული **ვალტერ გუჩუას** გარდა, ჯერჯერობით, „ბაია“ სხვას არავის დაუტოვებია. სავარაუდოდ, იმ ახალგაზრდების ნაწილი, რომლებიც სეზონის პირველ ნაწილში „ბაიას“ მთავარი გუნდის ღირსებას იცავდა, დუბლებს დაუბრუნდება. ზუგდიდელებს ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავთ, ტრავმირებული **ნიკა კვეკვესკირის** გარდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრს საზარდული აქვს დაჭიმული და მთლიანი მოსამზადებელი ეტაპი გაუცდება.

„ბაია“ ამხანაგურ მატჩებს ინტენსიურად ჩაატარებს. ხვალ ჭედიას გუნდი ზუგდიდში შეკრებაზე მყოფ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს შეხვდება, 18 იანვარს „ბაიას“ მეტოქე ბოლნისის „სიონი“ იქნება, 20 იანვარს ზუგდიდელები „სამტრედიას“ ეთამაშებიან, 24-ში კი „ბათუმს“. „ბაია“ 22 და 26 იანვარსაც ჩაატარებს საკონტროლო შეხვედრებს, მეტოქეთა ვინაობა მალე გაირკვევა. ზუგდიდელთა ურეკული შეკრება 27 იანვარს დასრულდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეს საქართველოსაც შეუძლია

« მე-12 გვერდიდან

## კარგად მესმის, კალაძემ რაც გადაიტანა

**- ორი წლის წინათ, თქვენი ეროვნული გუნდის ნამყვანმა ფეხბურთელებმა შოთა არველაძეს ნაკრების ჩაბარება სთხოვეს. თქვენც იყავით მათ შორის?**

- არა, მაშინ შოთასთან არ მილაპარაკია, მაგრამ ნამდვილად გამიხარდებოდა, არველაძეს მაშინ ნაკრები რომ ჩაებარებინა. ახლა კი მოხარული ვარ, რომ ჩვენი ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია გახდა. ის ჩვენებურია, ქართველია და უცხოელ მწვრთნელზე უკეთ იცის, თუ რა სჭირდება ჩვენს ნაკრებს. უცხოელ სპეციალისტს დრო სჭირდება ვითარებაში გარკვევისთვის, თემურს კი ეს ეტაპი უკვე გავლილი აქვს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ექტორ კუპერი ჩვენს ნაკრებში მუშაობისას ეროვნულში არ მიძახებდა. არა, ეს არაფერ შუაშია. ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოს ნაკრებს ქართველი მწვრთნელი უფრო მეტ სარგებელს მოუტანს. ახლა თემურ ქეცბაიაა ჩვენი ეროვნულის თავკაცი და მისი დიდად მეიმედება.

**- თქვენ არ გითამაშიათ მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის ნაკრების წინააღმდეგ სექტემბრის მატჩში, რომელშიც კახა კალაძემ ორი ავტოგოლი გაიტანა?**

- არა, ნაკრებში არც მაშინ ვყოფილვარ გამოძახებული, მაგრამ ეს მატჩი ტელევიზიით ვნახე. რაც შეეხება ავტოგოლებს, კახასი მესმის. საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრაში მეც გავიტანე საკუთარ კარში ბურთი. იცით, რას ვგრძნობდი მაშინ?! გულჩამწვარი ვიყავი... კარგად მესმის, რა გადაიტანა მაშინ კალაძემ. კახამ საქართველოში ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია. სამჯერ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ორჯერ მოიგო ლიგის თასი. გარდა ამისა, მსოფლიო დონის გრანდში, „მილანში" თამაშობს... შეცდომა ვარსკვლავებსაც მოსდით.

**- რუსეთის პრემიერლიგის გასული სეზონის მთავარ აღმოჩენად ჯანო ანანიძე დაასახელეთ. ქართული მხარე ყველანაირად იბრძოდა ამ ტალანტისთვის და მიზანსაც მიაღწია. ასეა?**

- ჩემი აზრით, არც საქართველო და არც რუსეთი ჯანოსთვის არ ებრძოდა ერთმანეთს. ეს უბრალოდ ჯანოსა და მისი ოჯახის არჩევანი იყო. მათ გადაწყვიტეს, ანანიძეს საქართველოს ნაკრებში ეთამაშა, ეს იყო და ეს.

**- ანატოლი ბიშოვეცმა მითხრა - შევდივარ გასახდელში და რას ვხედავ, ასათიანი და ივანოვიჩი ჩხუბობენ... მაინ რა მოხდა მაშინ?**

- თამაშის მსვლელობისას წავკამათდით, ნერვები ვერ მოვთოკეთ და გასახდელშიც გავაგრძელეთ კინკლაობა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას მერე ჩვენ არ გვისაუბრია და გვძულს ერთმანეთი. ჩვენ მალევე შევრიგდით, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და დაპირისპირებაც ამით დასრულდა. ჩხუბი და კინკლაობა ყოველთვის ხდება, მაგრამ, მთავარია ბოლმა არ ჩაიდო გულში. ბავშვობის არა ერთი მეგობარი მყავს, გვიჩხუბია კიდეც, მაგრამ დღემდე მეგობრები ვართ.

**- „დინამოსთან" ამხანაგური მატჩისას დანისთანაც იჩხუბეთ...**

- მაშინაც ნერვები ვერ მოვთოკეთ. შესაძლოა მე ვითამაშე მაშინ უხერხულად, ან მეტოქეს არ მოეწონა რაღაც ჩემს თამაშში. ცხოვრებაში არავისთან მქონია ხანგრძლივი დაპირისპირება. მოედანზე მშვიდი ვარ, არ ვიბოლმები და ყოველთვის ვცდილობ ემოციები მოვთოკო. უმეტესად ამას ვახერხებ კიდეც, მაგრამ ზოგჯერ არ გამომდის.

**- სერგეი ოვჩინიკოვმა მითხრა - ზოგს ქერა გოგოები მოსწონს, ზოგს შავგვრემანი, მე კი „სპარტაკი" არ მიყვარსო. თქვენ რომელი გუნდი გძულთ?**

- ვერც ერთ გუნდზე ვერ ვიტყვი, რომ მძულს. უპირველესად, „ლოკომოტივი" მიყვარს, მერე სხვები... თუ რომელიმე გუნდი კარგად თამაშობს, ეს ჩემშიც სიმპათიას იწვევს. ასეთ გუნდად შემიძლია „რუბინი" დავასახელო.

## პასი ცენტრისკენ არ მისცეთ!

**- შემტევი ნახევარმცველი ცენტრალური მცველი გახდით. ამაზე ლეგენდები დადის...**

- იმ პერიოდში თამაში მწყუროდა და კარში ჩადგომაზეც ყაბულს ვიყავი. დღეს მცველად უფრო მიცნობენ, ვიდრე ნახევარმცველად და ეს სულაც არ მწყინს. საკმაო პერიოდი დამჭირდა კარგ მცველად რომ ჩამოვყალიბებულიყავი. ალბათ ჩემში რაღაც დაინახეს და ამიტომაც ვიქეცი მცველად.

**- სანამ მცველობას ითვისებდით, ალბათ, თქვენი შეცდომის გამო არაერთი გოლი გავიდა „ლოკომოტივის" კარში...**

- არა, ასეც არ ყოფილა. უკვე საიმედო მცველად ვითვლები, მაგრამ შეუცდომელი არავინაა და ამისგან არც მე ვარ დაზღვეული.

**- თქვენი გუნდის თავკაც იური სიომინის სიტყვა მითხარით, რომელიც არასდროს დაგავიწყდებათ...**

- ა-სა-თი-ანი, პა-სი ცენ-ტრი-სკენ არ მის-ცე! სიომინი ყოველთვის ამას მეუბნება ხოლმე, როცა პასს ცენტრისკენ ვაკეთებ. მწვრთნელი ჩვენი მცველებისგან ყოველთვის ითხოვს, რომ გადაცემა ცენტრისკენ კი არა, მარცხენა ან მარჯვენა ფლანგისკენ გავაკეთოთ. თუმცა ზოგჯერ ისეთი ვითარებაა, რომ ფლანგებზე თანაგუნდელები გახსნილები არ არიან და იძულებული ვარ, პასს ცენტრისკენ გავაკეთებ. თუ გადაცემა მეტოქემ ჩაჭრა, მაშინ საყვედური არ აცდება. სიომინისთვის უმჯობესია ბურთი ფლანგზე დაკარგო და არა ცენტრალურ ზონაში.



**- ყველაზე გამოსადეგი რაა, რაც სიომინმა გასწავლათ?**

- ბურთის ართმევა. შემტევი ნახევარმცველი ვიყავი და ართმევისთვის თითქმის არ მიწევდა თამაში. სიომინს არ უყვარს ფეხბურთელი, მით უმეტეს, დაცვითი ტიპის მოთამაშე, რომელმაც ბურთის ართმევა არ იცის. ამ კომპონენტში სიომინმა კარგა ხანს მავარჯიშა და ჩინებულად მასწავლა ბურთის ართმევა.

**- რუსეთში საუკეთესო ცენტრალურ მცველად ვინ მიგაჩნიათ?**

- გასულ სეზონში შარონოვი და ნავასი ყველაზე უკეთ წარმოჩნდნენ.

**- დაცვაში თქვენს პარტნიორ როდოლფოს პროვოკატორს ეძახიან. რატომ?**

- ალბათ იმიტომ, რომ ხშირად ეცემა თამაშის მსვლელობისას. მოწინააღმდეგის უხეშად თამაშისას ზოგჯერ მცველსაც ტკივა და ამის გამო ეცემა. ზოგი ფიქრობს, რომ ის სიმულანტობს და პროვოკატორია.

**- გასული სეზონის ბოლოსწინა ტურში, „დინამოსთან"მატჩის შემდეგ, „ლოკომოტივის" ფანების ტრიბუნასთან მიხვედით და თითის მოძრაობით გულზე „ლ" დაიწერეთ. ამით რისი თქმა გინდოდათ?**

- ის „ლ" „ლოკომოტივს" ნიშნავდა. ამ ჟესტით გულშემატკივარს ვაგრძნობინე, რომ „ლოკომოტივი" ჩემს გულშია. უკვე მერვე წელიწადია, რაც ამ კლუბში ვთამაშობ და უბრალოდ, მინდოდა, ჩემი გუნდის სიყვარული გამომეხატა.

## ეს საქართველოსაც შეუძლია!

**- ვიცით, რომ ხინკალი თქვენთვის უმთავრესია ქართული სამზარეულოდან. მოსკოვში სად სადილობთ ხოლმე?**

- ჩემი მეგობრის რესტორანში. თუმცა მოსკოვში სხვაც ბევრი ქართული რესტორანია. არბატზე „გენაცვალესაც" ვსტუმრობ ხოლმე. მართალი გითხრათ, ყოველთვის ქართულ სამზარეულოს არ ვირჩევ. სხვა ქვეყნის კერძებსაც მივირთმევ ხოლმე.

**- ზაზა ჯანაშიამ მომიყვა, თუ როგორ ჭამა შემთხვევით ძაღლის ხორცი. რომელიმე ეგზოტიკური კერძი, ალბათ, თქვენც მიგირთმევიათ...**

- სიმართლე გითხრათ, ეგზოტიკური კერძებისადმი ინტერესი არ მაქვს.

**- ცრუ რწმენების რამდენად გჯერათ?**

- ბავშვობაში მჯეროდა, შავი კატა რომ გადამირბენდა, კენჭებს ვესროდი. როცა გავიზარდე, მივხვდი, რომ ამისთვის ყურადღება არ უნდა მიმექცია. ცრუ რწმენები და სიზმრები, ეს სისულელეა.

**- რამდენად რელიგიური ხართ? მარხულობთ თუ არა?**

- ბოლო ორი წელია, რაც უფრო მეტად მორწმუნე გავხდი. ფეხბურთელის ცხოვრება ისეთია, რომ ძნელია, მარხვის შენახვა. თუმცა ზამთარში მაინც ვახერხებ და შობამდე ვმარხულობ. მოსკოვში წმინდა გიორგის ეკლესიაში და არბატზე, ერთ პატარა ტაძარში დავდივარ ხოლმე.

**- 2004 წლის სეზონში ჩემპიონობა იზეიმეთ. ალბათ ის საღამო დიდხანს გემახსოვრებათ. ალბათ იცით, რომ ახალ სეზონშიც ოქროს მოითხოვს კლუბის ხელმძღვანელობა...**

- რა თქმა უნდა. მაშინ პირველად გავხდი რუსეთის ჩემპიონი. ის სიხარული დღემდე მახსოვს... რაც შეეხება ახალ სეზონში ჩვენს მიზნებს... ყოველთვის მაქსიმუმისთვის ვიბრძვით - ჩემპიონობას ვგულისხმობ. თუ რაღაც ისე არ წაგვივა, მაშინ მეორე ან მესამე ადგილი მაინც უნდა დავიკავოთ. 2004 წელს ოქროს მედლები მოვიპოვეთ. მას მერე დიდი დრო გავიდა. კმარა, ახალ სეზონში ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მით უმეტეს, მწვრთნელად სიომინი გვყავს.

**- ყველა მოთამაშეს აქვს საფეხბურთო ოცნება. თქვენ რა ნატვრა გაქვთ?**

- ჩემპიონთა ლიგაზე 2 მატჩი მაქვს ჩატარებული. მინდა ლიგაზე იმდენი შეხვედრა ჩავატარო, რომ ამ ტურნირზე თამაშით გავძღე. გარდა ამისა, მინდა საქართველოს ნაკრებიდან ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზო. ლატვია, სლოვენია და სლოვაკეთი გავიდა ჯგუფიდან და ეს ჩვენ, საქართველოსაც შეგვიძლია.

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ფელეტონი



ალენ ჟირესი (მარცხნივ) და დიდიე ოვონო

## ჩვენ რომ ვიცით, ის...

რაც მე იმ დღეს ვინერვიულე... არადა, უტევდა ეს ოხერი კამერუნი. თან, ის ხომ არ არის, კამერუნია. ეტო'ო რომ შემოგიტევს, როგორია, ჰა? მერე, ბიჭო, ეს დალოცვილები, ყველანი დოქიდან ახალამოსული ჯინებივით როგორ არიან? - შეხედავ, გული გაგისკდება. ვიღაც დიზაინერს მაისურებიც რომ ტანზე მომდგარი შეუკერავს... ამხელა კაცებს ვეებერთელა, გამონაყარივით კუნთები მთელ სხეულზე რომ ეტყობათ, ძალიან გულადი თუ არა ხარ, შეიძლება, შიშისგან ტელევიზორიც გამორთო. მოდიან და მოდიან, გიტევენ და გიტევენ, მაგრამ ვერ მივართვით - დადგა საქართველო გმირულად! აქედან მწვრთნელი ალენ ჟირესი თავისი ტაქტიკით და მითითებებით, მოედნის შუაში ზესტაფონელი კესანი და კარშიც ჩვენი მხეცი ძმა - დიდიე ოვონო. მიდი, აბა, გაუტანე! გინდა ჯინი იყავი და გინდა - ბაყბაყ დევი. მოკლედ, იმ დღეს მართლა დავრწმუნდი, რომ რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ. აფრიკის თასზე გავედით და რაებს ვაკეთებთ, ვერ ხედავთ?

ახლა, მათთვის, ვისაც შეთქმულების თეორია უყვარს: აფრიკის კონფედერაციის პრეზიდენტი ისა ჰაიატუ - იმათი პლატინი, რაღა - კამერუნელია... მაგრამ, როცა სხვა ჯიგარს ხვდება, როცა კარში მტკვარდალეული დგას, როცა ნახევადაცვაში ფერონასუნთქი ტრიალებს და როცა იდეები „ლოკომოტივზე" დაჩიავებულ დიდ კაცს ეკუთვნის, გინდა ის იყავი, და გინდა - ესა, ძალად ვერავის მოაგებინებ. ასე ვიცით და იმიტომ! გაბონური ცარცის წრისა არ იყოს - ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებთ.

ერთი ეგაა, თეთრკანიან ქართველებს არ გვეშველა არაფერი... ჯერჯერობით. მაგრამ ის, რაც იმ დღეს აფრიკელმა ქართველებმა გააკეთეს, აშკარად იმედს გვაძლევს. ესე იგი, რა გამოდის - ცუდი ინფრასტრუქტურა, უხარისხო მოედნები, ცალტრიბუნიანი სტადიონები (გაღმა მხარეს ნახირით), საკლუბო ავტობუსების გაცვეთილი „პაკრიშკები" და უხარისხო ბენზინი არაფერ შუაშია. ეს პირობები, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, როგორც ნეგროიდული, ასევე იბერიულ-კავკასიური რასის ქართველებისთვის, ერთი და იგივე იყო და დღესაც ასეა. განსხვავება სხვა რამეშია. კერძოდ, „ჩვენ რომ ვიცით, იმაში". აი, ეს არის მთავარი - „ჩვენ რომ ვიცით ის", თორემ სხვა რა. ბოლოს და ბოლოს, ის ჟირესიც აქ არ იყო?! რა, ჩვენგან რომ წავიდა, მერე განიჭიერდა? თუ ვინმეს მართლა ასე ჰგონია, კლაუს ტოპმიოლერს შევახსენებ: ეს პირიქით, სანამ ჩვენთან ჩამოვიდოდა, მანამდე იყო ნიჭიერი - ჩემპიონთა ლიგის ფინალში „რეალს" ეუბნებოდა, შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო. და კუპ-ერი გულადი, პურადი?

ესე იგი დამტკიცდა: ქართველი, გინდა აფრიკელი, გინდა ტრადიციული, ქართველია და ზედაც, რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ. ყანისმაგვარსაფარიანი მოედანიც ყველასთვის ერთია, ისევე, როგორც რუსთაველი და კოსმოსში გაშვებული „ჩაკრულო". განსხვავება მხოლოდ „ჩვენ რომ ვიცით, იმაშია", მაგრამ აი, ჩვენ რა ვიცით, ერთი ეგ გამაგებინა და მერე, თუ გინდა გამოუშვი კამერუნელები...

კაციშვილმა არ იცის, რა ვიცით ჩვენ. ჰოდა...

*ფერდინანდ კუთხურსკიმ მეტი ველარ გააგრძელა. ფიქრი აერია, ყელში ბურთი გაეჩხირა, ცრემლი მოაწვა, ფეხზე წამოიჭრა და გაბონის ეროვნული ჰიმნი შემოსძახა. აი, ამ ჰიმნის ტექსტი კი*

რედაქციამდე ველარ მოიტანა
**ილია ბაბუნაშვილმა**

მეკარე

## 23 წლის იაშვილი ფეხბურთიდან წავიდა

**მეკარე გიგა იაშვილი** გასულ სეზონში ცხინვალის „სპარტაკის" ღირსებას იცავდა და საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებასაც ტოვებდა. 23 წლის მეკარე მანამდე თელავის „კახეთსა" და ბოლნისის „სიონშიც" წარმატებით თამაშობდა, ორი წლის წინ კი ჩეხმა სპეციალისტმა **დუშან უჰრინმა** თბილისის „დინამოში" მიიწვია.

მიზეზთა გამო, ეს ტრანსფერი ჩაიშალა და იაშვილმა კარიერის აწყობა სხვა კლუბებში სცადა, თუმცა წარუმატებლად - ცხინვალის „სპარტაკში" ხშირად კი თამაშობდა, მაგრამ თავის გამოჩენა ვერ მოახერხა. ამ სეზონის დაწყებამდე კი მას კლუბის დატოვებაც მოუხდა, მაგრამ რაკი სხვაგან არ აიყვანეს, გული იმდენად აიცრუა, ფეხბურთს თავი დაანება.

გაუგებარი და აუხსნელია, რომ 23 წლის ნიჭიერი გოლკიპერი საქართველოს უმაღლესი ლიგის არც ერთ კლუბს არ დასჭირდა. ვისაც მისი თამაში უნახავს, დაგვეთანხმება, რომ უდავოდ საინტერესო მეკარეა - თანამედროვე სტილით მოთამაშე, საკმაოდ კარგი რეაქციას მქონე, ფეხით ისე თამაშობდა, დღევანდელობას რომ შეესაბამება.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, ნიჭიერი მეკარე თვალსაწიერიდან ნაადრევად რომ ქრება. არავინ უწყის, სად არის ამჟამად თბილისის „მერანის" ორი გამორჩეულად ნიჭიერი გოლკიპერი - **კოკა სეფიაშვილი და კახა გლუნჩაძე.** თავის დროზე, ამ გუნდს სწორედ სეფიაშვილითა (23 წლის) და გლუნჩაძით (21) გამოარჩევდნენ. ანუ, საუკეთესო ასაკში პერსპექტიული მეკარეები დავკარგეთ. დღეს უმაღლეს ლიგაში ბევრი მეკარე არ გამოირჩევა ნიჭით...

ამ დროს კი კარგ მეკარეებს უცხოეთში ვეძებთ...

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

# ბარსელონა და შურისძიება

## ვალენსიური დერბიც მოსულა...

| დღეს | |
|---|---|
| ოსასუნა-ესპანიოლი | 21:00 |
| ბილბაო-რეალი | 23:00 |
| ბარსელონა-სევილია | 01:00 |
| **ხვალ** | |
| ალმერია-ტენერიფე | 20:00 |
| მალაგა-ხეტაფე | 20:00 |
| მალიორკა-დეპორტივო | 20:00 |
| რასინგი-ვალიადოლიდი | 20:00 |
| სარაგოსა-ხერესი | 20:00 |
| ატლეტიკო-სპორტინგი | 22:00 |
| ვალენსია-ვილიარეალი | 00:00 |

„ბარსელონასა" და „რეალის" დაუსწრებელი ბრძოლა პირველობისთვის გრძელდება, ეს ორი გრანდი სხვა გუნდებს ახლოს არ იკარებს, თუმცა როგორც ერთ, ისევე მეორე ბანაკში გარკვეული ბზარები გაჩნდა, რომლის გამოყენებაც „ვალენსიას", „სევილიასა" და „დეპორტივოს" მართებთ. „ბარსამ" პირველი სილა მიიღო სახეში - 6-დან ერთი ტიტული, ესპანეთის თასი ველარ შეინარჩუნა, თანაც **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი მერვედფინალში დაემშვიდობა გათამაშებას. „რეალში" არ წყდება მითქმა-მოთქმა, თუ ვინ უნდა ითამაშოს შეტევის ძირითადში. ისევე როგორც „ლიონში" თამაშისას, მადრიდშიც წყალს ფრანგი **ქარიმ ბენზემა** ამღვრევს...

ტურის მთავარი მატჩი „კამპ ნოუზე" გაიმართება - „ბარსელონას" შეუძლია შური იძიოს „სევილიაზე" თასიდან გაგდებისთვის, თანაც ჩემპიონატში ანდალუსიურ კლუბს ტიტულისთვის ბრძოლის ილუზია მოუკლას. არ დაგვავიწყდეს, რომ სევილიაში კატალონიურმა კლუბმა ბრწყინვალედ ითამაშა, უბრალოდ, კარისკენ წასული ყველა ბურთი **ანდრეს პალოპმა** მოიგერია. გამარჯვება „ბარსელონას" ფსიქოლოგიურადაც ძალზე ესაჭიროება, ამ შემთხვევაში სეზონი ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება, მაგრამ თუ გვარდიოლას გუნდი ვერ მოიგებს, სერიოზულ პრობლემებს უნდა ველოდეთ...

„ბარსელონას" ბანაკში ყველა ჯანმრთელადაა ახალგაზრდა **ჟეფრენ სუარესის** გარდა, რომელსაც მაინც არ ჰქონდა სასტარტოში მოხვედრის შანსი. **იაია ტურე** და **სეიდუ კეიტა** კი აფრიკის ერთა თასზე თამაშობენ. მართალია, წინა დღით **დანი ალვეშმა** ვარჯიში გააცდინა, მაგრამ ამის მიზეზი პირადი პრობლემები ყოფილა და არა ტრავმა, გუნდს უბრუნდება დისკვალიფიკაციამოხდილი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**.

**ლუიშ ფაბიანო** უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ ბრაზილიელის გამოჩენა „კამპ ნოუზე" მაინც ნაკლებად მოსალოდნელი გვგონია. ფრანგი მცველი **სებასტიენ სკილაჩი** კოჭის ტრავმის გამო კიდევ რამდენიმე კვირით დააკლდება „სევილიას", ძალზე საეჭვოა **დიეგო პეროტის** თამაშიც. „სევილიას" მთელი აფრიკული ლეგიონი აკლია: **დიდიე ზოკორა**, **არუნა კონე** და **ფრედერიკ კანუტე**.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი, პედრო.

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - სტანკევიჩიუსი, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ნავარო - რომარიკი, დუშერი - ხ. ნავასი, რენატო, კაპელი - ნეგრედო.

არანაკლები (თუ მეტი არა) სირთულის ამოცანა აქვს გადასაჭრელი „სამეფო კლუბს" - „რეალი" სან სებასტიანში ჩადის, სადაც „ატლეტიკთან" დიდი ბრძოლა მოუწევს. დღეისათვის ბასკები 27 ქულით მე-8 ადგილზე არიან. მასპინძლებს არ ეყოლებათ **იონ ველესი**, **იბან სუბიარე** და ახალგაზრდა **აურტენეჩე**, თუმცა ეს სამეული კარგა ხანია ტრავმირებულია. „მალიორკასთან" მატჩში დაშავებული ტრიოდან ორის თამაში გამორიცხულია, **რაფაელ ვან დერ ვაარტი** და **გონსალო იგუაინი** სან სებასტიანში საერთოდ არ მიდიან. **ჩაბი ალონსომ** კი განაახლა ვარჯიში და თამაშის შანსი აქვს. **პეპე** სეზონის ბოლომდეა დამტვრეული, ხოლო **მამადუ დიარა** ანგოლაში იმყოფება. **რუუდ ვან ნისტელროი** ჯერჯერობით მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს და ვერ ითამაშებს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, კოიკილი - გურპეგი, ორბაისი, მარტინესი, სუსაეტა - ტოკერო, ლორენტე.

**რეალი (4-3-1-2):** კასილიასი - არბელოა, გარაი, რამოსი, ალბიოლი - გუტი, ლ. დიარა, გრანერო - კაკა - რონალდო, ბენზემა.

ტური კვირას კიდევ ერთი საინტერესო დაპირისპირებით დასრულდება - „ვალენსია" დერბიში „ვილიარეალს" დაუპირისპირდება. შუა კვირაში თასზე, პორტუგალიელმა **მიგელმა** პირველ ტაიმში ბრწყინვალედ ითამაშა, მან აიკლო თავისი ფლანგი და **ნიკოლა ჟიგიჩს** ორჯერ ჩააწოდა საგოლედ. მეორეში კი გმირი ანტიგმირად იქცა, 30 წლის მცველმა თავურით „საგოლე პასი" მისცა მეტოქე **ლუიშ ფილიპეს**, მეორე გაშვებულ გოლშიც აშკარაა პორტუგალიელის შეცდომა. თასიდან გავარდა „ვილიარეალიც", ოღონდ „ელ სუბმარინო" ქვედა დივიზიონის „სელტასთან" დამარცხდა ორრაუნდიან ორთაბრძოლაში.

**უნაი ემერის** კვლავ არ ეყოლება ბასკი მცველი **ასიერ დელ ორნო**, სამაგიეროდ მომჯობინდა **პაბლო ერნანდესი**. „დეპორტივოსთან" ჟიგიჩი სასტარტოში იყო, ხოლო **დავიდ ვილია** - სათადარიგოთა სკამზე. მიუხედავად იმისა, რომ სერბმა „რიასორზე" დუბლი შეასრულა, ამჯერად ვილია დაიწყებს. „ვილიარეალს" დაცვის ხაზში პრობლემები აქვს, **ივან მარკანო** დისკვალიფიცირებულია, ტრავმირებული არიან **გონსალო როდრიგესი** და **ხავი ვენტა**. შესაძლოა ნახევარმცველმა **სებასტიან ერუგენმა** დაცვაში დაიხიოს „მესტალიაზე".



რეალი ვალდებებასის ბაზაზე ემზადება

### სავარაუდო შემადგენლობები

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - მიგელი, ალექსისი, დეალბერტი, მატიო - ბანეგა, ფერნანდეში - ხოაკინი, სილვა, მატა - ვილია.

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ანხელი, ერუგენი, გოდინი, კაპდევილია - კანი, სენა, ბრუნო, კასორლა - როსი, ნილმარი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 17 | 13 | 4 | 0 | 42-10 | 43 |
| 2. რეალი | 17 | 13 | 2 | 2 | 42-13 | 41 |
| 3. ვალენსია | 17 | 10 | 5 | 2 | 31-17 | 35 |
| 4. დეპორტივო | 17 | 9 | 4 | 4 | 20-16 | 31 |
| 5. სევილია | 17 | 9 | 3 | 5 | 28-17 | 30 |
| 6. მალიორკა | 17 | 9 | 3 | 5 | 30-20 | 30 |
| 7. ხეტაფე | 17 | 9 | 0 | 8 | 26-23 | 27 |
| 8. ბილბაო | 17 | 8 | 3 | 6 | 22-21 | 27 |
| 9. სპორტინგი | 17 | 6 | 6 | 5 | 18-17 | 24 |
| 10. ვილიარეალი | 17 | 6 | 5 | 6 | 26-21 | 23 |
| 11. ატლეტიკო | 17 | 5 | 5 | 7 | 27-28 | 20 |
| 12. რასინგი | 17 | 5 | 4 | 8 | 21-26 | 19 |
| 13. ესპანიოლი | 17 | 5 | 4 | 8 | 12-23 | 19 |
| 14. ალმერია | 17 | 4 | 5 | 8 | 17-27 | 17 |
| 15. ოსასუნა | 17 | 4 | 5 | 8 | 14-20 | 17 |
| 16. ვალიადოლიდი | 17 | 3 | 7 | 7 | 22-31 | 16 |
| 17. ტენერიფე | 17 | 4 | 3 | 10 | 15-35 | 15 |
| 18. მალაგა | 17 | 2 | 8 | 7 | 20-24 | 14 |
| 19. სარაგოსა | 17 | 3 | 4 | 10 | 18-37 | 13 |
| 20. ხერესი | 17 | 1 | 4 | 12 | 7-32 | 7 |



ხარობს აგუერო...

სამეფო თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ატლეტიკო ათამაშდა

ესპანეთში „სამეფო თასის" ყველა მეოთხედფინალისტი გაირკვა. ბოლო ორი დაპირისპირება ძალზე საინტერესო სცენარით წარიმართა, ორივეგან პრიმერა დივიზიონის წარმომადგენლებმა შეძლეს სეგუნდადივიზიონელის გაგდება, არადა, პირველი მატჩების შემდეგ მათი მეტოქეები იყვნენ უკეთეს მდგომარეობაში. „ატლეტიკოს" პირველი მატჩი უელვაში „რეკრეატივოს" წინააღმდეგ 0:3 ჰქონდა წაგებული, თუმცა **კიკე ფლორესის** გუნდმა სასწაული ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და მეტოქე 5:1 დაამარცხა.

კიკე ფლორესმა იმ მომენტისთვის უძლიერესი შემადგენლობა დააყენა, თავდასხმაში კვლავ ვიხილეთ **დიეგო ფორლანისა** და **სერხიო აგუეროს** დუეტი. 22-ე წუთზე დიეგო ფორლანი მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, ბურთი **სიმაოს** დაუგორა და პორტუგალიელმაც ანგარიში გახსნა. მალევე მეორე გოლი გავიდა „რეკრეატივოს" კარში, საგოლე პასის ავტორი ამჯერადაც ფორლანი იყო, ურუგვაელმა ახლა მარცხნიდან ჩააწოდა და „კუნ" აგუერომ ახლო კუთხეში გაუტანა **ბერნარდოს**. ახლა დეფიციტის აღმოფხვრამდე ერთი გოლის გატანაღა რჩებოდა, დრო უხვად იყო და უპირატესობასაც „ათლეტები" ფლობდნენ. მოკლედ, გასაკვირი არაა, რომ 39-ე წუთზე სტუმართა კარში მესამე გოლიც გავიდა - ჩეხმა **ტომაშ უიფალუშიმ** კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაუხვედრა - 3:0.

62-ე წუთზე აგუერომ გაიტანა, თუმცა მისი დარტყმული **მაგნუს ტროესტს** მოხვდა, მიმართულება იცვალა და ისე გავიდა სტუმართა კარში. ამის შემდეგ „ატლეტიკომ" გოლი გაუშვა და ათი კაცის ამარა დარჩა - **კარმონამ** მასპინძელთა დაცვის მარჯვენა ფლანგზე ხვრელი იპოვა და **დე ხეას** რანდევუ მოუგო, **ასუნსაომ** კი მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. 4-1 კი სტუმრებს აწყობდათ, მათ უკან დაიხიეს, მაგრამ მადრიდელთა შეტევებს ბოლომდე მაინც ვერ გაუძლეს. სიმაომ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო, ბურთი „რეკრეატივოს" კარის მარცხენა კუთხის ცხრიანში გავიდა - 5:1 და „ატლეტიკო" მეოთხედფინალშია.

*„დღეს მე ვნახე ბევრი ემოცია და მონდომება. მატჩმა მეტად იმედიანად განმაწყო, ჩვენ 0:3 მატჩის ბედი შემოვატრიალეთ. ახლა მთავარია მიწაზე დავეშვათ და შემდგომი თამაშისთვის მოვემზადოთ",* - განაცხადა მატჩის შემდეგ გახარებულმა კიკე ფლორესმა.

ბალეარის კუნძულების მთავარმა საფეხბურთო კლუბმა, „მალიორკამ" პირველი მატჩი 1:2 წააგო სეგუნდა დივიზიონის „რაიო ვალეკანოსთან", საპასუხო მატჩში კი ძლიერი ქარისა და კოკისპირული წვიმის აკომპანემენტში 3:1 მოიგო. მატჩის ძირითადი დრო დასრულებული იყო, რჩებოდა მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებული წუთები, ანგარიში ზუსტად ერთი კვირის წინანდელი იყო - 2:1 ამჯერად „მალიორკას" სასარგებლოდ, ამიტომ ყველა დამატებით ტაიმებს ელოდა, მაგრამ 91-ე წუთზე **ადურისის** დარტყმული სტუმართა მცველმა ზუსტად **მარიო სუარესის** წინ მოიგერია, ამ უკანასკნელმაც „მალიორკას" მეოთხედფინალის საგზური მოუპოვა.

მაშ ასე, მეოთხედფინალებში (რომლებიც 20 და 27 იანვარს გაიმართება) ერთმანეთს შეხვდებიან: დეპორტივო-სევილია, მალიორკა-ხეტაფე, ატლეტიკო-სელტა, რასინგი-ოსასუნა. 8-დან 7 გუნდი პრიმერა დივიზიონის წარმომადგენელია.

### მალიორკა-რაიო ვალეკ. 3:1 (1:2)

**მალიორკა (4-4-2):** ლუქსი - ხოსემი, რამისი, რუბენი, კორალესი - ვარელა (46. კასტრო), მარტი, ბ. ვალერო, პეზოლანო - ვიქტორი (79. სუარესი), ა. კეიტა (46. ადურისი).

**ვალეკანო (4-4-2):** დანი - ტიტო, სალვა, პელეგრინი, კამილე - ჟოფრე (74. კუერო), რ. გარსია, ანხელი, კოლანტესი (63. მოვილია) - პაჩონი, პიტი (68. აგანსო).

გოლები: 0:1 პიტი (45), 1:1 ვიქტორი (50), 2:1 ვიქტორი (60), 3:1 სუარესი (91)

### ატლეტიკო-უელვა 5:1 (0:3)

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, პერეა (78. იბრა), დომინგესი, ა. ლოპესი - რეიესი, ასუნსაო, ხურადო (74. რ. გარსია), სიმაო - ფორლანი, აგუერო (81. ვალერა).

**უელვა (4-4-1-1):** ბერნარდო - კორკოლესი, ტროესტი, მორა, პენია - პ. სანჩესი (66. ბარალესი), ფუეგო, ვასკესი, აიტორი (80. კანდეიაში) - ანტონი (54. კარმონა) - ფორნაროლი.

**გოლები:** 1:0 სიმაო (22), 2:0 აგუერო (24), 3:0 უიფალუში (39), 4:0 ტროესტი (62 ს.კ.), 4:1 კარმონა (71), სიმაო (83)

ტრანსფერი

## ირჟი იაროშიკი სარაგოსაში

პრიმერას ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „სარაგოსამ" რუსული „კრილია სოვეტოვიდან" გამოცდილი ჩეხი ნახევარმცველი **ირჟი იაროშიკი** შეიძინა. მის სანაცვლოდ ესპანურ გუნდს ევროც არ გადაუხდია, რადგან იაროშიკი თავისუფალი აგენტი იყო. 32 წლის იაროშიკს ბრიტანეთში ისეთ კლუბებში უთამაშია, როგორიც „ჩელსი" და „სელტიკია". ჩეხი პორტუგალიელი **ელიზეუსა** და ჩილელი **უმბერტო სუასოს** შემდეგ „სარაგოსას" მესამე შენაძენია იანვარში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

PREMIER LEAGUE

ინგლისი

# მაქსი, პაჩეკო და ნგოგი?

| დღეს | |
|---|---|
| სტოკი-ლივერპული | 16:45 |
| ჩელსი-სანდერლენდი | 19:00 |
| მანჩესტერ იუნ-ბარნლი | 19:00 |
| პორტსმუთი-ბირმინგემი | 19:00 |
| ტოტენჰემი-ჰალი | 19:00 |
| ვულვზი-უიგანი | 19:00 |
| ევერტონი-მანჩესტერ სიტი | 21:30 |
| **ხვალ** | |
| ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 17:30 |
| ბლექბერნი-ფულჰემი | 19:00 |
| ბოლტონი-არსენალი | 20:00 |

დღეს, საქართველოს დროით 19 საათზე, პირველად ამ კვირის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედს" აღარ შეხედავენ როგორც ფირმას ან ორგანიზაციას, რომელსაც ფინანსურად უჭირს და მის გადასარჩენად ეკონომიკური ოპერაციების მთელი წყება ჩასატარებელი. დღეს „ოლდ ტრეფორდზე" ყველაფერი ბუნებრივი წესისა და რიგის თანახმად დალაგდება - „მანჩესტერ იუნაიტედს" იმის მიხედვით შეაფასებენ, რისთვისაც ეს კლუბი ოდესღაც შექმნეს. დღეს ფეხბურთია!

მოგეხსენებათ, ერთი კვირის წინ, პრემიერლიგის XXI ტურში, ძალიან ბევრი შეხვედრა უამინდობის გამო გადაიდო, მაგრამ „ოლდ ტრეფორდის" გარშემო ტემპერატურა მაინც მაღალი დარჩა. მიზეზი: თურმე ინგლისის ჩემპიონს 711 მილიონი ფუნტი ვალი ჰქონია. თუმცა, ეკონომიკურ საკითხებზე რამდენიმედღიანმა მსჯელობამ, ეჭვი არ არის, თქვენცა და ჩვენც თავი მოგვაბეზრა. სხვა საქმეა, რომ ადამიანს პირდაპირ თვალში გეჩხირება: „იუნაიტედს" საეტაპო პერიოდი უახლოვდება. ფინანსები ფინანსებად და, აგერ, სერ **ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა - 70 წლისა რომ გავხდები, საქმეს ჩამოვცილდები, მანამდე კი მემკვიდრე უნდა შევარჩიოო. როდის გახდება სერ ალექსი 70-ს? სულ რაღაც ერთ წელიწადში - ლეგენდარული შოტლანდიელი ახლახან, 31 დეკემბერს, 69 წლისა გახდა. შეგახსენებთ, რომ ფერგიუსონი „მანჩესტერს" 1986 წელს ჩაუდგა სათავეში და მას მერე უამრავი დიდი თუ პატარა ტიტული მოაპოვებინა. დღეს შინ, „ბარნლისთან" გამარჯვება მორიგი ჯილდოსკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება - ფერგის შეგირდები ინგლისური პრემიერლიგის ისტორიაში უპრეცედენტო მიღწევისთვის, ზედიზედ მეოთხე ოქროსთვის იბრძვიან. მაგრამ სერ ალექსმა ამ შედეგს მართლაც რომ მიაღწიოს, შიში იმისა, რომ მისი წასვლის შემდეგ გუნდი წარმატებული ველარ იქნება, მაინც დარჩება. კლუბმა ოფიციალური განცხადებაც კი გააკეთა:

*„სერ ალექს ფერგიუსონის ნებისმიერი შემცვლელი შეიძლება წარუმატებელი გამოდგეს. გუნდის თამაშის ხარისხის დაცემა კი სახიფათოა, რადგან იგი, სავარაუდოდ, საუკეთესო მწვრთნელებისა და ფეხბურთელების მოდინებაზე უარყოფითად იმოქმედებს".*

„იუნაიტედის" ბატონობას კიდევ ის ზღუდავს, რომ პრემიერლიგის სხვადასხვა კლუბს მდიდარი პატრონები გამოუჩნდა და კონკურენცია გაიზარდა. ზოგადად დღევანდელი მეტოქე „ბარნლიც" კი საშიშია: გუნდს ორიოდ დღის წინ ახალი მწვრთნელი **ბრაიან ლოუსი** დაუნიშნეს და ბუნებრივია, ფეხბურთელები ყველა ღონეს იხმარენ, რომ მას თავი მოაწონონ. თან, ნუ დაგვავიწყდება, რომ აგვისტოში, ამ გუნდების პირველ შეხვედრაში „ბარნლიმ" „იუნაიტედს" 1:0 მოუგო.

საერთოდ, მიმდინარე სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედს" უკვე ხუთი თამაში აქვს წაგებული, თუმცა მიმომხილველები ამბობენ, რომ გუნდის დღევანდელი სურათის სრულყოფილად წარმოდგენისათვის უმჯობესია პრემიერლიგაში წაგებული შეხვედრების გარდა სხვა შეჯიბრებებში ნაწნევ წაგებასაც თუ გავიხსენებთ: ალექს ფერგიუსონის გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში „ბეშიქთაშთან", ხოლო ფეხბურთის ასოციაციის თასზე პირველი ლიგის (ანუ რიგით მესამე ინგლისური დივიზიონის) „ლიდს იუნაიტედთანაც" წააგო. შესაბამისად, სერ ალექსის გუნდს ყველაზე ნაკლებად ახლა სწორედ მორიგი მარცხი სჭირდება, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვითომ ეს მოსალოდნელია? ბოლოსდაბოლოს, „ბარნლის" პრემიერლიგის ბოლო ცხრა შეხვედრაში არ მოუგია და რაღა დღეს მოიგებს? თან, ნუ შეკრთებით და ამ გუნდს „ოლდ ტრეფორდზე" 1962 წლის შემდეგ არ გაუმარჯვია.

ოცდამეორე ტურში პრემიერლიგის ზედა ხუთეულის ოთხი გუნდი შაბათს არის დაკავებული. ლიდერი „ჩელსი" შინ „სანდერლენდს" მასპინძლობს და იმედიანადაა, რადგან **ნიკოლა ანელკა** გამოუჯანმრთელდა. მოგეხსენებათ, **დიდიე დროგბა** და **სალომონ კალუ** აფრიკის თასზე სათამაშოდ ანგოლაში არიან წასულები და მათ არყოფნაში ფორვარდის გამოჯანმრთელებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსალოდნელია, რომ, „სანდერლენდს" ანელკა **დენიელ სტარიჯთან** ერთად შეუტევს. კიდევ, ლონდონელთა სასიხარულოდ, მწყობრში ჩადგა პორტუგალიელი **დეკუც**, მაგრამ მიმომხილველები წერენ, რომ მას ამ ტურში **კარლო ანჩელოტი** სავარაუდოდ არ ათამაშებს.

რაც შეეხება „სანდერლენდს", ამ გუნდს კვლავ არ ეყოლება მცველი **მაიკლ ტერნერი** - გეხსომებათ, ტერნერმა მანჩესტერში „სიტისთან" 4:3 წაგების დღეს **გარეთ ბერის** იდაყვი მიარტყა და ამის გამო ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. „ჩელსისთან" იგი ბოლო შეხვედრას გამოტოვებს. ძალიან საეჭვოა მუხლნატკენი **ნაირონ ნოსუორთის** და კოჭმტკივანი **ანტონ ფერდინანდის** თამაშიც, ასე რომ, „შავ კატებს" ცენტრალური მცველებიდან რიგზე მხოლოდ **პაოლო და სილვა** ეყოლებათ. ნახევარდაცვაში ვერ ითამაშებენ **ლი კატერმოლი** და **ენდი რიდი**, სამაგიეროდ, გამოყოჩაღდნენ **კინუაინ ჯონსი, კირან რიჩარდსონი** და **ბუდევინ ზენდენი**.

ძალიან საინტერესო იქნება „ევერტონისა" და „მანჩესტერ სიტის" შეხვედრა. ამ ტურის წინ ორივე გუნდმა დაამტკიცა, რომ სერიოზული მიზნები აქვს და დიდ ბრძოლას აპირებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ წინა კვირას, „ევერტონმა", ლონდონის „ემირეიტ სთედიუმზე" „არსენალთან" 2:2 ითამაშა და თან ისე, რომ საყოველთაო აზრით ორი ქულა მასპინძლებმა კი არ დაკარგეს, არამედ სტუმრებმა. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები ამ სეზონში პირველად ხვდებიან ერთმანეთს. „ევერტონს" ბოლო 6 საშინაო მატჩიდან 7 ქულა აქვს გამონწურული. ანალოგიური შედეგი აქვს „სიტის", ოღონდ სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში.

„ლივერპულის" გასაჭირზე „ლელოში" ძალიან ბევრს ვწერთ, ამიტომ მკითხველისთვის მერსისაიდელთა დიდი გუნდის პრობლემები კარგად არის ცნობილი. დღეს „წითლები" სტოკში ფრიად შესუსტებული შემადგენლობით თამაშობენ. მოგეხსენებათ, ოპერაციას იკეთებს და ექვსი კვირით გუნდთან აღარ იქნება **ფერნანდო ტორესი**, მოედანზე გასვლაში ტრავმები შეუშლის ხელს კაპიტან **სტივენ ჯერარდსა** და გამორჩეულ ნახევარმცველს **იოსი ბენაიუნს**, რომელსაც ნეკნი ჰქონია გაბზარული. სტატისტიკა კი მეტყველებს, რომ ჩამოთვლილ ტრიოს მიმდინარე სეზონში ერთად 20 გოლი აქვს გატანილი. ერთი სიტყვით, მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** დღეს სტოკში **დავიდ ნგოგის**, გუშინწინ ნაყიდი **მაქსი როდრიგესისა** და ესპანელი ყმაწვილკაცის **დანიელ პაჩეკოს** იმედად უნდა იყოს.

„ტოტენჰემ ჰოთსპური" „უაით ჰართ ლეინზე" „ჰალ სიტის" მასპინძლობს. „ჰალს" ნახევარმცველი **დინ მერნი** დაუბრუნდა. ორთავა კუნთის ტრავმა მოიშუშა **პოლ მაკშეინმაც**, რომელსაც ამ ტრავმამ სამი მატჩი გამოატოვებინა. სამაგიეროდ არ იქნება **ჯიმი ბალარდი**, რომელსაც, როგორც ამბობენ, მუხლი იანვრის ბოლომდე არ მისცემს გასაქანს, და აფრიკის თასზე წასული გაბონელი **დანიელ კუზენი**.

„ბირმინგემ სიტი" პორტსმუთში თავის ახალ შენაძენ **მიჩელს** ათამაშებს. სტუმართა მწვრთნელ **ალექს მაკლიშს** ახალდაშავებული არავინ ჰყავს.

კვირას ორი თამაში იპყრობს ყურადღებას: „ასტონ ვილამ" თეორიულად „ვესტ ჰემს" უნდა მოუგოს და „არსენალი" ბოლტონში ჩადის.

**ილია ბაბუნაშვილი**



მაქსი როდრიგესი დებიუტისთვის მზად არის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 20 | 14 | 3 | 3 | 45-16 | 45 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 21 | 14 | 2 | 5 | 46-19 | 44 |
| 3. არსენალი | 20 | 13 | 3 | 4 | 53-23 | 42 |
| 4. მანჩესტ. სიტი | 20 | 10 | 8 | 2 | 42-28 | 38 |
| 5. ტოტენჰემი | 20 | 11 | 4 | 5 | 42-22 | 37 |
| 6. ასტონ ვილა | 20 | 10 | 5 | 5 | 29-18 | 35 |
| 7. ლივერპული | 20 | 10 | 3 | 7 | 37-25 | 33 |
| 8. ბირმინგემი | 21 | 9 | 6 | 6 | 21-19 | 33 |
| 9. ფულჰემი | 20 | 7 | 6 | 7 | 26-12 | 27 |
| 10. სტოკი | 20 | 6 | 6 | 8 | 18-25 | 24 |
| 11. სანდერლენდი | 20 | 6 | 5 | 9 | 28-231 | 23 |
| 12. ევერტონი | 20 | 5 | 8 | 7 | 28-34 | 23 |
| 13. ბლექბერნი | 21 | 5 | 6 | 10 | 21-39 | 21 |
| 14. ბარნლი | 20 | 5 | 5 | 10 | 22-40 | 20 |
| 15. ვულვზი | 20 | 5 | 4 | 11 | 17-36 | 19 |
| 16. უიგანი | 19 | 5 | 4 | 10 | 21-44 | 19 |
| 17. ვესტ ჰემი | 20 | 4 | 6 | 10 | 28-37 | 18 |
| 18. ბოლტონი | 18 | 4 | 6 | 8 | 26-36 | 18 |
| 19. ჰალი | 20 | 4 | 6 | 10 | 20-42 | 18 |
| 20. პორტსმუთი | 20 | 4 | 2 | 14 | 18-32 | 14 |



უეინ რუნი დიდ გასამრჯელოს ითხოვს

ხელფასები

# რუნის ფულანტროპია

თურმე ნუ იტყვით და, **უეინ რუნის** ისეთი მადა აღძვრია, საქმეში ჩახედული ხალხის თქმით, „მანჩესტერ იუნაიტედმა" შესაძლოა ველარც დაიტოვოსო - იმ თანხას, რუნის გასამრჯელოდ რომ უნდა და იმ თანხას შორის, რისი შეთავაზებაც ინგლისის ჩემპიონს შეუძლია, თურმე საშინელი სხვაობაა. თავდამსხმელისა და კლუბის ახლანდელ ხელშეკრულებას კიდევ ორწლიანი ვადა აქვს, თუმცა მხარეები შეთანხმდნენ, რომ ზაფხულზე დასხდებიან და დაილაპარაკებენ.

ცნობილი გახდა, რომ რუნის აგენტებს მოლაპარაკებების მაგიდასთან მისხდომა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ურჩევნიათ, რადგან იმედოვნებენ, რომ სამხრეთ აფრიკაში მათი კლიენტი გაიბრწყინებს და ფასი ცამდე აუვარდება. თუმცა რაა დასამალი: 24 წლის ვარსკვლავს ხუთი წლის განმავლობაში კვირაში 140 ათასი ფუნტის მიღება სურს. ეს მის დღევანდელ გასამრჯელოზე კვირაში 50 ათასი ფუნტით მეტია.

როგორც ამბობენ, საკუთრივ მანჩესტერში კარგად ჩანს, რომ რუნის **რიო ფერდინანდთან** აქვს „სახელფასო ჯიბრი". ფერდინანდს კვირაში 110 ათას ფუნტს უხდიან, ეს კი ის ჯამაგირია, რომელსაც მადრიდის „რეალში" 80 მილიონ ფუნტად გაყიდვამდე **კრისტიანო რონალდო** იღებდა. იმასაც ამბობენ, რომ რუნი „იუნაიტედის" ერთგული კაცია და გუნდის საჩოთირო მდგომარეობაში ჩაყენებას არ აპირებს, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: მან და მისმა აგენტებმა კარგად იციან, რომ „რეალიცა" და „ბარსელონაც" მზად არიან ხელი სტაცონ და გაზრდილი მადა დაუკმაყოფილონ. მას მერე, რაც პრესაში დაიწერა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" ფინანსურად მძიმე პერიოდი უდგას, ესპანური გოლიათები ტუჩების ლოკვას შეუდგნენ, ინგლისურმა ტაბლოიდებმა კი გამოიკვლიეს, რომ ზაფხულზე ისინი ვაჭრობას 70 მილიონიდან დაიწყებენ - შეგახსენებთ, რომ როგორც ორიოდ დღის წინ გაირკვა, ინგლისის ჩემპიონთა ვალი 711 მილიონი ფუნტი ყოფილა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

იტალია

# გატეხავს ინტერი ნავსს?

| დღეს | |
|---|---|
| კალიარი-ლივორნო | 21:00 |
| ბარი-ინტერი | 23:45 |
| **ხვალ** | |
| მილანი-სიენა | 18:00 |
| რომა-ჯენოა | 18:00 |
| ატალანტა-ლაციო | 18:00 |
| კიევო-იუვენტუსი | 18:00 |
| ფიორენტინა-ბოლონია | 18:00 |
| პარმა-უდინეზე | 18:00 |
| სამპდორია-კატანია | 18:00 |
| ნაპოლი-პალერმო | 23:45 |



„ლეგა ლალჩოს" ყრილობას იტალიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც უკვე გაცნობეთ, დელეგატებმა რამდენიმე კონკრეტული გადაწყვეტილება მიიღეს, რომელთა შორის ერთი ყველაზე უფრო დიდ ინტერესს იწვევს: 2010-11 წლების სეზონიდან სერია A-ს თითოეული ტური ოთხ დღეზე იქნება გაწერილი და არა ორზე, როგორც ეს დღეს არის. თუმცა, არ არის გამორიცხული ეს წესი ძალაში უკვე მომდევნო თვიდან, თებერვლიდან შევიდეს. დიახ, ამ საკითხს **ადრიანო გალიანი** უწევს ლობირებას და უკვე არაერთი მომხრეც გაიჩინა. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტს იმდენად მოსწონს ტურის ოთხ დღეზე გაშლის იდეა, რომ მის ამოქმედებას მომდევნო თვიდან ითხოვს. როგორც ალვნიშნეთ, გალიანის უკვე გამოუჩნდნენ თანამოაზრეები და ვნახოთ, არ არის გამორიცხული, ეს საკითხიც დადებითად გადაწყდეს. ასე რომ, ამ უქმეებზე ორდღიანი ფორმატით შესაძლოა ერთ-ერთი ბოლო ტური გაიმართოს.

სერია A-ს XX ტურში გრანდთა დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ, თუმცა რამდენიმე მეტად საინტერესო პაექრობა გაიმართება. დღევანდელი მატჩებიდან უდავოდ „ბარი"-„ინტერის" ჯახი უნდა გამოვარჩიოთ და თქვენს ყურადღებასაც ამ პაექრობაზე შევაჩერებთ. თავის დროზე, „ბარი" „ინტერისთვის" ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქე იყო. მილანური გრანდი ვერაფერს ახერხებდა კლასით დაბალი რანგის გუნდთან და გასვლაზე თუ სახლში, მუდმივად მარცხდებოდა. მაშინ იტალიაში ასე ამბობდნენ: „ბარის" სულ „ნერაძურისთან" რომ უწევდეს დაპირისპირება, ჩემპიონი გახდებოდაო. ეს ყველაფერი რვა წლის წინ ხდებოდა, შემდეგ კი „ბარი" სერია A-დან გავარდა და მხოლოდ მიმდინარე სეზონში დაუბრუნდა ელიტარულ დივიზიონს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ პირველ წრეში, „ბარიმ" კვლავ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მრისხანე მეტოქეს და „ჯუზეპე მეაცაზე" ფრეს მიაღწია. თუმცა, თუ თამაშის მიმდინარეობას გავითვალისაწინებთ, მისაღწევად საქმე „ინტერს" უფრო ჰქონდა, რომლის კართანაც უამრავი სახიფათო მომენტი შეიქმნა.

არაერთი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე უწევს ფონს გასვლა **ჟოზე მოურინიოს: სამუელ ეტო'ო** და **სალი მუნტარი** აფრიკაში არიან, **ესტებან კამბიასო, დეიან სტანკოვიჩი** და **კრისტიან კივუ** კი ლაზარეთში. ვარჯიშისას დაშავდა **მარკო მატერაციც**, რომლის სასტარტო შემადგენლობაში გამწესებას ჟოზე წინა ტურშიც აპირებდა. კივუს ტრავმამ პორტუგალიელი სპეციალისტის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, მას იმ ფეხბურთელის დაყენება უწევს ძირითადში, რომელსაც ბოლო პერიოდში არ სწყალობს და ამის ნიადაგზე არაერთი კონფლიქტი მოუვიდა. **დივიდე სანტონზე** ვლაპარაკობთ, რომელიც დაცვის მარცხენა ფრთას გაამაგრებს. საპირისპირო ფლანგზე **დუგლას მაიკონი** გაირჯება, ცენტრში კი **ლუსიო** და **ვალტერ სამუელი**. მოურინიო ორი საყრდენით აპირებს თამაშს: ერთი **ხავიერ ძანეტი** იქნება, მეორე სავარაუდოდ **ტიაგო მოტა**. მათ წინ ერთბაშად სამი ფეხბურთელი გაირჯება: მარცხნივ **მარიო ბალოტელი**, მარჯვნივ **გორან პანდევი**, ცენტრში კი **უესლი სნეიდერი**. როგორც უკვე მიხვდით, ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **დიეგო მილიტო** იქნება. ანუ, 4-2-3-1 ტაქტიკა, რომელსაც ჟოზე ბოლო თამაშებში აქტიურად იყენებს.

დანაკლისი „ბარისაც" აქვს და თანაც, საკმაოდ სერიოზული. **დიამუტენე** აფრიკაშია, სადაც კონტინენტის პირველობაზე თამაშობს. ტრავმა აქვს გუნდის წამყვან თავდამსხმელს, **ვიტალი კუტუზოვს** - ისევე როგორც დაცვის ცენტრის ბურჯს, **ანდრეა რანოკიას**. მათი შეცვლა იოლი საქმე არ გახლავთ და **ჯამპიერო ვენტურაც** საგონებელშია ჩავარდნილი. რანოკიას სავარაუდოდ **ნიკოლა ბელმონტე** შეცვლის და ცენტრში **ლეონარდო ბონუჩის** შეუწყვილდება. რაც შეეხება თავდასხმას, კუტუზოვის არყოფნაში „ნერაძურის" **რიკარდო მაჯორინი** და **პაოლო ვიტორ ბარეტო** შეუტევენ. ვენტურა 4-4-2 ტაქტიკის მიმდევარია და სქემას არც მილანურ გრანდთან პაექრობისთვის შეცვლის.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარი:** ჟილე - ა. მაზიელო, ბელმონტე, ბონუჩი, პარისი - ე. ალვარესი, დონატი, გაცი, რივასი - მეჯორინი, პ. ბარეტო.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, სანტონი - ხ. ძანეტი, კამბიასო - ბალოტელი, პანდევი, სნეიდერი - მილიტო.

ყურადღების ცენტრში რჩება **ჩირო ფერარა** და მისი „იუვენტუსი". „ნაპოლისთან" მოგებული სათასო პაექრობის შემდეგ, დროებით შეწყდა იმაზე საუბარი, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი **ვუუს ჰიდინკმა**, ან **დინო ძოფმა** უნდა შეცვალოს. თუმცა თუ დღეს ტურინელებს ხელი მოეცარათ, შესაძლოა პრესა კვლავ ალაპარაკდეს სამწვრთნელო ცვლილებაზე. ფერარასთვის „კიევოსთან" გამარჯვება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან.

„ვეკია სენიორას" ლაზარეთი რომ სავსეა, ძველი ამბავია და იმ ფეხბურთელების გვარებს აღარ ჩამოვთვლით, რომლებიც უკვე კარგა ხანია მკურნალობის პროცესს გადიან. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ლაზარეთს კიდევ ოთხი ფეხბურთელი შეემატა: **მარტინ კასერესი, სებასტიან ჯოვინკო, კრისტიან პოულსენი** და **დავიდ ტრეზეგე**. რამდენად მძიმეა მათი ტრავმები, უახლოეს დღეებში დადგინდება, ფერარას კი გარკვეული პერიოდი მათ გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კარვალიო ამაურის დისკვალიფიკაცია აქვს, „იუვენტუსს" ფაქტობრივად ნომინალური ცენტრფორვარდის გარეშე მოუწევს თამაში.

„გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, „ბიანკონერი" კვლავ 4-4-1-1 ტაქტიკით იასპარეზებს, უკან დახეული თავდამსხმელი **დიეგო რიბასი იქნება**, წინა ხაზზე კი **ალესანდრო დელ პიერო** იმოქმედებს. სწორედ ამ პოზიციაზე გაისარჯა „პინტურიკიო" და თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. ნახევარდაცვაში წესით შემდეგი ოთხეული უნდა ვიხილოთ: **ჰასან სალიჰამიჯიჩი, კლაუდიო მაეკიზიო, პაოლო დე ჩელიე, ფელიპე მელო**. დაცვის მარჯვენა ფლანგზე მარტინ კასერესს **ზდენეკ გრიგერა** შეცვლის, ცენტრში ძირითადის ორივე ფეხბურთელს ვიხილავთ: **კანავაროს** და **კიელინის**, მარცხნივ კი ტრადიციულად **ფაბიო გროსო** გაირჯება.

„კიევო" დანაკლისის გარეშე ხვდება მოახლოებულ პაექრობას, რაც ვერონელთა თავკაცს ძალიან ახარებს. **დომენიკო დი კარლო** ოპტიმისტურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ მისმა გუნდმა მინიმუმ ქულა უნდა აიღოს. ტაქტიკად რომბისებურ 4-4-2-ს აირჩევს, წინა ხაზზე ტრადიციულად **ელვის აბრუსკატო** და **სერჯო პელისიერი** ითამაშებენ, მათ უკან კი **ჯამპიერო პინცი** იმოქმედებს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**კიევო:** სორენტინო - ნ. ფრეი, მანდელი, იეპესი, მანტოვანი - ლუსიანო, რიგონი, მარკოლინი - პინცი - აბრუსკატო, პელისიერი.

**იუვენტუსი:** ბუფონი - გრიგერა, კიელინი, ფ. კანავარო, გროსო - სალიჰამიჯიჩი, ფელიპე მელო, მარკიზიო, დე ჩელიე - დიეგო - დელ პიერო.

შუა კვირაში, სათასო ბატალია „მილანმაც" მოიგო, დაამარცხა რა მინიმალური ანგარიშით მოკრძალებული „ნოვარა". **ლეონარდომ** სერია C-ს ბინადართან ძირითადად ის ფეხბურთელები ათამაშა, რომლებსაც სათადარიგოთა სკამზე უწევთ ჯდომა. ყველაზე უკეთ თავი **მატიო ფლამინიმ** წარმოაჩინა და სავარაუდოდ, კვირის პაექრობაშიც ძირითად შემადგენლობაში იქნება. საქმე იმაშია, რომ **მასიმო ამბროზინის** აქვს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია, ფრანგი კი სწორედ მის პოზიციას დაიკავებს. ფლამინის **ანდრეა პირლო** და **ჯენარო გატუზო** დაუმშვენებენ გვერდს. კვლავ ტრავმირებულია **ალეშანდრე პატო**, ამიტომ შეტევის წინა ხაზი ისეთივე იქნება, როგორიც „ჯენოასთან" და „იუვენტუსთან" პაექრობაში: მარჯვნიდან **დევიდ ბექჰემი** შეუტევს, მარცხნიდან **რონალდინიო**, ცენტრში კი **მარკო ბორიელო** დადგება. უცვლელია დაცვის ხაზიც: **ინაციო აბატე, ტიაგო სილვა, ალესანდრო ნესტა, ლუკა ანტონინი**. კვლავ დაშავებულნი არიან **კლარენს ზეედორფი, ჯანლუკა ძამბროტა** და **მასიმო ოდო**.

„სიენას" ზედიზედ მეორეჯერ უწევს „სან სიროზე" თამაში. ტოსკანელებმა „ინტერთან" დრამატულ პაექრობაში წააგეს და შეეცდებიან, „მილანს" მაინც აწაპნონ ქულები. რაც მთავარია, სრულ მზადყოფნაშია **მასიმო მაკარონე**, რომელმაც „ნერაძურის" ორი შესანიშნავი გოლი გაუტანა. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია აქვს **რეჟინალდოს**, ვინც „ინტერის" წინააღმდეგ მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზა. ვნახოთ, რას შემოგვთავაზებს ამჯერად პირველობის აუტსაიდერი.

### სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი:** დიდა - აბატე, ტიაგო სილვა, ნესტა, ანტონინი - ფლამინი, პირლო, გატუზო - რონალდინიო, ბექჰემი - ბორიელო.

**სიენა:** კურჩი - მ. როსი, ტერცი, ბრანდაო, დელ გროსო - ვერგასოლა, კოდრეა, ფინი - კალაიო, პაოლუჩი - მაკარონე.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 19 | 14 | 3 | 2 | 41-17 | 45 |
| 2. მილანი | 18 | 11 | 4 | 3 | 31-19 | 37 |
| 3. იუვენტუსი | 19 | 10 | 3 | 6 | 32-25 | 33 |
| 4. ნაპოლი | 19 | 9 | 6 | 4 | 29-24 | 33 |
| 5. რომა | 19 | 9 | 5 | 5 | 30-24 | 32 |
| 6. ფიორენტინა | 18 | 9 | 3 | 6 | 25-17 | 30 |
| 7. პალერმო | 19 | 8 | 6 | 5 | 24-21 | 30 |
| 8. პარმა | 19 | 8 | 4 | 7 | 24-26 | 28 |
| 9. კალიარი | 18 | 8 | 3 | 7 | 28-23 | 27 |
| 10. ბარი | 18 | 7 | 6 | 7 | 22-17 | 27 |
| 11. ჯენოა | 18 | 8 | 3 | 7 | 32-32 | 27 |
| 12. სამპდორია | 19 | 7 | 5 | 7 | 22-27 | 26 |
| 13. კიევო | 19 | 7 | 3 | 9 | 20-21 | 24 |
| 14. ლივორნო | 19 | 6 | 3 | 10 | 13-24 | 21 |
| 15. ლაციო | 19 | 4 | 8 | 7 | 15-18 | 20 |
| 16. უდინეზე | 18 | 5 | 4 | 9 | 20-24 | 19 |
| 17. ბოლონია | 18 | 4 | 4 | 10 | 17-26 | 16 |
| 18. კატანია | 19 | 3 | 6 | 10 | 17-28 | 15 |
| 19. ატალანტა | 18 | 3 | 4 | 11 | 15-28 | 13 |
| 20. სიენა | 19 | 3 | 3 | 13 | 21-37 | 12 |

ტრანსფერი

# სტორარიმ კარი შეიცვალა

„სამპდორიას" ოფიციალური ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამიერიდან გენუური კლუბის ღირსებას **მარკო სტორარი** დაიცავს. დიახ, გამოცდილმა კიპერმა „სამპასთან" საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა და „მილანს" მინიმუმ ექვსი თვით გამოეთხოვა. თუ გენუელებს სტორარისთან ხანგრძლივვადიანი კონტრაქტის გაფორმება მოუნდებათ, „როსონერის" ანგარიშზე ორი მილიონი ევროს გადარიცხვა მოუწევთ. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად კარგად დაიცავს „სამპდორიას" კარს ვეტერანი გოლკიპერი. „სამპას" მესვეურებმა სტორარის გადაბირება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც გაცხადდა, რომ გუნდის ძირითადი მეკარე მძიმედ დაშავდა. ექიმების ვერდიქტით, **ლუკა კასტელაცი** მინიმუმ თვე-ნახევარს იუქმებს და მხოლოდ შემდეგ თუ შეძლებს ვარჯიშის განახლებას. ახალ კლუბში გადასვლით სტორარი კმაყოფილია:

*„მადლობა მინდა გადავუხადო „მილანის" მესვეურებს იმისთვის, რომ არ დამაბრკოლეს და „სამპდორიაში" გადასვლის უფლება მომცეს. ეს ჩემი სურვილი იყო და ანგარიში გამიწიეს. „როსონერიში" თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, მაგრამ ყველაზე მთავარი მაკლდა, სათამაშო პრაქტიკა. „სამპდორია" მაღალი მიზნებისთვის იბრძვის, რაც შემთხვევითი არ გახლავთ - გუნდში არაერთი ექსტრაკლასის ფეხბურთელია. სეზონის მეორე ნახევარს სწორედ ამ გუნდში გავატარებ, შემდეგ კი ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს".*

აქვე, ალვნიშნოთ, რომ სტორარი ახალ კლუბში 30-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ბიბლიოთეკა

BUNDES LIGA

# ბერლინელი კობიაშვილის პირველი ბრძოლა

## მაინცს სენსაციის მოხდენა შეუძლია: შეწყდება ლევერკუზენის სერია?

| | |
|---|---|
| **გუშინ** | |
| ბაიერნი-ჰოფენჰაიმი | 2:0 |
| **დღეს** | |
| ჰანოვერი-ჰერტა | 18:30 |
| აინტრახტი-ვერდერი | 18:30 |
| ბორუსია (მ)-ბოხუმი | 18:30 |
| ჰამბურგი-ფრაიბურგი | 18:30 |
| ლევერკუზენი-მაინცი | 18:30 |
| შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 21:30 |
| **ხვალ** | |
| შალკე-ნიურნბერგი | 18:30 |
| კიოლნი-ბორუსია (დ) | 20:30 |

ბუნდესლიგა გუშინ, „ბაიერნისა“ და „ჰოფენჰაიმის“ მატჩით განახლდა და რეკორდმაისტერს მიეცა იმის საშუალება, რომ წელიწად-ნახევრის შემდეგ პირველად, თუნდაც ერთი დღით გალიდერებულიყო. ამ შეხვედრაზე ორშაბათის ნომერში ვრცლად ვისაუბრებთ. მანამდე კი დღევანდელი და ხვალინდელი მატჩების წინათქმას გთავაზობთ.

პირველი წრის გამარჯვებულის, ანუ, „შემოდგომის ჩემპიონის“, „ლევერკუზენის“ ბედი მისსავე ხელშია. **იუპ ჰაინკესის** შეგირდებმა პირველი წრე ძალიან კარგად ჩაატარეს და ამასთან, „ბაიერი“ ერთადერთი გუნდია პირველი წრის შემდეგ, რომელსაც არც ერთი თამაში არ წაუგია. თუმცა აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ „ლევერკუზენმა“ პირველი წრის ბოლო ცხრა მატჩიდან ექვსი ფრედ დაასრულა. თუკი „ფარმაცევტები“ დღეს „მაინცს“ ვერ მოუგებენ, ფაქტობრივად, ლიდერობას კარგავენ. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ ჰაინკესი ვერ გამოიყენებს ტრავმირებულ ფეხბურთელებს: **კასტროს, ლარს ბენდერსა** და **თომას ჟდებელს**. რაც შეეხება „მაინცს“: მართალია, **თომას ტუხელის** გუნდმა პირველ წრეში სენსაციებს მიგვაჩვია და ელიტაში ალზევებული სამეულიდან საუკეთესოა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ „კარნავალელები“ სტუმრად მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურებიან - 1 მოგება, 3 ფრე და 5 მარცხი გასვლით შეხვედრებში. გუნდის მთავარმა თავდამსხმელმა **არისტიდ ბონსემ** აფრიკის თასზე თამაშზე უარი განაცხადა და მაინცში დარჩა - ასე რომ, დღეს ის აუცილებლად ითამაშებს. ამასთან, ერთი კვირის წინ მაინცელებმა მადრიდის „რეალის“ მეორე გუნდის ფორვარდი **ადამ შალაი** გადაიბირეს, ანუ, წინა ხაზი კიდევ უფრო გააძლიერეს.

ბერლინის „ჰერტა“ გადარჩენისთვის ბრძოლას ჰანოვერიდან იწყებს. თუკი ბერლინელებს სურთ, რომ პირველ ბუნდესლიგას დედაქალაქის გუნდი შერჩეს, წარმატებული სერია დღესვე უნდა დაიწყონ. შეგახსენებთ, რომ „ჰერტამ“ პირველ წრეში მხოლოდ 6 ქულას (!) მოუყარა თავი. ბერლინული კლუბის ხელმძღვანელებმა მთავარ მწვრთნელ **ფრიდჰელმ ფუნკელს** არდადეგებზე სამი ახალი, გამოცდილი და საჭირო ფეხბურთელი მიჰგვარეს: საბერძნეთის ნაკრების თავდამსხმელი **თეოფანის გეკასი**, საქართველოს ნაკრების ლიდერი **ლევან კობიაშვილი** და ჩეხეთის ნაკრების მცველი **რომან ჰუბნიკი**. ასე რომ, „ჰერტა“ ახლა უფრო ძლიერია. მასპინძელი „ჰანოვერიც“ არ არის კარგ დღეში - „წითლებს“ ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ, რის გამოც „ქვემო საქსონიაშიც“ ასეთი დევიზი აქვთ: წაგება აკრძალულია! ამ მისიის შესრულებაში დღეს „ჰანოვერს“ მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ არენდით აყვანილი **იან დურიცაც** დაეხმარება.

ახალწვეულებს ფრანკფურტის „აინტრახტის“ მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბეც** ნატრობდა. მას განსაკუთრებით ახალი თავდამსხმელის შეძენა სურდა, მაგრამ სამეთვალყურეო საბჭოს ბოსმა **ჰერიბერტ ბრუხჰაგენმა** ნებისმიერ ტრანსფერს ვეტო დაადო - „აინტრახტს“ ფინანსურად უჭირს. სკიბეს არც ალჟირელი **რაფიკ დიებური** უყიდეს, რის გამოც მწვრთნელმა და ბრუხჰაგენმა იჩხუბეს კიდეც, რის შემდეგაც ჩვენი გერმანელი კოლეგები დღენიადაგ წერენ, რომ სკიბეს დღეები ფრანკფურტული კლუბის მთავარი მწვრთნელის რანგში დათვლილია. სწორედ ასეთ მდგომარეობაშია „აინტრახტი“ ბრემენის „ვერდერთან“ მატჩის წინ. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში, პირველ ტურში, „აინტრახტმა“ შეძლო და ბრემენიდან სამი ქულა წაიღო (3:2). აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ **თომას შააფის** გუნდს გასვლით მატჩებში საკმაოდ კარგი ბალანსი აქვს (4/4/1).



ბერლინს ახალწვეულების, ლევან კობიაშვილისა და თეოფანის გეკასის იმედი აქვს

ბოლო წლების განმავლობაში პირველად მოხდა ისე, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ ზამთარში გუნდის გაძლიერებაზე უარი თქვა და იმ შემადგენლობას ეყრდნობა, რომლითაც პირველ წრეში თამაშობდა და სხვათა შორის, არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდა - „გლადბახმა“ პირველი წრე მე-11 ადგილზე დაასრულა. მიონხენგლადბახელები დღეს „ბოხუმს“ მასპინძლობენ და ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან „ბოხუმს“ გასვლით მატჩებში სამმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს (აქედან ორი მოგება, ერთი ფრე) და უფრო მეტიც - **ჰაიკო ჰერლიხის** გუნდი „ბორუსია პარკიდან“ სამი ქულის წაღებას გეგმავს. „ბოხუმში“ ახალი კაცი **მილოშ მარიჩია** - საყრდენი ნახევარმცველი, რომელსაც ფლეიმეიკერის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია.

დღევანდელი მატჩებიდან ყველაზე საინტერესო „მერსედეს ბენც არენაზე“ გასამართავი შეხვედრაა, რომელშიც ერთმანეთს ადგილობრივი „შტუტგარტი“ და გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი“ ხვდებიან. ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ამ თამაშის შედეგიდან გამომდინარე უნდა გახდეს ცნობილი, როგორ წარიმართება ორივე გუნდისთვის მეორე წრე. შვაბებს წაგების უფლება არ აქვთ, რადგან უნდათ, რომ მათთვის აბსოლუტურად მიუღებელ გასავარდნ ზონას გვარიანად მოშორდნენ. თანაც გასახსენებელია ისიც, რომ „შტუტგარტს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს - შვეიცარიელი **კრისტიან გროსი**, რომლის ხელში შვაბები კარგად ათამაშდნენ. აღსანიშნავია, რომ „შტუტგარტს“ არ ეყოლება ძირითადი მეკარე **იენს ლემანი**, რომელიც პირველი წრის მიწურულიდან მოყოლებული დისკვალიფიცირებულია. „ვოლფსბურგის“ მწვრთნელი **არმინ ფეე** კი ის კაცია, ვინც 2007 წელს „შტუტგარტი“ ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის ჩემპიონი გახადა. დღეს ფეე შტუტგარტში მტრის რანგში პირველად ბრუნდება და საკმაოდ მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული, რადგან „ვოლფსბურგმა“ პირველი წრე მერვე ადგილზე დაასრულა, რაც მოქმედი ჩემპიონისთვის კარგი შედეგი ნამდვილად არ არის. „მგლებს“ ახალი ფეხბურთელები არ შეუძენიათ, სამაგიეროდ, სპორტული დირექტორის პოსტისთვის გამოცდილი **დიტერ ჰიონესი** გადაიბირეს.

„ჰამბურგის“ მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიას** საშველი არ არის - ზამთრის არდადეგები დასრულდა და მას ისევ ძალიან ბევრი წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული. ლაბადიას იმედი აქვს, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ელჯერო ელია** დღეს სალამომდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს. სხვა მხრივ კი „ჰამბურგის“ ძირითადი შემადგენლობა, რომლითაც ჩრდილოელები „ფრაიბურგს“ უნდა დაუპირისპირდნენ, თავისით დაკომპლექტდა. იანვარში მომხდარი ამბებიდან, პოზიტიური იყო ის, რომ მეკარე **ფრანკ როსტმა** გუნდთან კონტრაქტი გააგრძელა. რაც შეეხება „ფრაიბურგს“: ბრაისგაუელთა შემადგენლობაში ბუნდესლიგაში დებიუტი ექნება **ტოპრაკს**, რომელიც, როგორც იქნა, გამოჯანმრთელდა.

„შალკე“ სეზონის მეორე ნახევარს ხვალ, „ნიურნბერგთან“ საშინაო მატჩით იწყებს. ეს შეხვედრა განსაკუთრებულია გელზენკირხენელთა ახალწვეულ **პეერ კლუგესთვის**, რომელმაც ორიოდე კვირის წინ „შალკეს“ სწორედ „ნიურნბერგიდან“ მიაშურა. მიუხედავად არამდგრადი ფინანსური მდგომარეობისა, „შალკეს“ მწვრთნელმა და მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** იანვარში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაიმატა. „ნიურნბერგი“ კი ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლას იწყებს. „ფრანკებმა“ მიუნხენის „ბაიერნიდან“ მცველი **ბრენო** და საყრდენი ნახევარმცველი **ანდრეას ოტლი** ინათხოვრეს და იმედი აქვთ, რომ ეს ფეხბურთელები თავიანთ შესაძლებლობებს დღესვე, გელზენკირხენში დაამტკიცებენ.

მეორე წრის პირველი ტური „კიოლნისა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ დაპირისპირებით დამთავრდება. „კიოლნმა“ პირველ წრეში თავი იმით გამოიჩინა, რომ ძალიან ძლიერი უკანა ხაზი ჰყავს - განსაკუთრებით კარგად ცენტრალური მცველები **ჟერომელი** და **მოჰამადი** გამოიყურებოდნენ, ბრწყინვალე ფორმაში იყო მეკარე **მონდრაგონიც**. სამაგიეროდ, „თხებმა“ წინა ხაზში შეირცხვინეს თავი. მეორე წრისთვის, მთავარი მწვრთნელი **ზვონიმირ სოლდო ლუკას პოდოლსკისგან** და **მილოვოე ნოვაკოვიჩისგან** გოლებს ითხოვს. მაგრამ დღეს პოდოლსკიმ შეიძლება ვერ ითამაშოს.

რაც შეეხება „ბორუსიას“: მოსამზადებელ პერიოდს დორტმუნდელებისთვის კარგად არ ჩაუვლია. ვესტფალიელებმა პირველი წრის მეორე ნახევარი შესანიშნავად ჩაატარეს და გუნდის მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლოპს** არ უნდა, რომ მეორე წრე ცუდად დაიწყონ. „დორტმუნდმა“ იანვარში ვერც ერთი ტესტმატჩის მოგება ვერ შეძლო. ფეხბურთელებს მოტივაცია აკლდათო, ჩიოდა კლოპი, რომელსაც იმედი აქვს, რომ ოფიციალურ მატჩებში მისი შეგირდები ძველებურად გულანთებულები იქნებიან. იურგენი ჩვეულ შემართებას, პირველ რიგში, „კიოლნთან“ ხვალინდელ მატჩში ითხოვს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 18 | 10 | 6 | 2 | 36-15 | 36 |
| 2. ლევერკუზენი | 17 | 9 | 8 | 0 | 35-13 | 35 |
| 3. შალკე | 17 | 10 | 4 | 3 | 26-13 | 34 |
| 4. ჰამბურგი | 17 | 8 | 7 | 2 | 34-19 | 31 |
| 5. ბორუსია (დ) | 17 | 8 | 6 | 3 | 23-17 | 30 |
| 6. ვერდერი | 17 | 7 | 7 | 3 | 32-16 | 28 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 18 | 7 | 4 | 7 | 27-19 | 25 |
| 8. ვოლფსბურგი | 17 | 6 | 6 | 5 | 32-32 | 24 |
| 9. მაინცი | 17 | 6 | 6 | 5 | 21-22 | 24 |
| 10. აინტრახტი | 17 | 6 | 6 | 5 | 22-24 | 24 |
| 11. ბორუსია (მ) | 17 | 6 | 3 | 8 | 24-29 | 21 |
| 12. კიოლნი | 17 | 4 | 6 | 7 | 10-15 | 18 |
| 13. ფრაიბურგი | 17 | 5 | 3 | 9 | 19-33 | 18 |
| 14. ჰანოვერი | 17 | 4 | 5 | 8 | 21-27 | 17 |
| 15. შტუტგარტი | 17 | 3 | 7 | 7 | 16-23 | 16 |
| 16. ბოხუმი | 17 | 4 | 4 | 9 | 18-33 | 16 |
| 17. ნიურნბერგი | 17 | 3 | 3 | 11 | 12-32 | 12 |
| 18. ჰერტა | 17 | 1 | 3 | 13 | 13-39 | 6 |

ბაიერნი

# რუმენიგე: კროოსს ვიბრუნებთ!

## ეს ბიჭი რეკორდმაისტერს თავისთვის სჭირდება

გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ტონი კროოსი** „ბაიერნიდან“ „ლევერკუზენშია“ განათხოვრებული და მის არენდას ვადა სეზონის ბოლოს გასდის. 20 წლის შემტევი ნახევარმცველი შესანიშნავ ფორმაშია და პირველ წრეში, „ლევერკუზენის“ რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. იბადება კითხვა: დატოვებენ მიუნხენელები კროოსს „ბაიერში“, თუ დაიბრუნებენ?

რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** თქმით, კროოსი ზაფხულში „ზებენერშტრასეზე“ დაბრუნდება. *„პირდაპირ გეტყვით, არავითარი დისკუსია არ არსებობს იმის შესახებ, ტონი კროოსი ლევერკუზენში დარჩება, თუ დავიბრუნებთ. 100 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ის მიუნხენში დაბრუნდება,* - აცხადებს რუმენიგე „მიუნხენერ თაგესცაითუნგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *ტონის უახლოეს მომავალში შევხვდები და ამ შეხვედრას დაესწრებიან ლუის ვან გაალი და მენეჯერი კრისტიან ნერლინგერიც. მე მას ავუხსნი, რატომ უნდა დაბრუნდეს მიუნხენში“.*

კროოსის „ბაიერნში“ დაბრუნება არანაირად არ არის დამოკიდებული იმაზე, წავა თუ არა მიუნხენიდან **ფრანკ რიბერი**. შეგახსენებთ, რომ „ლევერკუზენის“ შეფები აქამდე რეგულარულად იმეორებდნენ, კროოსის კიდევ ერთი წლით შენარჩუნება გვინდაო. ბავარიელებმა კროოსი „ლევერკუზენს“ 2008/2009 წლის სეზონის ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ათხოვეს და არენდას ვადა 2010 წლის ივნისში გასდის.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

# სპაგეტი, რემბო და კრიზისის სიმწარე

**ბრაზილიელი იუვენტუსის ფანების წინაშე თავს ვალდებულად თვლის და იმედოვნებს, რომ ბებერი ქალბატონი კრიზისს თავს ჩირო ფერარასთან ერთად დააღწევს**

ინტერვიუ დიეგო რიბას და კუნიასთან

**დოსიე**

***დიეგო რიბას და კუნია***

დაიბადა: 1985 წლის 28 თებერვალი (სან პაულუ, ბრაზილია); მოქალაქეობა: ბრაზილია; ამპლუა: შემტევი ნახევარმცველი (174 სმ, 70 კგ); კლუბები: სანტოსი (2002-04, 64 მატჩი, 21 გოლი), პორტუ (2004-06, 48, 4), ვერდერი (2006-09, 84, 38), იუვენტუსი (2009 წლიდან, 10, 3), ეროვნული ნაკრები: ბრაზილია (2003 წლიდან, 33, 4).



**დიეგო ბავშვობიდან „იუვენტუსის“ გულშემატკივარია და ცხადია, ტურინულ გრანდში თამაში, კერძოდ კი, პირველი სეზონი სულ სხვანაირად წარმოედგინა. ბრაზილიელი გამთამაშებელი პატარაობისას ტურინულ კლუბს იმიტომ ქომაგობდა, რომ იმ დროს „იუვე“ ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური გუნდი იყო და ძალიან იშვიათად გამოდიოდა მწყობრიდან. ბავშვობის ოცნება აიხდინა და დღეს „იუვეში“ თამაშობს, მაგრამ მისი გაიუვენტუსელება ამ გუნდისთვის ცუდ პერიოდს დაემთხვა. ტურინული კლუბი დიეგოსთან ერთად უმძიმეს კრიზისშია. ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის მიცემულ ინტერვიუში, დიეგო უამრავ საინტერესო საკითხზე საუბრობს.**

**- დიეგო, ამას წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, ბავშვობიდან „იუვენტუსის“ ფანი ვარო. შეგიძლიათ, აგვიხსნათ, რატომ მოეწონა ბრაზილიელ ბავშვს იტალიური კლუბი?**

- ბრაზილიაში იტალიის ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი ტრანსლაციებიც გადაიცემოდა, ისევე როგორც სხვა წამყვანი ევროპული ქვეყნების ჩემპიონატების მატჩებისა და მეც ავირჩიე ისეთი გუნდი, რომელსაც ძალიან იშვიათად ჰქონდა კრიზისი. „იუვენტუსი“ ყოველთვის სტაბილურობით გამოირჩეოდა და ამავე დროს, წარმატებებს აღწევდა ჩემპიონთა ლიგაშიც. ჩემი ბავშვობის დროს სერია A-ზე ნამდვილი ბუმი იყო. იტალიის ჩემპიონატი საკმაოდ დიდი უპირატესობით სჯობნიდა ყველა სხვა ქვეყნის ჩემპიონატებს და მეც პირველ რიგში, სწორედ სერია A-ს მატჩებს ვუყურებდი.

**- რომელი ფეხბურთელები იყვნენ თქვენთვის მისაბაძი?**

- როგორც ბრაზილიელს, პირველ რიგში ბრაზილიელი ფეხბურთელები მომწონდა. ჯერ რაი, მერე რომარიო, მერე რონალდო... ჩემი საყვარელი ფეხბურთელების სია ძალიან გრძელია და ყველა რომ ჩამოვთვალო, ვინმე აუცილებლად გამომრჩება.

**- და რაც შეეხება „იუვენტუსის“ ფეხბურთელებს?**

- კონკრეტულად არცერთ „იუვენტუსელზე“ არ გადავრეულვარ, მოგვიანებით გამოჩნდა ალესანდრო დელ პიერო, რომელიც, რა თქმა უნდა, ძალიან მომწონდა. და ის ფაქტი, რომ დღეს მე თვითონ ვთამაშობ „იუვეში“, ჩემთვის უდიდესი პატივი და ფაქტობრივად ახდენილი ოცნებაა. ამ გუნდის ფორმის ტარება ჩემთვის განსაკუთრებული მოვლენაა.

**- როგორ შეაფასებდით იტალიის ნაკრებს? მიგაჩნიათ, რომ „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია?**

- რა თქმა უნდა! პირველ რიგში იმიტომ, რომ იტალია მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია. იტალიის ნაკრები ყოველთვის ძალიან ძლიერია და მისი დამარცხება ყოველთვის უდიდეს სირთულეს წარმოადგენს. ვფიქრობ, რომ იტალიელები სამხრეთ აფრიკაში საკმაოდ კარგად ითამაშებენ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონები ვეღარ გახდებიან. წელს ჩვენი, ბრაზილიელების ჯერია.

**- „იუვენტუსის“ შეფი რომ იყოთ და „ინტერიდან“ ან „მილანიდან“ ნებისმიერი ფეხბურთელის ყიდვა შეგეძლოთ, რომელ მოთამაშეებს აირჩევდით?**

- „ინტერიდან“ მაიკონს, „მილანიდან“ კი, რა თქმა უნდა, რონალდინიოს.

**- როგორ ფიქრობთ, რომელ ფეხბურთელს უნდა მიაქციოს ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს დუნგამ ყურადღება? რომელი ფეხბურთელი არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან?**

- დიეგო რიბას და კუნია. მიმაჩნია, რომ მე სამხრეთ აფრიკაში „სელესაოსთვის“ ძალიან ბევრის გაკეთება შემიძლია.

**- როგორც ამბობენ, „იუვენტუსი“ არაერთ ბრაზილიელ ტალანტს აკვირდება. მაგალითად, ლაპარაკია ალან კარდეცზე, რაფაელ ტოლოისა და დუგლასზე. რა იცით ამ მოთამაშეების შესახებ? მათ გარდა, რომელი ახალგაზრდა ბრაზილიელი ფეხბურთელების ყიდვას ურჩევდით „იუვენტუსის“ ხელმძღვანელებს?**

- ბრაზილიაში უამრავი ტალანტი იბადება. კონკრეტული გვარების დასახელება არ შემიძლია, რადგან ყველას ვერ ვაკვირდები. ერთი რამ კი ცხადია - მინდა, რომ „იუვენტუსში“ უფრო მეტი ბრაზილიელი თამაშობდეს.

**- ტურინელი ფანები მღერიან ხოლმე სიმღერას, რომელიც თავის დროზე „ნაპოლის“ გულშემატკივრებმა დიეგო მარადონას მიუძღვნეს, ოღონდ, ამ შემთხვევაში დიეგოში თქვენ იგულისხმებით... რას გრძნობთ, როცა ეს სიმღერა გესმით?**

- ტურინში პირველივე დღეს უდიდესი სითბო და სიყვარული ვიგრძენი. „იუვენტუსის“ ფანები ისე მექცევიან, რომ ამაზე უკეთეს მოპყრობას ფეხბურთელი ვერ ინატრებს. ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ მათ სამაგიერო დღემდე ვერ გადავუხადე. მართალია, რამდენიმე მატჩი კარგად ჩავატარე, მაგრამ საერთო ჯამში ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვარ. როცა იცი, გაცილებით მეტი შეგიძლია, გული გწყდება, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას ვერ ახერხებ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე მოვა დრო, როცა „იუვეს“ ქომაგებს უდიდესი სიყვარულისთვის საკადრის მადლობას გადავუხდი.

**- რომელ თანაგუნდელს უგებთ ყველაზე კარგად? როგორი ურთიერთობა გაქვთ თანამემამულეებთან, კარვალიო ამაურისთან და ფელიპე მელოსთან?**

- თავიდან მხოლოდ ამაურისთან და მელოსთან ვმეგობრობდი, იმიტომ, რომ ბრაზილიელები არიან. ახლა კი სხვებსაც დავუახლოვდი.

**- თქვენი კარიერიდან რომელ გოლს გამოარჩევდით და საინტერესოა, როგორ გოლზე ოცნებობთ?**

- ფავორიტი არის გოლი, რომელიც „ვერდერში“ თამაშისას მოედნის ცენტრიდან გავიტანე. რაც შეეხება ოცნების გოლს - არაა აუცილებელი, რომ განსაკუთრებული სილამაზის გოლი გავიტანო. მთავარია, ეს იყოს გოლი, რომელიც „იუვენტუსს“ იტალიის ჩემპიონატს ან ჩემპიონთა ლიგას მოაგებინებს, ანაც ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონს გახდის.

**- იტალიური სამზარეულოდან ყველაზე მეტად რომელი კერძი მოგწონთ? რომელია თქვენი საყვარელი ფილმი?**

- იტალიური კერძებიდან ყველაზე მეტად სპაგეტი ალა კარბონარა მიყვარს. მეტიც, ვგიჟდები! რაც შეეხება ფილმებს, ჩემი საყვარელი ფილმი არის „რემბო“.

**- ბრაზილია მალე დატოვეთ, პორტუგალიაში კი პრობლემები გქონდათ. ამ ყველაფერს როგორ ახსნით?**

- მე არ ვფიქრობ, რომ პორტუგალიაში ცუდი პერიოდი მქონდა. მთავარი ის არის, რომ გამოცდილება შევიძინე. ესეც რომ არ იყოს, პორტუგალიაში თამაშისას ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ცხადია, იყო პერიოდი, როცა თავს ცუდად ვგრძნობდი იმის გამო, რომ სათადარიგოთა სკამს ვხეხავდი. ასეთ დროს მამაჩემი ძალიან მეხმარებოდა. ის ჩემი საუკეთესო მეგობარი და მრჩეველია.

**- ოჯახის წევრების გარდა ვინ ითამაშა მთავარი როლი თქვენი კარიერის განვითარებაში?**

- კელსო როთმა. ეს იყო „სანტოსის“ მწვრთნელი, რომელიც პირველი გახლდათ, ვინც მენდო და დიდ ფეხბურთს მაზიარა.

**- ბრაზილია ან გერმანია არ გენატრებათ?**

- რალაც-რალაცები მენატრება, მაგრამ იტალიაში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. როცა შვებულება მეწყება ხოლმე, ბედნიერი ვარ, რომ სამშობლოში ჩასვლა და მეგობრების მონახულება შემიძლია. ძალიან ბევრი და კარგი მეგობარი მყავს გერმანიაშიც.

**- ექსპერტები ამბობენ, რომ იტალიაში ბოლო დროს ტალანტების ნაკლებობაა, რადგან ქუჩის ფეხბურთი ფაქტობრივად აღარ არსებობს. ბრაზილიაში კი ქუჩის ფეხბურთის არარსებობა გამორიცხულია.**

- ეს მართალია, მაგრამ არ ვიცი, როგორ უნდა ებრძოლოს იტალია ამ პრობლემას. სხვათა შორის, ეს არა მარტო იტალიის, არამედ მთელი ევროპის პრობლემაა. რაც უფრო მეტი ბავშვი ითამაშებს ქუჩაში ფეხბურთს, მით უფრო დიდია იმის შანსი, რომ ქვეყანაში ბევრი ტალანტი გაიზარდოს. ბრაზილიაში ფეხბურთი ცხოვრების ნაწილი და უდიდესი ვნებაა. იქ ყველა ბავშვი დიდ ფეხბურთელობაზე ოცნებობს და შესაბამისად, ბევრი ტალანტიც იზრდება.

**- „იუვენტუსს“ ახლა რთული პერიოდი აქვს. გუნდი უმძიმეს კრიზისშია. ექსპერტები ამბობენ, რომ ჩირო ფერარას დღეები „ბებერი ქალბატონის“ თავკაცის რანგში დათვლილია. გვთხოვეთ, რომ ამ საკითხზე არ გვესაუბრა, მაგრამ შეუძლებელია, ინტერვიუ ამ თემის გარეშე დასრულდეს. გულშემატკივრებს თქვენი აზრიც აინტერესებთ...**

- ინტერვიუს დასაწყისში ვთქვი, „იუვენტუსი“ იმიტომ შემიყვარდა, რომ ეს იყო გუნდი, რომელსაც ძალიან იშვიათად ჰქონდა კრიზისი-მეთქი. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ კრიზისი მალე დავძლიოთ. ერთ რამეს ვიტყოდი: ფერარა აქ არაფერ შუაშია. ყოველთვის ნერვები მეშლებოდა იმაზე, რომ პასუხისმგებლობას მხოლოდ მწვრთნელებს აკისრებენ ხოლმე. ჩვენ ერთად ვიგებთ და ერთად ვაგებთ. „იუვენტუსს“ არ გაუმართლა იმ მხრივაც, რომ არაერთი წამყვანი ფეხბურთელი დაუშავდა. მჯერა, რომ მალე კრიზისიდან გამოვალთ - იმედი მაქვს, ჩიროსთან ერთად...

**გოტფრიდ ლენცი**

ბიძინა ბარათაშვილი წარმოგიდგენთ

# იქ, ამერიკაში...

### ევროპის საუკეთესო მწვრთნელი
### ხოსეპ გვარდიოლა

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბებერი კონტინენტის“ ლაურეატთა შორის წელს ბარსელონელებმა გაიმარჯვეს. საუკეთესო ევროპელ მწვრთნელად აღიარეს **ხოსეპ გვარდიოლა**, რომელმაც 55 ხმა მიიღო და 10 ქულით გაუსწრო შოტლანდიელ სერ **ალექს ფერგიუსონს** (45 ხმა). მესამე ადგილი მიეკუთვნა პორტუგალიელ **ჟოზე მოურინიოს** (43). სხვა ნომინანტებს შორის იყვნენ: **გუუს ჰიდინკი** (ჰოლანდია, 15), **კარლო ანჩელოტი** (იტალია, 15), **არსენ ვენგერი** (საფრანგეთი, 13), **ფაბიო კაპელო** (იტალია, 6) და **რადომირ ანტიჩი** (სერბეთი, 4).

### ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი
### ლიონელ მესი

ფეხბურთელთა შორის აქაც **ლიონელ მესიმ** გაიმარჯვა. არგენტინელმა 64 ხმა მიიღო და კონკურენტები სოლიდური მარაგით ჩამოიტოვა: **კრისტიანო რონალდო** (პორტუგალია, 47 ხმა), **ჩავი ერნანდესი** (ესპანეთი, 45) და **ანდრეს ინიესტა** (ესპანეთი, 40), **ჯონ ტერი** (ინგლისი, 35), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი, 34), **მაიკონი** (ბრაზილია, 33), **სტივენ ჯერარდი** (ინგლისი, 32), **ჯანლუიჯი ბუფონი** (იტალია, 30), **დიდიე დროგბა** (კოტ დ'ივუარი, 30), **ნემანია ვიდიჩი** (სერბეთი, 29), **კაკა** (ბრაზილია, 28), **კარლეს პუიოლი** (ესპანეთი, 26), **იკერ კასილიასი** (ესპანეთი, 26), **ეშლი კოული** (ინგლისი, 25).

### ევროპის სიმბოლური ნაკრები

„ელ პაისის“ ვარიანტი სუპერშემტევი და სრულიად ავანტიურულია. თავად განსაჯეთ (1-3-2-3-2): **ბუფონი** (იტალია) - **მაიკონი** (ბრაზილია), **ტერი** (ინგლისი), **ვიდიჩი** (სერბეთი) - **ჩავი, ინიესტა** (ორივე ესპანეთი) - **მესი** (არგენტინა), **ჯერარდი** (ინგლისი), **კრისტიანო რონალდო** (პორტუგალია) - **იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი), **დროგბა** (კოტ დ'ივუარი).

### ამერიკის საუკეთესო მწვრთნელი
### მარსელო ბიელსა

ამ ნომინაციაში ტრადიციულად არგენტინელი სპეციალისტები იმარჯვებენ. ჯამში მათ 12 წარმატება დაუგროვდათ, ამათგან 5 **კარლოს ბიანკის** ანგარიშზეა. ბოლო 4 გამოკითხვაც არგენტინელთა აღიარებით დასრულდა (**კლაუდიო ბორხი, გერარდო მარტინო, ედგარდო ბაუსა, მარსელო ბიელსა**), ხოლო 2008 წელს კონტინენტის საუკეთესო მწვრთნელთა ათეულში ერთბაშად 8 არგენტინელი მოხვდა. საპრიზო სამეულიც მთლიანად ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა შეადგინეს. მაშინ გაიმარჯვა ედგარდო ბაუსამ, რომელმაც ეკვადორის ლდუ-ს „კოპა ლიბერტადორესი“ მოაგებინა. მეორე იყო პარაგვაის ნაკრებში მომუშავე გერარდო მარტინო, მესამე - **მარსელო ბიელსა** (ჩილეს ნაკრები). ნომინანტებში მოხვდნენ აგრეთვე: **დიეგო კანია, კარლოს ისკია, ამერიგო გალიეგო, მიგელ ანხელ რუსო** და **გუსტავო ალფარო**. მონინავე პოზიციები დღემდე მხოლოდ ბიელსამ და მარტინომ შეინარჩუნეს.

მარსელო ბიელსასთვის ეს წელი კარიერაში საუკეთესო იყო. 2004 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მოახერხა, დაევიწყებინა 2002 წლის მუნდიალის კოშმარი (მისი მეთაურობით არგენტინის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა) და კვლავ მიიპყრო ყურადღება, როგორც ჩინებულმა თეორეტიკოსმა. მის მიერ დამოძლვრილმა ჩილეს ნაკრებმა დაარღვია 12-წლიანი „ტრადიცია“ და დამაჯერებლად მოიპოვა მუნდიალის საგზური, ამასთან, აჩვენა შესანიშნავი თამაში და ტურნირში მოპოვებულ გამარჯვებათა რაოდენობით (10) პირველობა პარაგვაის გაუყო.

ჩილელი გულშემატკივრები წარმატებამ ისეთ ეიფორიაში ჩააგდო, ერთმა ნაწილმა ფედერაციას ბიელსასთვის სამუდამო კონტრაქტის გაფორმება მოსთხოვა, მეორე ჯგუფი კი უფრო შორს წავიდა და დღის წესრიგში მისი... წმინდანად შერაცხვა დააყენა!!!

# შევრაცხოთ ბიელსა... წმინდანად!

## 2009 წლის საუკეთესონი

ლათინოამერიკული საფეხბურთო სეზონის შედეგების შეჯამებას დავიწყებთ ამერიკის წლის ლაურეატთა წარმოდგენით.

პირველად კონტინენტის საუკეთესო მოთამაშის გამოვლენა 1971 წელს გადაწყდა. მაშინ ინიციატორი ვენესუელური გაზეთი „ელ მუნდო“ გახლდათ. კონკურსში მონაწილეობდა ნებისმიერი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი, განურჩევლად იმისა, თუ რომელ კონტინენტზე თამაშობდა. გამარჯვება წილად ხვდა „კრუზეიროსა“ და ბრაზილიის ნაკრების გენიალურ ფორვარდ ტოსტაოს.

1985 წელს გაჩნდა ალტერნატივა - კონტინენტის საუკეთესო მოთამაშე. ორგანიზატორის როლი ურუგვაელებმა იკისრეს. მონტევიდეოს გაზეთი „ელ პაისი“ ამ გამოკითხვას 1986 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ატარებს. აქ უკვე მხოლოდ იმათ განიხილავენ, ვინც უშუალოდ სამხრეთამერიკულ (ან მექსიკურ) კლუბში ირიცხება. 1986-1992 წლებში ორივე რედაქცია თავის რჩეულს ასახელებდა, მაგრამ „ელ მუნდოს“ შედეგები არაოფიციალურად ცხადდებოდა და მალე პრიზმა აზრიც დაკარგა.

შერჩევის პრინციპები და რეგლამენტი არაერთხელ შეიცვალა, უცვლელი დარჩა მხოლოდ თარიღი - ყოველ 31 დეკემბერს ურუგვაის დედაქალაქში სახელდება ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო მწვრთნელი. ცალკე ნომინაციებია „ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი“ და „ევროპის საუკეთესო მწვრთნელი“ (ეს უკანასკნელი წელს პირველად დასახელდა), რომლებსაც ურუგვაელთა მიერ შერჩეული ევროპელი სპორტული ჟურნალისტები ძირითად გამოკითხვამდე ერთი დღით ადრე ავლენენ. დაბოლოს, ასახელებენ ევროპისა და ამერიკის სიმბოლურ ნაკრებებს.

ახლა კი გავეცნოთ წლევანდელ გამარჯვებულებს:



მარსელო ბიელსა

რაღა თქმა უნდა, ამ საყოველთაო სიგიჟეს მარსელოს მშობლიურ როსარიოშიც გამოეხმაურნენ. 23 დეკემბერს „ნიუელს ოლდ ბოისმა“, სადაც მან ფეხბურთელობაც მოასწრო და მწვრთნელობაც (1991-92 წლებში მოიგო 2 საჩემპიონო ტიტული და გუნდი „კოპა ლიბერტადორესის“ ფინალში გაიყვანა), დიდი ზეიმი მოაწყო და სადღესასწაულო ვითარებაში თავის ძველ სტადიონს (El Coloso del Parque) „ესტადიო მარსელო ბიელსა“ დაარქვა!!! ძნელად თუ მოძებნით ანალოგს, რომ სტადიონისთვის ცოცხალი და თანაც აქტიური (იგი 54 წლისაა) მწვრთნელის სახელი ენოდებინათ.

ამდენად, ბიელსას გამარჯვება არავის გაჰკვირვებია. მან 116 ხმა მიიღო და დამაჯერებლად აჯობა კონკურენტებს. მომდევნო ადგილები დაიკავეს პრესტიჟულ საკლუბო ტურნირებში გამარჯვებულმა სპეციალისტებმა: 58 ხმით მეორე იყო „კოპა სუდამერიკანასა“ და „რეკოპას“ (სამხრეთ ამერიკის სუპერთასი) მომგები ურუგვაელი **ხორხე ფოსატი** (ლდუ, ეკვადორი), 55 ქულით მესამე-მეოთხე პოზიციები გაიყვეს „კოპა ლიბერტადორესის“ არგენტინელმა ტრიუმფატორმა **ალეხანდრო საბელამ** („ესტუდიანტესი“) და ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა **კარლოს დუნგამ**, რომელმაც 2009 წელს კონფედერაციათა თასიც მოიგო და მუნდიალის შესარჩევი ტურნირიც პირველ პოზიციაზე დაასრულა.

დანარჩენი პრეტენდენტები მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ: არგენტინელი გერარდო მარტინო (პარაგვაის ნაკრები, 15), **ლუიშ ანტონიო „მანო“ მენეზეში** (ბრაზილია, „კორინტიანსი“, 10), **ედუარდო ასევედო** (ურუგვაი, „ნასიონალი“, 3), **ნოელ სანვისენტე** (ვენესუელის ეროვნული გუნდი, 3), **ხავიერ აგირე** (მექსიკის ნაკრები, 3).

ყველა გამარჯვებული: 1986, 1987 - **კარლოს ბილარდო** (არგენტინის ნაკრები), 1988 - **რობერტო ფლეიტასი** (ურუგვაი, „ნასიონალი“), 1989 - **სებასტიანო ლაზარონი** (ბრაზილიის ნაკრები), 1990 - **ლუის კუბილა** (ურუგვაი, „ოლიმპია“ პარაგვაი), 1991 - **ალფიო ბასილე** (არგენტინის ნაკრები), 1992 - **ტელე სანტანა** (ბრაზილია, „სან პაულუ“), 1993 - **ფრანსისკო მატურანა** (კოლუმბიის ნაკრები), 1994, 1998, 2000, 2001, 2003 - **კარლოს ბიანკი** (არგენტინა, „ველეს სარსფილდი“/“ბოკა ხუნიორსი“), 1995 - **ექტორ ნუნიესი** (ურუგვაის ნაკრები), 1996 - **ერნან დარიო გომესი** (კოლუმბიის ნაკრები), 1997 - **დანიელ პასარელა** (არგენტინის ნაკრები), 1999, 2002 - **ლუიშ ფელიპე სკოლარი** („პალმეირასი“/ბრაზილიის ნაკრები), 2004 - **ლუის ფერნანდო მონტოია** (კოლუმბია, „ონსე კალდასი“), 2005 - **ანიბალ რუისი** (ურუგვაი, პარაგვაის ნაკრები), 2006 - **კლაუდიო ბორხი** (არგენტინა, „კოლო კოლო“ ჩილე), 2007 - **გერარდო მარტინო** (არგენტინა, პარაგვაის ნაკრები), 2008 - **ედგარდო ბაუსა** (არგენტინა, ლდუ ეკვადორი), 2009 - **მარსელო ბიელსა** (არგენტინა, ჩილეს ნაკრები).

### ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი
### ხუან სებასტიან ვერონი

შარშანდელი გამარჯვებული **ხუან სებასტიან ვერონი** ამჯერადაც ფავორიტად ითვლებოდა. ზაფხულში ლა პლატის „ესტუდიანტესის“ ლიდერმა კლუბს „კოპა ლიბერტადორესის“ უკანასკნელ გათამაშებაში გაამარჯვებინა და ამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა, დეკემბერში კი ტოლ-სწორად გაეჯიბრა „ბარსელონას“ საკონტინენტთაშორისო თასისთვის პაექრობაში. ალბათ გახსოვთ, რომ არგენტინელებს სულ რაღაც 2 წუთი არ ეყოთ თასის მოსაპოვებლად. დამატებით დროში მათ კარში გატანილმა გადამწყვეტმა გოლმა კი **ლეო მესის** საუკეთესო ფეხბურთელობასთან ერთად თანამემამულეთა (ძირითადად ლა პლატაში) წყევლა და „ანტიარგენტინელის“ მეტსახელი მოუტანა. სხვათა შორის, „ესტუდიანტესის“ კაპიტანი არაბეთიდან „ვერცხლის ბურთით“ დაბრუნდა, როგორც ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთაგან მეორე.

ამჯერად მესი სხვა ნომინაციაში მოხვდა და „ბრუხიტამაც“ გაილაღა. იგი პირველივე დღიდან ლიდერობდა გამოკითხვაში, საბოლოოდ 109 ქულა დააგროვა და სარეკორდო სხვაობით - 45 ხმით (აქამდე რეკორდი ჩილელ **მარსელო სალასს** ეკუთვნოდა) აჯობა მეორე-მესამე ადგილებზე გასულ ჩილელ **უმბერტო სუასოს** („მონტერეი“ მექსიკა, 64) და ეკვადორელ **ედისონ მენდესს** (ლდუ, 64). პირველ ოცეულში მოხვდნენ: **ლეანდრო დესაბატო** (არგენტინა, „ესტუდიანტესი“, 52), **კლაუდიო ბიელერი** (არგენტინა, ლდუ ეკვადორი, 48), **სალვადორ კაბანიასი** (პარაგვაი, „ამერიკა“ მექსიკა, 45), **ნიკოლას ლოდეირო** (ურუგვაი, „ნასიონალი“, 45), **ნიკოლას ოტამენდი** (არგენტინა, „ველეს სარსფილდი“, 43), **მიგელ პინტო** (ჩილე, „უნივერსიდად დე ჩილე“, 43), **ნეისერ რეასკო** (ეკვადორი, ლდუ, 42), **გარი მედელი** (ჩილე, „ბოკა ხუნიორსი“ არგენტინა, 40), **მაურო ბოსელი** (არგენტინა, „ესტუდიანტესი“, 35), **გილერმო ოჩოა** (მექსიკა, „ამერიკა“, 35), **ენრიკე ვერა** (პარაგვაი, ლდუ ეკვადორი, 28), **დარიო კონკა** (არგენტინა, „ფლუმინენსე“ ბრაზილია, 25), **სანტიაგო სილვა** (ურუგვაი, „ბანფილდი“ არგენტინა, 20), **ალდო ბობადილია** (პარაგვაი, „ინდეპენდიენტე“ კოლუმბია, 20), **კლაუდიო მორელ როდრიგესი** (პარაგვაი, „ბოკა ხუნიორსი“ არგენტინა, 19), **როლანდო სკიავი** (არგენტინა, „ნიუელს ოლდ ბოისი“, 18), **ადრიანო** (ბრაზილია, „ფლამენგო“, 17).


ხუან სებასტიან ვერონი

ვერონი, რომელიც 9 მარტს 35 წლის გახდება, 1995 წლიდან დღემდე 8 კლუბის („ესტუდიანტესი“, „ბოკა ხუნიორსი“, „სამპდორია“, „პარმა“, „ლაციო“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“, „ინტერი“) ღირსებას იცავდა და 15 ტიტული აქვს მოპოვებული. არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში (70 მატჩი, 9 გოლი) მან 2 მუნდიალზე იასპარეზა და ახლა მესამესთვის ემზადება. მის შესანიშნავ ფორმაზე მეტყველებს „ლაციოსა“ (20 მლნ. ევრო) და „მანჩესტერ სიტის“ (15 მლნ. გირვანქა 2 სეზონში) მაცდუნებელი წინადადებებიც, რომლებიც ვერონმა ნაახალწლევს უარყო.

### ყველა გამარჯვებული

ელ მუნდო (ვენესუელა): 1971 - **ტოსტაო** (ბრაზილია, „კრუზეირო“), 1972 - **ტეოფილო კუბილასი** (პერუ, „ალიანსა“), 1973 - **პელე** (ბრაზილია, „სანტოსი“), 1974, 1975, 1976 - **ელიას ფიგეროა** (ჩილე, „ინტერნასიონალი“ ბრაზილია), 1977, 1981, 1982 - **ზიკო** (ბრაზილია, „ფლამენგო“), 1978 - **მარიო კემპესი** (არგენტინა, „ვალენსია“, ესპანეთი), 1979, 1980 - **დიეგო მარადონა** (არგენტინა, „არგენტინოს ხუნიორსი“), 1983 - **სოკრატესი** (ბრაზილია, „კორინთიანსი“), 1984 - **ენცო ფრანჩესკოლი** (ურუგვაი, „რივერ პლეიტი“ არგენტინა), 1985 - **ხულიო სესარ რომერო** (პარაგვაი, „ფლუმინენსე“ ბრაზილია).

არაოფიციალური: 1986, 1989, 1990, 1992 - **დიეგო მარადონა** (არგენტინა, „ნაპოლი“, იტალია/“სევილია“, ესპანეთი), 1987 - **კარლოს ვალდერამა** (კოლუმბია, „დეპორტივო კალი“), 1988 **რუბენ პასი** (ურუგვაი, „რასინგი“ არგენტინა), 1991 - **გაბრიელ ბატისტუტა** (არგენტინა, „ბოკა ხუნიორსი“/“ფიორენტინა“ იტალია).

ელ პაისი (ურუგვაი): 1986 - **ანტონიო ალსამენდი** (ურუგვაი, „რივერ პლეიტი“ არგენტინა), 1987, 1993 - **კარლოს ვალდერამა** (კოლუმბია, „დეპორტივო კალი“/“ატლეტიკო ხუნიორი“), 1988 - **რუბენ პასი** (ურუგვაი, „რასინგი“ არგენტინა), 1989 - **ბებეტო** (ბრაზილია, „ვასკო და გამა“), 1990 - **რაულ ამარილია** (პარაგვაი, „ოლიმპია“), 1991 - **ოსკარ რუჯერი** (არგენტინა, „ველეს სარსფილდი“), 1992 - **რაი** (ბრაზილია, „სან პაულუ“), 1994 - **კაფუ** (ბრაზილია, „სან პაულუ“), 1995 - **ენცო ფრანჩესკოლი** (ურუგვაი, „რივერ პლეიტი“ არგენტინა), 1996 - **ხოსე ლუის ჩილავერტი** (პარაგვაი, „ველეს სარსფილდი“ არგენტინა), 1997 - მარსელო სალასი (ჩილე, „რივერ პლეიტი“ არგენტინა), 1998 - **მარტინ პალერმო** (არგენტინა, „ბოკა ხუნიორსი“), 1999 - **ხავიერ სავიოლა** (არგენტინა, „რივერ პლეიტი“), 2000 - **რომარიო** (ბრაზილია, „ვასკო და გამა“), 2001 - **ხუან რომან რიკელმე** (არგენტინა, „ბოკა ხუნიორსი“), 2002, 2003, 2004 - **კარლოს ტევესი** (არგენტინა, „ბოკა ხუნიორსი“/“კორინთიანსი“ ბრაზილია), 2005 - **ხოსე კარდოსო** (პარაგვაი, „ტოლუკა“ მექსიკა), 2006 - **მატიას ფერნანდესი** (ჩილე, „კოლო კოლო“), 2007 - **სალვადორ კაბანიასი** (პარაგვაი, „ამერიკა“ მექსიკა), 2008, 2009 - **ხუან სებასტიან ვერონი** (არგენტინა, „ესტუდიანტესი“)

### ამერიკის სიმბოლური ნაკრები

ჟურნალისტთა სიმპათია აქაც კონტინენტურ საკლუბო ტურნირებში წარმატებამ განაპირობა. სიმბოლურ ნაკრებში 3 წარმომადგენელი ჰყავს „კოპა სუდამერიკანას“ გამარჯვებულ კიტოს ლდუ-ს (**რეასკო, მენდესი, ბიელერი**), 2 კი „კოპა ლიბერტადორესის“ მომგებ „ესტუდიანტესს“ (**დესაბატო, ვერონი**).

მოკლედ სიმბოლური ნაკრები (1-3-4-3) ასე გამოიყურება: **მიგელ პინტო** (ჩილე) - **ნეისერ რეასკო** (ეკვადორი), **ლეანდრო დესაბატო** (არგენტინა), **ნიკოლას ოტამენდი** (არგენტინა) - **გარი მედელი** (ჩილე), **ედისონ მენდესი** (ეკვადორი), **ხუან სებასტიან ვერონი** (არგენტინა), **ნიკოლას ლოდეირო** (ურუგვაი) - **უმბერტო სუასო** (ჩილე), **სალვადორ კაბანიასი** (პარაგვაი), **კლაუდიო ბიელერი** (არგენტინა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სატრანსფერო




ბენედიქტ ჰიოვედესი

## 20 მილიონი რაფინიასა და ჰიოვედესში

### ვოლფსბურგს ორივე შალკელი უნდა... ახლავე!

როგორც ჩანს, ვოლფსბურგელებს **ფელიქს მაგათისთვის** მადლობის გადახდა ამ ჟესტით სურთ... გერმანიის მოქმედ ჩემპიონს „შალკეს“ ორი მცველის ყიდვა უნდა და ამისათვის 20 მილიონს იხდის. შეგახსენებთ, რომ მაგათი ახლა სწორედ „შალკეს“ წვრთნის, რომელსაც დაახლოებით 140 მილიონი ევროს ოდენობის ვალი აქვს. „მგლების“ ახალი სპორტული დირექტორი, **დიტერ ჰიონესი** ადასტურებს, რომ **რაფინიას** და **ბენედიქტ ჰიოვედესს** უმიზნებს. „მგლები“ მზად არიან, 24 წლის რაფინიას სანაცვლოდ 12 მილიონი გადაიხადონ, ხოლო 21 წლის ჰიოვედესში კი, რომელიც გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა, „შალკეს“ 8 მილიონი მისცენ.

„ვოლფსბურგის“ თავკაც **არმინ ფეჰს** რაფინიას ყიდვა იმიტომ უნდა, რომ **საშა რიტერი** მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშოს. ჰიოვედესმა კი „მგლების“ დაცვის ცენტრი უნდა გააძლიეროს, სადაც ის **ანდრეა ბარძალის** შეუწყვილდება.

გოტფრიდ **ლენცი**

## იუვეს იოზილიც მოუნდა!

### მესუთის დარწმუნებას დიეგო ცდილობს

იტალიური პრესის ცნობით, ტურინის „იუვენტუსმა“ „ვერდერის“ შემტევ ნახევარმცველსა და გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს, **მესუთ იოზილს** დაადგა თვალი. როგორც ჩანს, ტურინელთა მხრიდან მესუთის გადაბირებით დაინტერესებაში მთავარ როლს თამაშობს ზაფხულში „ვერდერიდან“ ტურინში გადაბარგებული **დიეგო**.

„კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, „ბებერი ქალბატონი“ მზადაა, ბრემენულ კლუბს იოზილის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაუხადოს. დიეგო კი ცდილობს, მესუთი ტურინში გადასვლაზე დაითანხმოს. იოზილს „მუსიკოსებთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. „ვერდერის“ შეფები მისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმებას ცდილობენ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდით - ფეხბურთელი უარზეა. იმ შემთხვევაში, თუ იოზილი „ვერდერთან“ სეზონის ბოლომდე ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, „მუსიკოსები“ იძულებულები იქნებიან, მესუთი ზაფხულში გაყიდონ, რათა სარგებელი ნახონ, თორემ ერთი წლის შემდეგ ნიჭიერი ნახევარმცველი „ვერდერს“ უფასოდ დატოვებს.

გოტფრიდ **ლენცი**

● ახალი თაობა

გაელ კაკუტა

# სკანდალური არისტოკრატი

**დღეიდან** გაზეთი „ლელო“ კვირაში ერთხელ მოგიყვებათ ევროპის, სამხრეთ ამერიკისა თუ აფრიკის პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე. მასალაში ძირითადად, მშრალი მონაცემები იქნება მოყვანილი - სათამაშო მახასიათებლები, ციფრები და და ასე შემდეგ.

რუბრიკა იხსნება ფეხბურთელით, რომლის ტრანსფერმა ევროპაში დიდი სკანდალი გამოიწვია.

## საერთო ინფორმაცია

გასული წლის 3 სექტემბერს ფიფას ხელმძღვანელობამ ლონდონის „ჩელსის“ 2011 წლის ბოლომდე აუკრძალა ახალი ფეხბურთელების შეძენა. მიზეზი - კონტრაქტის უკანონო გაფორმება ახალგაზრდა გაელ კაკუტასთან, რომელმაც მიატოვა ფრანგული „ლანსი“ და ინგლისური კლუბის წინადადებას დათანხმდა. ამ ტრანსფერის გამო თავად ფეხბურთელიც დაზარალდა - მას სოლიდური ჯარიმა გადაახდევინეს (780 ათასი ევრო) და ოთხი თვის განმავლობაში აუკრძალეს ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობა.

ბუნებრივია, ასეთი ხმაურიანი საქმე საფეხბურთო ექსპერტებისა და უბრალოდ ცნობისმოყვარე გულშემატკივრების ინტერესის მიღმა ვერ დარჩებოდა. ასეთ პიარს გაელი ნამდვილად არ ელოდა. დღეს ინგლისში მასზე მხოლოდ ზარმაცი არ ლაპარაკობს - ამ ბიჭს ნიჭი მართლაც უხვად აქვს მომადლებული!

კონგოური წარმოშობის ფრანგის პირველი სერიოზული კლუბი „ლილი“ გახდა, რომლის სამოყვარულო გუნდში გაელის ბიძა თამაშობდა. ამ გუნდის საკლუბო სისტემაში კაკუტა რვა წლის ასაკში მოხვდა. როგორც პერსპექტიული ფრანგი ბიჭების შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, მისი პროგრესი შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

2007 წელს ახალგაზრდა ფრანგი ლონდონის „ჩელსიმ“ „მოიპარა“ („ლანსის“ პრეზიდენტ **ჟერვაი მარტელის** სიტყვებით). იქ კაკუტა მაშინვე იქცა „ლურჯების“ აკადემიის მთავარ ვარსკვლავად. 2007-08 წლების სეზონის დასრულების შემდეგ, გაელი წლის საუკეთესო „მოსწავლედ“ აღიარეს. მორიგი ლოგიკური ნაბიჯი იყო საფრანგეთის 17-წლამდელთა ნაკრებში მიწვევა.

ამის შემდეგ წარმოქმნილი პრობლემების (ლაპარაკია ფეხის ორმაგ მოტეხილობაზე და ზემოთ ნახსენებ დისკვალიფიკაციაზე) მიუხედავად, გაელმა **კარლო ანჩელოტის** ყურადღება მიიქცია. იტალიელი სპეციალისტი თითქმის არ აცდენს სარეზერვო გუნდების მატჩებს, ამიტომაც, როცა **სალომონ კალუსა და დიდიე დროგბას** აფრიკის ეროვნებათა თასზე გამგზავრება დადგა დღის წესრიგში, ანჩელოტის ახალ სავარაუდო შენაძენებზე ჩამოუგდეს სიტყვა. მან კი განაცხადა, რომ სჯერა თავისი ახალგაზრდების. გაელის გარდა, კარლო ფორვარდებს - **დენ სტარიჯსა და ფაბიო ბორინის** გულისხმობდა. კაკუტას ძალიან აწყობს სარეზერვო მოთამაშეებისადმი იტალიელის ასეთი დამოკიდებულება.

რვა დეკემბერს ფრანგი ნახევარმცველი „ჩელსის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა.

## თამაშის სტილი

კაკუტა - შემტევი ნახევარმცველის თანამედროვე ნიმუშია, რომელიც არ არის შეზღუდული ერთი კონკრეტული ფლანგით ან მკაცრად მოედნის ცენტრში თამაშით. უნივერსალიზმი სულ უფრო მეტად ფასობს თანამედროვე ფეხბურთში.

იმის გამო, რომ გაელი ცაციაა, მისთვის უფრო მოსახერხებელია ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე თამაში. მაგრამ „ჩელსიში“ ის ხშირად თავდამსხმელების უკან მოქმედებს, ხანდახან მარჯვნივ გადადის, საიდანაც ასევე ქმნის ხიფათს მოწინააღმდეგის კართან.




გაელ კაკუტა

**გაელ კაკუტა**

დაიბადა: 1991 წლის 21 ივნისი, ლილი (საფრანგეთი)
სიმაღლე: 172 სმ
წონა: 67 კგ
სათამაშო ნომერი: 44
ეროვნება: ფრანგი
სათამაშო პოზიცია: მარცხენა ნახევარმცველი, თავდამსხმელი
კლუბი: ჩელსი
ამჟამინდელი ღირებულება: 12 მლნ.
პოტენციური ღირებულება: 25-30 მლნ.
რეიტინგი (12-ბალიანი სისტემით): თამაშის ალქმა 10, სისწრაფე 11, ძალა (ამტანობა) 8, დრიბლინგი - 12, პასი (გრძელი) 10, პასი (მოკლე/საშუალო) 10, თავდადება 7, თავით თამაში 6, სიმამაცე 11, დარტყმა 11, პოტენციალი 12.

კაკუტას ძალიან კარგი სასტარტო და დისტანციური სისწრაფე აქვს. ფლანგის მოთამაშისთვის - ეს მნიშვნელოვანი თვისებაა, რადგან კარგი დრიბლინგიც რომ გქონდეთ, სიჩქარის გარეშე რთულია ოპონენტის დაჩაგვრა. როცა მეურვეს უკან მოიტოვებს, ფიქრისთვის ზედმეტ წამს არ კარგავს და სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას.

კაკუტას ვერ ჩავთვლით პლეიმეიკერად ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. იმ დროსაც კი, როცა ის ფორვარდების უკან მოქმედებს, შავკანიანი ფრანგი ძალიან ახლოს დგას შეტევით ხაზთან. სიღრმეში იშვიათად რჩება და უპირატესობას თამაშის ორგანიზებას ანიჭებს.

კარგად წარმოაჩენს თავს კონტრშეტევებზე თამაშისას, როცა საჭიროა წინ მაქსიმალურად სწრაფად წასვლა და მწვავე გადაცემის გაკეთება. თუ არ არსებობს ცენტრიდან პარტნიორის მეკარესთან პირისპირ გაყვანის საშუალება (სწორედ ასეთ კომბინაციას ანიჭებს უპირატესობას და რაც მთავარია, იცის ამის გაკეთება), კარგად გადააქვს ბურთი ფლანგზე, სადაც უფრო მეტი თავისუფალი სივრცეა შეტევის გასამწვავებლად.

ეჭვგარეშეა, რომ „ჩელსის“ 44-ე ნომრის მთავარი ღირსება ბურთის კარგი ფლობაა. „ვულვზთან“ მატჩში, რომელშიც კაკუტას დებიუტი შედგა პრემიერლიგაში, ფრანგმა მაყურებელი რამდენიმე მახვილგონივრული ფინტით გაახარა. თამამი და „თავხედი“ ბიჭი იოლად იტოვებდა უკან „ვულვზის“ გამოცდილ ნახევარმცველებსა და მცველებს და საბოლოოდ მორალურად გატეხა ისინი. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, თუ როგორ გრძნობს გაელი ოპონენტის საყრდენ ფეხს - ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის ველოსიპედის გამოგონება, საკმარისია უბრალოდ გვერდზე გასვლა და მეტოქის უსაქმოდ დატოვება.

კაკუტას ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ ფრანგი „ცალფეხაა“. მას ბრწყინვალე მარცხენა ფეხი აქვს, მარჯვენას კი, როგორც იტყვიან, მხოლოდ სიარულისთვის ხმარობს. ეს ეხება როგორც გადაცემებს გრძელ და მოკლე დისტანციაზე, ასევე შორეულ დარტყმებს. ამიტომაც გაელი ძირითადად მხოლოდ მარცხენა ფეხით მუშაობს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს კაკუტას შედარებით სუსტი ფიზიკური მონაცემები, არადა, ინგლისურმა ფეხბურთმა უკვე დიდი ხანია მიგვაჩვია ათლეტიზმსა და მუდმივ ძალისმიერ ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ 18 წლის ფრანგი ცუდად არ არის ნავარჯიშები, კონტაქტურ ორთაბრძოლებში ხშირად დამარცხებული გამოდის. მეორე სართულზე თამაშის ხსენებაც არ ღირს - ეს არ არის მისი საქმე.

სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში მარჯვენა ფლანგიდან ასრულებდა კუთხურებს და სახიფათოდ ახვევდა ბურთს მეკარის საჯარიმოში. მიუხედავად ამისა, პირველ გუნდში მოგერიების ზონაში იდგა, რათა საჭიროების შემთხვევაში უან დაბრუნებული ბურთი დანიშნულების ადგილისკენ გაეგზავნა. საყვარელი ფეხით დარტყმა კი მართლაც კარგად აქვს დაყენებული.

## მასზე ლაპარაკობენ

**ჯონ ობი მიკელი:** *„კაკუტა ვარჯიშებზე ყოველდღე ამტკიცებს, რომ ის ფანტასტიკური მოთამაშეა. გაელს კიდევ ბევრი რამის სწავლა მოუწევს, მაგრამ უკვე დღეს ჩანს, რომ ის ჩამოყალიბებული ფეხბურთელია. რაც შეეხება ტექნიკას, ის ამ მხრივ საუკეთესოა ჩვენს გუნდში. მას ბუნებრივად გამოსდის ყველანაირი ფინტი. ბურთის მიღებისას ბევრს არ ფიქრობს, რადგან წინასწარ იცის, რა უნდა გააკეთოს“.*

**ჯონ ტერი:** *„გაელი ბრწყინვალე ნიჭის პატრონია. მან სულ ცოტა ხნის წინ მოირჩინა ურთულესი ტრავმა და მაშინვე დაანახვა ყველას, რა შეუძლია - დამაჯერებელი თამაშით საკუთარ თავსაც აიყოლიებს და პარტნიორებსაც. არავის სურს მისი შესაძლებლობების გადაფასება, მას ჯერ ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. მაგრამ გაელი მართლაც ძალიან ნიჭიერია და თავის სამუშაოს შესანიშნავად ასრულებს“.*

**ჯო კოული:** *„საქმე გვაქვს უნიჭიერეს ფეხბურთელთან, რომელსაც წინ დიდი მომავალი აქვს როგორც „ჩელსიში“, ასევე საფრანგეთის ნაკრებში. მაგრამ ჩვენ უნდა შევწყვიტოთ მასზე ზეწოლა და ვაცალოთ სწრაფი ტემპით განვითარება“.*

## ინტერესი

რა ინტერესზეა ლაპარაკი, როცა კაკუტას კონტრაქტი აკავშირებს ძველი კონტინენტის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბთან, რომელიც ფრანგის შესაძენად სერიოზულ მსხვერპლზე წავიდა. ბუნებრივია, გაელის სამსახურზე ბევრი ევროპული ტოპკლუბი არ იტყოდა უარს, მაგრამ მას ლონდონიდან არავინ გაუშვებს.

## პროგნოზი

„ლანსიდან“ „ჩელსიში“ გადასვლისას გამოწვეულმა სკანდალმა ფეხბურთელს კარგი რეკლამა გაუწია. მაგრამ მის ასაკში ამან შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს - კაკუტა მაქსიმალურად უნდა მოარიდონ მოედნისმიღმა ვნებებს, რათა ის მთლიანად კონცენტრირებული იყოს პროგრესზე.

გაელის ნიჭში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ახლა მას უახლოვდება რთული პერიოდი, როცა საჭიროა იუნიორთა ფეხბურთიდან „დიდებში“ გადასვლა და სკეპტიკოსებისთვის იმის დამტკიცება, რომ რაღაცას წარმოადგენს.

გია **თვალაბეიშვილი**

● დანაშაული და სასჯელი

# იუვენტუსს ულტრასები ჩამოაცილეს

„იუვენტუსი“-„ნაპოლის“ სათასო მატჩის მსვლელობისას ტურინელმა ტიფოზებმა კიდევ ერთხელ „გამოიჩინეს თავი“ და შესაბამისად, დაისაჯნენ კიდეც. თუმცა საკითხავია, ამით ვინ უფრო ისჯება - ის კლუბი ხომ არა, რომელსაც თავგამოდებით ქომაგობენ?

მაინც რა მოხდა ასეთი ტურინის „ოლიმპიკოზე“? რა და, მთელი თამაშის განმავლობაში „ულტრასები“ რასისტულ ლოზუნგებს სკანდირებდნენ. თანაც, მათი აგრესიის დიდი ნაწილი... **მარიო ბალოტელისადმი** გახლდათ მიმართული და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ინტერის“ ფორვარდს იმ თამაშთან არანაირი შეხება არ ჰქონია. ეს პირველი



შემთხვევა არ გახლავთ, როცა ტურინელმა „ტიფოზებმა“ სრულიად უმიზეზოდ ბალოტელის მისამართით შეურაცხყოფის კორიანტელი დააყენეს.

ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტმა უკვე იმსჯელა ამ საკითხზე და „იუვეს“ შემდეგი სასჯელი დაუწესა: ჯერ ერთი, რომ „ვეკია სენიორას“ მესვეურებმა 40 000 ევრო უნდა გადაიხადონ, პლუს ამას, გუნდმა უახლოესი საშინაო შეხვედრა („რომასთან“) „ულტრასების“ გარეშე უნდა ჩაატაროს - ანუ, ეგრეთ წოდებული, „კურვა სუდი“, „ოლიმპიკოს“ სამხრეთი ტრიბუნა, საიდანაც ყველაზე დიდი ხმაური ისმის, ცარიელი იქნება.

ლაშა **ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### ქარლინგის თასი

# ორი ძელი და ორი პენალტი


ასტონ ვილა ფინალს მიუახლოვდა

„ქარლინგის“ თასის ნახევარფინალთაგან უფრო საინტერესო, მანჩესტერული გუნდების, „სიტისა“ და „იუნაიტედის“ დაპირისპირება ერთი კვირის წინ დიდთოვლობამ 19 იანვრისთვის გადადო. მეორე კი „ივუდ პარკზე“, „ბლექბერნსა“ და „ასტონ ვილას“ შორის ბირმინგემელი სტუმრების გამარჯვებით - 1:0 დასრულდა. ცნობისათვის: „ასტონ ვილას“ 14 წელიწადია არანაირი ტიტული არ მოუგია და დღეს ფინალს ასე რომ მიუახლოვდა, ნახევარმცველის **ჯეიმს მილნერის** დამსახურებაა. საკუთრივ მილნერისთვის კი ეს გოლი ბოლო 11 შეხვედრაში მე-5 გამოდგა. საპასუხო მატჩი მომდევნო ოთხშაბათს გაიმართება.

თუმცა, „ვილას“ „ივუდ პარკზე“ იოლად ნამდვილად არ უსეირნია: მარტო ის რად ღირს, რომ მასპინძელთა თავდამსხმელმა **ივან კალინიჩმა** ბურთი მათი კარის ძელს ორჯერ გაარტყა. სხვა ამბავია, რომ სტუმრებს პირველ ნახევარში თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდათ და, ალბათ, კიდევ ერთი გოლის გატანაც მართებდათ. ერთადერთი მომენტი, რომელიც „ბლექბერნმა“ შესვენებამდე შექმნა, მესამე წუთზე იყო, როდესაც **დევიდ დანი** სხარტად შემოტრიალდა და დაარტყა. ბურთი ვილაცას მოხვდა, მიმართულება იცვალა და კინაღამ კარში შევარდა.

რაც შეეხება „ასტონ ვილას“ გოლს, ის მილნერისა და **სტიუარტ დაუნინგის** სწრაფი კონტრშეტევის შედეგი გახლდათ - მსოფლიოს ჩემპიონატის წელიწადს მილნერის ასეთი თვალშისაცემი თამაში შესაძლოა 24 წლის ფეხბურთელის სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებითა და ვინ იცის, იქ თავის გამოჩენით დასრულდეს.

ალსანიშნავია, რომ ერთ ეპიზოდში ბირმინგემელი თავდამსხმელი **გებრიელ აგბონლაჰორი** სიმულაციისთვის ყვითელი ბარათით დასაჯეს, რამაც „ვილას“ თავკაცი **მარტინ ონილი** გააბრაზა. ეპიზოდი ასეთი გახლდათ: ხსენებული აგბონლაჰორი **კრის სამბას** ზეწოლით საჯარიმოში დაეცა...

*„ჩემი რწმენით, მსაჯს ამ ეპიზოდში აგბონლაჰორი კი არ უნდა გაეფრთხილებინა, არამედ, ჩვენს სასარგებლოდ პენალტი უნდა დაენიშნა. სამწუხაროდ, პირველად არ ვხდებით ასეთი გადაწყვეტილების მსხვერპლი. ცოტა ხნის წინ, „არსენალთან“ შეხვედრაში, ეშლი იანგი ისე უხეშად მოცელეს, რომ ჰაერში ლამის სამჯერ ამოტრიალდა, მსაჯმა კი მიიჩნია, რომ ის „ყვინთავდა“ და გააფრთხილა, რის გამოც სრულიად უდანაშაულო კაცს თამაშის გამოტოვება მოუხდა. არ დაგიმალავთ, ამ ორმა ეპიზოდმა, მაშინდელმა და დღევანდელმა, გამალიზიანა, რადგან ჩემს ფეხბურთელებს, რომლებიც მოწინააღმდეგეებმა წააქციეს, აქეთ დასდეს თაღლითობაში ბრალი“*, - თქვა ონილმა.

სხვათა შორის, „ბლექბერნთან“ შეხვედრაში „ასტონ ვილას“ სასარგებლოდ კიდევ ერთი პენალტის დანიშვნა შეიძლებოდა. ლაპარაკია იმ ეპიზოდზე, როდესაც **პასკალ შიმბონდამ** თავის საჯარიმოში ხელით ითამაშა. ონილმა განაგრძო:

*„ვფიქრობ კარგად ვითამაშეთ. სტუმრად გავიმარჯვეთ, საპასუხო შეხვედრა კი შინ გვაქვს. გარდა ამისა, არ დანიშნეს თორემ, კიდევ ორი პენალტიც უნდა დაგვერტყა. ძნელია დარწმუნებით თქმა, მაგრამ მსაჯმა მარკ კლეტენბერგმა მგონი კარგად ვერ დაინახა, ვინ შეახო ბურთს ხელი. მას ეგონა, რომ ბურთს ხელი ჩვენმა ფეხბურთელმა გაჰკრა. მართალია, მეორე ტაიმში „ბლექბერნმა“ შემოგვიტია, მაგრამ ამის მიუხედავად ორი ჩინებული საგოლე მომენტი მაინც ჩვენ შევქმენით. საბოლოოდ კი დღევანდელი თამაშის შესახებ ასე შეიძლება ვთქვათ: ჯერ არავინ იცის, ვინ გავა ფინალში, მაგრამ მცირე უპირატესობა ჩვენია“.*

„ბლექბერნის“ თავკაცი **სემ ელერდაისი**: *„დღეს გოლი ვერ გავიტანეთ და ეს ძალიან სამწუხაროა, განსაკუთრებით ნიკო კალინიჩისთვის, რომელმაც ორჯერ ძელს გაარტყა ბურთი. მეორე ტაიმში მთელი გულით ვითამაშეთ. მეტი რა შეგვეძლო? არაფერი. დანარჩენი ბედზეა დამოკიდებული და ვიმედოვნებ, რომ საპასუხო შეხვედრაში ის ჩვენ გაგვიღიმებს“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

### მოსალოდნელი გადაადგილებები

# გუსი, გუსი...

ზოგადად, მოთმინებას საზღვარი აქვს, მათ შორის, როგორც ჩანს, ლივერპულშიც: მერსისაიდელთა თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** გულშემატკივრის, ფეხბურთელების და ლეგენდარული ლივერპულელების დიდი რისხვა მოიმკო. ოთხშაბათს, ფეხბურთის ასოციაციის თასზე, „რიდინგთან“ შეურაცხმყოფელი დამარცხების შემდეგ (1:2), ბენიტესის გადადგომას უკვე ძალიან ბევრი ხალხი ითხოვს. „ლივერპულის“ დიდმა ნახევარმცველმა, 1979-94 წლებში გუნდის განუყოფელმა ნაწილმა **რონი უილანმა** განაცხადა: *„ის უკვე დიდი ხნის წასული უნდა იყოს. ძალიან დაგვიანებულია, მაგრამ რაც არის, არის. მეტი გადადება აღარ შეიძლება“.*

რასაკვირველია, უკვე რაფას შემცვლელის ვარიანტებსაც ასახელებენ. სხვებზე ადრე **ალექს მაკლიშისა და გუს ჰიდინკის** სახელები გაისმა. თავის მხრივ, **ფერნანდო ტორესმა** კლუბის ამერიკელ მეპატრონეებს შეუთვალა, თუ „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ პაექრობა გინდათ, სასწრაფოდ ახალი ფეხბურთელები იყიდეთო. როგორც იცით, ესპანელ თავდამსხმელს „რიდინგთან“ შეხვედრაში მუხლის მყესები დაუწყდა და ახლა, ოპერაციის შემდეგ ექვსი კვირა უნდა გამოსტოვოს. მან თქვა:

*„გასულ სეზონში მეორე ადგილი მოვიპოვეთ და გვეგონა, ეს სეზონი კიდევ უფრო დიდი მიღწევებისა გვექნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ახლა კლუბის მეპატრონეთა ჯერია. მათ სატრანსფერო ბაზარზე ისე უნდა იაქტიურონ, რომ მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ჩვენ დღევანდელზე გაცილებით სრულყოფილი შემადგენლობა გვჭირდება. ჩვენს საუკეთესო ფეხბურთელებს არ უნდა ვყიდდეთ, ხოლო ყიდვით მართლა უმაღლესი კლასის ვარსკვლავებს უნდა ვყიდულობდეთ“.*

„რიდინგთან“ წაგების მეორე დღეს მერსისაიდში **კენი დალგლიშზეც** ალაპარაკდნენ - ამბობენ, რომ ლეგენდარულ ლივერპულელს (გუნდში 1977-90 წლებში თამაშობდა) ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე „სარეანიმაციო სამუშაოების“ ჩატარებას სთხოვენ. მეპატრონეები **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჯილეტი** კი ამასობაში ისეთ ვალებში არიან ჩაფლულნი, რომ ტორესს თხოვნას ნამდვილად ვერ შეუსრულებენ - საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ იანვარში სატრანსფერო ბაზარზე „წითლების“ აქტიურობა გამორიცხულია. სამაგიეროდ, მათ „ბირმინგემის“ დღევანდელი თავკაცის, **ალექს მაკლიშის** თავისებური ნიჭისა და კომპეტენციისა სწამთ. ამბობენ, მცირე ბიუჯეტისგან მაქსიმუმის გამოწურვაში, ამ კაცს ბადალი არ ჰყავსო. მაკლიშს კონტრაქტის თანახმად, „ბირმინგემთან“ კიდევ წელიწად-ნახევარი აკავშირებს. მისი გასამრჯელო წელიწადში 800 000 ფუნტია. შესაბამისად, თუ ლივერპულელები „ლურჯებისგან“ მწვრთნელის გადმობირებას ახლავე შეეცდებიან, რასაკვირველია, მილიონზე მეტი ექნებათ გადასახდელი, მაგრამ თუ სეზონის ბოლომდე დაიცდიან, გაცილებით იაფად გამოვლენ.


გუუს ჰიდინკს ახლა ლივერპულის მთავარ მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებენ

ზემოთ ჰოლანდიელი გუუს ჰიდინკიც ვახსენეთ. ბოლო დღეებში გაირკვა, რომ „ჩელსის“ მეპატრონემ, რუსმა მილიარდერმა **რომან აბრამოვიჩმა** მისთვის, როგორც რუსეთის ნაკრების თავკაცისთვის, წელიწადში 6 მილიონის გადახდაზე უარი განაცხადა, - ფეხბურთის ფედერაციას დაფინანსება შეუწყვიტა - რაც დიდი შანსია ჰოლანდიელის ამ ქვეყნიდან წასვლას ნიშნავდეს. 63 წლის მწვრთნელთან დაახლოებულმა ადამიანებმა თქვეს, რომ მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილეს პრემიერლიგაში დაბრუნება ყველაფერს ურჩევნია, თუმცა კაცმა რომ თქვას, ამას არც თავად ჰიდინკი მალავს:

*„გადაწყვეტილების მიღებამდე რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს უნდა დაველაპარაკო. საერთოდ კი ვადასტურებ, ინგლისურ ფეხბურთში მსურს დაბრუნება. გარდა ამისა, ამოდენა მხარდაჭერის შემდეგ რომან აბრამოვიჩის წინაშე დიდ ვალში ვარ, ამიტომ, თავს ვალდებულად ვთვლი, ყველაფერი ჯერ მას გავანდო და ნაბიჯები მერე გადავდგა“.*

ერთი სიტყვით, ჰიდინკის გადასაბირებლად მუშაობა შეიძლება, მაგრამ კონკურენციაც გასათვალისწინებელია - ჰიდინკის შეძენას „იუვენტუსიც“ ლამობს.

„რიდინგთან“ დამარცხებისა და ფეხბურთის ასოციაციის თასიდან გავარდნის შემდეგ „ლივერპულს“ ერთადერთი მიზანი დარჩა - ევროლიგა. სხვაგან შანსი აღარაფრისა აქვს. რასაკვირველია, გამოტირებული ჯერ არც პრემიერლიგის ოთხეულში შესვლაა, მაგრამ ჩვენ ტიტულებზე მოგახსენებდით და არა ოთხეულებზე..

ტორესმა დასძინა: *„სეზონის დასაწყისში ევროლიგაზე არც ვფიქრობდით, ახლა კი ვალდებულნი ვართ, ამ შეჯიბრებაში მაინც გავიმარჯვოთ“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

# ფერარას ბენიტესი შეცვლისო...

იტალიის თასზე, „ნაპოლისთან“ მოპოვებულმა გამარჯვებამ **ჩირო ფერარას** პოსტი შეუნარჩუნა. თუმცა აპენინური პრესის ვარაუდით, მხოლოდ და მხოლოდ მცირე ხნით. საკმარისია, „იუვეს“ კიდევ ერთხელ დაუცდეს ფეხი, რომ სენიორ ჩიროს საკითხი კვლავ დადგება დღის წესრიგში. ამ უქმეებზე, „ვეკია სენიორას“ „კიევოსთან“ უწევს გასვლითი პაექრობა და ვნახოთ, ბევრი რამ ამ შეხვედრაზეც იქნება დამოკიდებული. ამასობაში, მედიაში ფერარას ახალ შესაძლო მემკვიდრეზე ალაპარაკდნენ.

„იუვენტუსის“ არ იყოს, მიმდინარე სეზონში ვერც „ლივერპული“ ბრწყინავს. „მერსისაიდელები“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას უსახელოდ გამოეთიშნენ და ვერც ინგლისის პირველობაზე დაიკვეხნიან წარმატებული ასპარეზობით. როგორც უკვე მიხვდით, საუბარი **რაფაელ ბენიტესზე** გვაქვს, რომელმაც შესაძლოა უკვე უახლოეს დღეებში დატოვოს „ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი. აპენინელი ჟურნალისტების მტკიცებით, ესპანელ სპეციალისტს „ბიანკონერის“ მესვეურები უკვე შეეხმიანენ და მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. ბენიტესის პოზიცია უცნობია, მაგრამ თუ მართლა მოუწევს ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის დატოვება, წესით, ტურინელთა შეთავაზება დიდი ინტერესით უნდა განიხილოს. რაფაელი არასდროს მალავდა, რომ იტალიაში მუშაობა მისთვის დიდი გამოწვევა იქნებოდა - თავის დროზე, მან „კოვერჩიანოს“ სამწვრთნელო სკოლა დაამთავრა და პროლიცენზიაც სწორედ ფლორენციაში აიღო. ასე რომ, არ არის გამორიცხული, სამომავლოდ ბენიტესი „იუვენტუსის“ სათავეში ვიხილოთ.

**ლაშა ნიკლაური**

### ანგოლა 2010

ჯგუფური ეტაპი

# სპილოები პირველები გავიდნენ

ეს მატჩი კაბინდაში გაიმართა, სწორედ იმ პროვინციაში, სადაც ტოგოს ნაკრებს, B ჯგუფის კიდევ ერთი ბინადარს, ტერორისტები დაესხნენ თავს და დელეგაციის სამი წევრი მოუკლეს, ორი ფეხბურთელი კი მძიმედ დაუჭრეს. ტოგომ თამაშზე უარი თქვა და შესაბამისად, B ჯგუფი სამგუნდიანი გახდა...

კოტ დ'ივუარის ნაკრებმა, ორ მატჩში 4 ქულა მოაგროვა და პირველი გუნდი გახდა, რომელმაც მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა. მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ორ მონაწილეს შორის მატჩში „სპილოებმა“ იყოჩაღეს, საკმაოდ შესუსტებულ განის ნაკრებს ყველა კომპონენტში აჯობეს და 3:1 მოუგეს. არადა, 56-ე წუთის შემდეგ კოტ დ'ივუარის ნაკრები 10 კაცის ამარა დარჩა - „არსენალის“ მცველმა **ემანუელ ებუემ** წითელი ბარათი მიიღო.

გამარჯვებულთაგან ბურთები „ლილის“ ფორვარდმა **კუასი „ჟერვინიო“ იაომ, სიაკა ტიენემ** (საჯარიმო დარტყმით) და **დიდიე დროგბამ** (თავურით) გაიტანეს. განის ნაკრებმა მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა - ბოლო წუთზე შეცვლაზე შესული **ასამოა გიანი სულეიმან ბამბამ** საჯარიმოში წააქცია და პენალტი თავად დაზარალებულმა დაარტყა - 3:1.

ამ ჯგუფიდან მეორე საგზურის ბედი ბოლო ტურში, განისა და ბურკინა ფასოს ნაკრებთა მატჩში გაირკვევა. ბურკინა ფასოს ერთი უპირატესობა აქვს - მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც ჰყოფნის.

**B ჯგუფი**

**კოტ დ'ივუარი-განა 3:1**

**კოტ დივუარი (4-3-3):** კოპა - ტიენე, ბამბა, ტურე, ებუე - ზოკორა, ტურე (71. ფაე), ტიოტე - კალუ (84. კეიტა), დროგბა, ჟერვინიო (60. დემელი).

**განა (4-2-3-1):** კინგსონი - ი. აიევი, ადო, ვორსა, ინკომი - აგიემანგ ბადუ, ნარი (46. ესიენი), ოპოკუ (77. აფული), ასამოა, დ. აიევი (46. ასამოა გიანი) - ამოა.

**გოლები:** 1:0 ჟერვინიო (23), 2:0 ტიენე (67), 3:0 დროგბა (90), 3:1 ასამოა გიანი (90-პენ)

**გაძევება:** ებუე (54)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დ'ივუარი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ბურკინა ფასო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 3. განა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


დიდიე დროგბამ კოტდივუარელთა მესამე გოლი გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოება

# არაოლიმპიური ათეული



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ლევან გორელაშვილი

გუშინ რესტორან „მუზაში“ პარალელურ რეჟიმში ორი ღონისძიება გაიმართა - სპორტული რადიო „ჯაკოს“ 4-წლიანი იუბილე და სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ათეულის დასახელება. საღამოს **ჯამლეთ ხუხაშვილი** და **ნატო ნიჟარაძე** უძღვებოდნენ. არაოლიმპიურ სახეობებში ჟურნალისტთა რჩეული კარატეში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი **ლევან გორელაშვილი** გახდა, რომელმაც დიდი უპირატესობით გაუსწრო კონკურენტებს. მან მსოფლიოს ჩემპიონობა იაპონიაში მოიპოვა, სადაც თავისი წონის გარდა, აბსოლუტურ პირველობაშიც უძლიერესი იყო. გამოკითხვით მეორე ადგილზე სამბოში მსოფლიოს ჩემპიონი **უშანგი კუზანაშვილი** გავიდა, მესამე კი სუმოში ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში **ადამ ოქრუაშვილი** იყო, თუმცა ის უფრო მეტად ძიუდოს ეკუთვნის და არც ქართული ჭიდაობისთვისაა უცხო კაცი - წლეულს სულაც **ალქქსი დავითაშვილის** ჰეგემონია დაამხო და აბსოლუტური ფალავანი გახდა. დიპლომების გარდა, ათეულში შესული სპორტსმენები გურამ სალარაძის წიგნით - „მემკვიდრეობა“ დაჯილდოვდნენ. ამასთან, ათლეტები საკუთარმა ფედერაციებმაც დააჯილდოვეს. მაგალითად, საგარეჯოელ კუზანაშვილს, რომელიც კაჭრეთში ეკლესიას აშენებს, ფედერაციამ წმინდა გიორგის ხატი უსახსოვრა. ხუთეულში შესულ სპორტსმენებს სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელმა ფირმა „ჯეოსპორტმა“ ფორმებით სრული აღჭურვა აღუთქვა. თანაც მათი სურვილის გათვალისწინებით - ვინ რომელი სეზონის ეკიპირებას შეუკვეთავს. ათეულში შესულ სპორტსმენებს საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ** ბაკურიანში, სასტუმრო „პრემიერ-პალასის“ ერთკვირიანი საგზურები გადასცა. ცხადია, ყველაზე გულუხვად გორელაშვილი დააჯილდოვეს, რომელსაც აღნიშნულთა გარდა, ფიტნეს-კლუბის ერთწლიანი საშვი, თურქეთის ავიაკომპანიაში ნებისმიერი მიმართულებით ასევე ერთწლიანი უფასო მგზავრობის უფლება და ისრაელიდან საგანგებოდ გამოგზავნილი დიდეკრანიანი პლაზმური ტელევიზორი გადაეცა.

მოგეხსენებათ, „ჯაკო“ კოტე მახარაძის სახელობისაცაა და მამის სახელის უკვდავყოფისთვის ხუხაშვილს მადლობა საღამოზე მოწვეულმა დიდი კომენტატორის ქალიშვილმა **მაკა მახარაძემ** გადაუხადა. თან სინანულით დასძინა, რომ მამამისის სახელი თბილისში ერთ პატარა ჩიხსაც არ ჰქვია. იმედია, დედაქალაქის მესვეურნი, რომლებიც ღონისძიებას მრავლად ესწრებოდნენ, ამ მართებულ შენიშვნას გაითვალისწინებენ.

ათეული ასე გამოიყურება: 1. ლევან გორელაშვილი (კარატე); 2. უშანგი კუზანაშვილი (სამბო); 3. ადამ ოქრუაშვილი (სუმო); 4. ნანა ძაგნიძე (ჭადრაკი); 5. მამუკა გორგოძე (რაგბი); 6. ბაადურ ჯიობავა (ჭადრაკი); 7. დავით ჯავახია (კინგბოქსინგი); 8. გენადი კვიკვინია (მკლავჭიდი); 9. გოგიტა არქანია (კარატე); 10. პაატა ხმალაძე (ბილიარდი).

ირაკლი **თავაძე**

ჭადრაკი

# სათავეში ისევ სამეული



დავით ჯოჯუა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტური გუშინ დაძაბულად წარიმართა. წინა დღეებისგან განსხვავებით, ამჯერად შვიდიდან ოთხი პარტია შედეგიანად დამთავრდა. ერთადერთი **გიორგი მარგველაშვილისა** და ერთპიროვნული ლიდერის — **მერაბ გაგუნაშვილის** შეხვედრაში არ ყოფილა დიდი შეხლა-შემოხლა. მეტოქენი 31-ე სვლაზე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. სამაგიეროდ, **ლევან ფანცულაია** იყო შემართული მოსაგებად, თუმცა **გაიოზ ნიგალიძემ** შავი ფიგურებით გამოცდილ მოწინაალმდეგეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და ორთაბრძოლა 68-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. 49-ე სვლაზე დაზავდნენ **მალხაზ სულაშვილი** და **დავით ბენიძე.**

რაც დღე გადის, სულ უფრო აოცებს გულშემატკივრებს ახალგაზრდა **ლუკა პაიჭაძე**. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერთგვარად ბედიც სწყალობს. **ბეგლარ ჯობავას** მასთან თეთრი ფიგურებით პაექრობისას ბევრად უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ეტლების ენდშპილში იჩქარა და პარტია წააგო, რითაც პაიჭაძეს საშუალება მისცა, ერთპიროვნულ ლიდერს წამოსწეოდა. **კონსტანტინე შანავამ** კლასით აჯობა **ზურაბ ჯავახაძეს** და უმცროსი კოლეგა 36-ე სვლაზე აიძულა, დანებებულიყო.

აშკარად ვერ არის სასურველ სპორტულ ფორმაში საქართველოს ჩემპიონი **თორნიკე სანიკიძე**, რომელმაც გუშინ მეორე პარტია წააგო. ამჯერად იგი **დავით ჯოჯუას** დანებდა. გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა **თამაზ გელაშვილმა**. მეხუთე ტურში მან **დავით არუთინიანი** დაამარცხა.

სატურნირო მდგომარეობა: **გაგუნაშვილი, შანავა, პაიჭაძე — 3,5-3,5, ჯოჯუა, გელაშვილი — 3-3, ბენიძე, ჯობავა, მარგველაშვილი, ნიგალიძე, არუთინიანი — 2,5-2,5, ფანცულაია — 2, სანიკიძე, სულაშვილი — 1,5-1,5, ჯავახაძე — 1 ქულა.**

დღეს მეექვსე ტურში ითამაშებენ: **პაიჭაძე-გაგუნაშვილი, ნიგალიძე-მარგველაშვილი, შანავა-ფანცულაია, არუთინიანი-ჯავახაძე, სანიკიძე-გელაშვილი, ბენიძე-ჯოჯუა, ჯობავა-სულაშვილი.**

ვაჟა **დანელია**

# პარტია საავედრას ფინალით

**2000 წლის ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე ბულგარელი ვესელინ ტოპალოვისა და დანიელი კურტ ჰანსენის შეხვედრისას პარტიამ ეტლების ენდშპილში ეტიუდის სახე მიიღო:**

ვ. ტოპალოვი-კ. ჰანსენი



**63.ეf8(!)**

შავები ცუგცვანგში არიან. აგებს 63... ეa7 64.მფf6 ეa1 65.მფxf7 მფxh6 66.e6.

**63... მფh6**

თეთრებმა შავების მეფე h6 უჯრაზე მიიტყუეს და ძალთა მინიმალური საშუალებით პატარა საეტიუდო სპექტაკლს დგამენ:

**64.მფf6 ეe6+ 65.მფxf7 ეxe5 66.მფf6**

და მივიღეთ სევილიელი ფერნანდო საავედრას ცნობილი ფინალი ერთროულად ორი მუქარით: შამათი h8-დან და ეტლის აყვანა.

ჰანსენი დანებდა.

ძიუდო

მასტერსის ტურნირი

# წილისყრამ რუსები გვარგუნა

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ დღეს კორეულ სუვონში სეზონის ერთ-ერთი პრესტიჟული შეჯიბრება - მასტერსის ტურნირი იწყება. მსოფლიო რეიტინგიდან გამომდინარე, მასში გამოსვლის უფლება მხოლოდ სამმა ქართველმა მოიპოვა - **ამირან პაპინაშვილმა** (60), **ვალერი ლიპარტელიანმა** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100). გუშინ ჩატარებულმა წილისყრამ მათი მეტოქეებიც გამოავლინა და ქართულ-რუსული დაპირისპირების ინტრიგაც შემოგვთავაზა - სამიდან ორი ჩვენებური პირველ შეხვედრას რუსებთან გამართავს. პაპინაშვილი ტურნირს ევროპის ჩემპიონ **არსენ გალსტიანთან** შეხვედრით იწყებს, ხოლო ლიპარტელიანი მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორ **კირილ დენისოვს** დაეჭიდება. ეს ორთაბრძოლა მეორე წრეში შედგება, რადგან პირველში ორივე ისვენებს. პირველ წრეში ისვენებს ჟორჟოლიანიც, რომლის მეტოქეც ეგვიპტელ მსოფლიოს პრიზიორ **რამადან დარვიშის** და აზიის მესამე პრიზიორის, მონგოლ ტამუულენ **ბატულგას** შეხვედრაში გაირკვევა.

20 წლის სტავროპოლელი გალსტიანი, რომლის წარმატებებს ლამის სომხებიც ითვლიან აქტივში, უმაღლესი რანგის ტურნირებში ქართველებს ჯერ არ შეხვედრია, თუმცა თავისი ყველაზე დიდი გამარჯვება საქართველოში მოიპოვა - ევროპის ჩემპიონატი შარშან თბილისში მოიგო. საინტერესოა, რომ მაშინ ფინალში ქართველს მოუგო, ოღონდ უკრაინის სახელით მოასპარეზეს - **გიორგი ზანთარაიას**. მოგვიანებით გალსტიანმა მსოფლიოს ჩემპიონატზეც იჭიდავა, სადაც პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მოიგო, მესამეში კი ირანელ **ვაჰიდ სარლაკთან** დამარცხდა და გავარდა. პაპინაშვილსა და გალსტიანს შორის გამარჯვებულის მეტოქე ავსტრიელი ევროპის ორგზის ჩემპიონის, ოლიმპიადისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ლუდვიგ პაიშერისა** და ჩეხი **პაველ პეტრიკოვის** შეხვედრაში გაირკვევა. ბადის ამავე ნახევარში მოხვდნენ იაპონელი მსოფლიოსა და კანოს წლევანდელი ტურნირის ვიცე-ჩემპიონი **ჰიროაკი ჰიროაკა** და ფრანგი **დმიტრი დრაჟინიც.**

ქართველებს ორჯერ შეხვედრია დენისოვი და მათ შორის ლიპარტელიანსაც - მასთან თურქეთის ნაკლებად პრესტიჟულ ტურნირზე დამარცხდა, შარშან კი ჰამბურგში მერვედფინალში **მინდია ბოდაველს** აჯობა. მიგვაჩნია, რომ ლიპარტელიანს წილისყრამ მცირედით მაინც გაუმართლა. მართალია, მის ბადეში აღმოჩნდნენ დენისოვი, უზბეკი მსოფლიოს პრიზიორი **დილშოდ ჩორიევი** და კანოს წლევანდელი ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი, იაპონელი **იუია იოშიდა**, მაგრამ მეორე ქვეჯგუფი უფრო ძლიერი გვგონია, სადაც იაპონიის ნაკრების ლიდერი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი და კანოს ტურნირის მოქმედი ჩემპიონი **ტაკაში ონო** და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, კორეელი **კიუ ვონ ლეე** მოხვდნენ. იქით არიან ესპანელი ევროპის ჩემპიონი **დავიდ ალარზა** და აზერბაიჯანელი ევროპის პრიზიორი **ელხან მამადოვიც**. ისინი პირველ წრეში ერთმანეთს ხვდებიან, თუმც ლიპარტელიანის სერიოზულ მეტოქედ არც ერთი მიგვაჩნია, მაინც კარგია, ჩვენებურს რომ ასცდნენ. ლიპარტელიანის ბადეში კიდევ ერთი ძიუდოისტია - იტალიელი **ლორენცო ბანიოლი**, მაგრამ მას ჯერ ისეთი არაფრისთვის მიუღწევია, ტიტულოვან ფალავნად რომ მოგვეხსენიებინა და არც ჩვენებურის სერიოზულ მეტოქედ მიგვაჩნია. თან ის პირველ შეხვედრას ჩორიევთან გამართავს, რომელმაც დეკემბერში კანოს მემორიალზე პირწმინდად დაჩაგრა - სამჯერაც გააფრთხილებინა და ორჯერ ვაზარიზეც დააგდო.

ლიპარტელიანისგან განსხვავებით, წილისყრამ წონის ერთი ლიდერი არგუნა ჟორჟოლიანს - მსოფლიოს ჩემპიონი 90 კილოგრამში, 2003 წლის მსოფლიოს პირველობის ფინალში **ზურაბ ზვიადაურის** მომგები კორეელი, კანოს ტურნირის ჩემპიონი **ჰეე-ტაე ჰვანგი**. ამ ქვეჯგუფიდან ფინალში გასვლის კანდიდატებად რუსი ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **ტაგირ ხაიბულაევი** და ახალგაზრდებში ზედიზედ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჩეხი **ლუკაშ კრპალეკიც** უნდა მივიჩნიოთ. ალბათ, არც დარვიშ-ბატულგას წყვილის ჩამოწერა ივარგებს, თუმცა, როგორც გითხარით, ისინი პირველ წრეში ერთმანეთში ჭიდაობენ და ჟორჟოლიანი სწორედ მათ შორის გამარჯვებულს ხვდება. ჩვენებურს მათთან ჯერ არ უჭიდავია.

ირაკლი **თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

მსოფლიოს თასი

# საგა გრძელდება

თითქოს მინავლებული სომხურ-აზერბაიჯანული საგა ისევ გამოცოცხლდა, ოღონდ ამჯერად არა ძიუდოში (შარშან სწორედ იქ იფეთქა), არამედ - ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. 13-14 თებერვალს ერევანში ჭიდაობის ამ სახეობაში მსოფლიოს თასი ტარდება, რომელშიც აზერბაიჯანის ნაკრებიცაა მიწვეული, როგორც მსოფლიოს მესამე პრიზიორი. ამ ქვეყნების პოლიტიკური „სიამტკბილობა“ მოგეხსენებათ და საგაც სწორედ ამან გააცოცხლა. აზერბაიჯანი ერევანში ჩასვლის და ტურნირში მონაწილეობის წინააღმდეგი არაა, მაგრამ საამისოდ უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს. მათ სომხური მხარისთვის ჯერ ოფიციალურად არ მიუმართავთ და, შესაბამისად, მხარეებს შორის არც მოლაპარაკებები დაწყებულა, მაგრამ შეჯიბრებამდე არც ისე დიდი დროა და კონტაქტები აუცილებლად იქნება. სავარაუდოდ, ამჯერადაც ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, როგორც შარშან, ძიუდოისტთა შემთხვევაში. შეიძლება ითქვას, მაშინ სომხებმა სამაგალითოდაც კი უმასპინძლეს აზერბაიჯანელებს, ახლა კი მით უფრო მოინდომებენ, რადგან 13-18 აპრილს ბაქოში თვითონაც მოუწევთ ჩასვლა ევროპის პირველობაზე. რამდენიმე თვის წინ სომხეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცმა თანხმობაც კი განაცხადა ბაქოში სტუმრობაზე.

სომხებმა ერთხელ უკვე იჭიდავეს ბაქოში - 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მაშინ იქ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები თამაშდებოდა და სხვა გზა არ ჰქონდათ, თორემ 2002 წელს „თავისუფალთა“ ევროპის ჩემპიონატზე (იმ დროს მოჭიდავეები ამ ტურნირს ცალცალკე ატარებდნენ და არა ახლანდელივით ერთად) არ ჩავიდნენ. 2007-ში მათი ჩასვლაც ლამის „ქრისტეს პერანგის“ კერვად იქცა და ჩემპიონატის ბაქოდან გადატანის საკითხიც კი დადგა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, სომეხი მოჭიდავეებისადმი მაყურებელთა უმწვავეს რეაქციას თუ არ ჩავთვლით. ისინი უსტვენდნენ არა მარტო ერევნიდან ჩასულებს, არამედ სხვა გუნდებში მოასპარეზე სომხებსაც და თვით სომხეთის ნაკრებში მოჭიდავე რუსებსა თუ ჩრდილოკავკასიელებს. ერთი სიტყვით, ყველას და ყველაფერს, რასაც სომხური ერქვა.

ეს საგა შარშანაც არანაკლებ დრამატულად განვითარდა, როცა ერევანში ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე აზერბაიჯანელთა ჩასვლის საკითხი დადგა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მაშინ ცეცხლზე ნავთი უფრო სომხურმა მედიამ დაასხა, თორემ ძიუდოს იქაურ ფედერაციას იმთავითვე სავსებით რაციონალური პოზიცია ეკავა. მათი დიდი ძალისხმევით იყო, საბოლოოდ აზერბაიჯანელები კმაყოფილები რომ დაბრუნდნენ სამშობლოში. ამაში მხოლოდ შედეგებს არ ვგულისხმობთ (ხუთივე სპორტსმენი მედალოსანი გაუხდათ. მათ შორის, ოქროსიც) - მართლაც რომ საგულდაგულოდ ზრუნავდნენ ყოველ მათგანზე და დელეგაციის თითეულ წევრს პერსონალური დაცვაც კი მიუჩინეს, ხოლო ბანკეტზე ორჯერ დააკვრევინეს აზერბაიჯანული მუსიკა. ოღონდ არა ჰიმნი - ამისი და აზერბაიჯანული დროშის აფრიალების იმთავითვე ეშინოდათ. არადა, არც ისე დიდი ხნის წინ ამათი ერთმანეთში სტუმრობა წარმოუდგენელი იყო. ადრეული წლებიდან სომხეთისა და აზერბაიჯანის საფეხბურთო ნაკრებთა ჩაშლილი შეხვედრები და დსთ-ს ჩემპიონთა ლიგაზე ამ ქვეყნების კლუბებს შორის ამტყდარი დავიდარაბის გახსენებაც შეიძლება. მისასალმებელია, რომ ბოლო წლებში ვითარება შეიცვალა და დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, მეზობლები ერთმანეთში მაინც მიდი-მოდიან. კიდევ უფრო სასიამოვნოა, რომ ყინული მოჭიდავეებმა გაალღვეს - ჭიდაობა ხომ იმთავითვე რაინდთა სპორტი იყო.

რაც შეეხება მსოფლიოს თასს, მასში მასპინძლების, აზერბაიჯანელების და ჩვენებურთა გარდა თურქები, ირანელები, რუსები, უნგრელები, კუბელები და ამერიკელები გამოვლენ.

დასასრულს, აზერბაიჯანის ნაკრებზე, რომელსაც შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარში **ოთარ ტატიშვილი** წვრთნიდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ქართველი მწვრთნელი წლეულს უკან დაბრუნდება. მისი საქმე ასეა - მსოფლიოს პირველობის შემდეგ ის ისედაც ძირითადად თბილისშია და თავის ჯგუფებს ავარჯიშებს. სპორტის დეპარტამენტმა ხელფასიც დაუნიშნა, მაგრამ სხვა უწყებებიდან ჯერ ისევ ელოდება შეპირებულ გასამრჯელოს. ამასობაში შეთავაზებები სხვა ქვეყნებიდანაც მიიღო, თუმცა მას საქართველოში ურჩევნია დარჩენა. მსურველთა შორის აზერბაიჯანიცაა, მაგრამ ტატიშვილმა მათთან კონტრაქტი აღარ გააგრძელა და მოსაფიქრებად დრო ითხოვა. თუმცა ეს უფრო დროის გაყვანის ტაქტიკაა, თორემ პრინციპულად სურს სამშობლოში მუშაობა. მისი დატოვება სპორტის მმართველებსაც ძალიან უნდათ, რაც გვაიმედებს, რომ ყველა ფინანსური საკითხი დადებითად გადაწყდება და სახელოვანი მწვრთნელი ისევ საქართველოში იმუშავებს.

ირაკლი **თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ თემურ ბენდიაშვილთან

# წლევანდელი შარშანდელზე უკეთესი იქნება


თემურ ბენდიაშვილი

**საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, თბილისის „ლოკომოტივი“ შარშანდელ სეზონში ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. რკინიგზელებს წარუმატებლობის კომპენსაცია საქართველოს თასის მოგებით შეეძლოთ, თუმცა ფინალში აქაც დამარცხდნენ. ერთადერთი პრიზი, რაც ლოკომოტიველებმა გასული სეზონის შედეგების მიხედვით დაიმსახურეს, ყველაზე კორექტულ გუნდად აღიარებაა. რაგბის კავშირმა კი კლუბს საჩუქრად დიღმის მასივში არსებული „ლოკომოტივის“ საწვრთნელი ბაზა გადასცა. გუნდის მომავალ გეგმებზე მთავარ მწვრთნელ თემურ ბენდიაშვილს ვესაუბრეთ.**

- გუნდი დიდი ხანია, ახალი სეზონისთვის ემზადება. წელიწადის ამ დროისთვის ყველა ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ზრუნავს და ჩვენც განსხვავებულს არაფერს ვაკეთებთ. კვირაში სამჯერ დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში ვვარჯიშობთ, დანარჩენ დღეებში კი ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე დავრბივართ.

**- „ლოკომოტივი“ ყოველი სეზონის წინ საკმაოდ დიდ შევსებას იღებს ხოლმე. ამ გუნდში თამაში ბევრისთვის დიდი პატივია. ამჯერად რა მდგომარეობაა?**

- შემადგენლობაში ცვლილებები არ არის. ახალი არავინ მოსულა. ოფიციალურად არც არავის დაუტოვებია გუნდი, თუმცა გამორიცხული არაფერია. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ჩემპიონატში „ლოკომოტივი“ ყველაზე ახალგაზრდული გუნდია. გვყავს ორი გამოცდილი მორაგბე - ბობა კვინიხიძე და ზვიად მაისურაძე, რომლებიც დიდი ხანია, გუნდში თამაშობენ და მათი ძალიან დიდი იმედი მაქვს.

გუნდის მორაგბეთა ნახევარზე მეტი, მაგალითად, გიორგი ნაცარაშვილი, ბაჩუკი გუჯარაიძე, გიორგი ოხგებაშვილი და სხვები, რაგბის სულ რაღაც ორი წელია, თამაშობენ. უკანა ხაზში 19-20 წლის მორაგბეები გვყავს. პერსპექტიული ბიჭები არიან. იმედი მაქვს, რომ დაიხვეწებიან, ოსტატობას აიმაღლებენ, მომავალ ჩემპიონატში ბევრად უკეთესად იასპარეზებენ.

**- ქართულ კლუბებს ნელ-ნელა სპონსორებიც გამოუჩნდნენ. თქვენ ვინ გეხმარებათ ფინანსურად?**

- შარშან „ლოკომოტივის“ სპონსორი „ტელეკომი“ იყო. წლეულსაც ეს კომპანია დაგვეხმარება. მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ჩვენ ცოტა მეტი დახმარება გვჭირდება. კარგია, რომ სპორტის დეპარტამენტმა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეებისთვის პრემიალური თანხა დააწესა. ბიჭების ხელფასს ამ თანხიდან ვისტუმრებთ და ბევრი სხვა პრობლემის მოგვარებასაც ვახერხებთ.

**- „ლოკომოტივი“ ყოველთვის პირველობისთვის იბრძოდა. იმედია, არც ამჯერად შეიცვლება რამე...**

- აუცილებლად ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. წესით, მსაჯებს უხეში შეცდომები რომ არ დაეშვათ, ჩემპიონატი შარშანაც ჩვენ უნდა მოგვეგო. თასის ფინალში არბიტრმა ორი ისეთი შეცდომა დაუშვა, რომელმაც მატჩის შედეგზე გავლენა იქონია. ყოველივე ეს ვიდეოფირზე კარგად ჩანს. გიორგი ამირხანაშვილმა, რომელიც იმ თამაშს სჯიდა, ვიდეოფირის ნახვის შემდეგ შეცდომა აღიარა.

**- „ლოკომოტივის“ წარუმატებელი სეზონის მიზეზი მარტო მსაჯების ბრალია?**

- ცხადია, არა. შარშან როგორც სათამაშო, ისე ყოფითი დისციპლინა არ გვქონდა სათანადო დონეზე. ამის გამო ბევრი დავკარგეთ. ვეცდებით, წლეულს გამოვსწორდეთ.

გვინდა, შევიცვალოთ სათამაშო სტილიც. ვცდილობთ, ისეთი კომბინაციები გავათამაშოთ, როგორსაც უმაღლესი რანგის გუნდები აკეთებენ. ცხადია, სისწრაფე არაა ისეთი, როგორიც ბობოლა გუნდებს აქვთ, მაგრამ ზოგი რამ კარგად გამოგვდის. ვცდილობთ, სამხრეთაფრიკული თამაშის მანერა მაქსიმალურად ავითვისოთ. ეს სტილი ჩვენს ხასიათში ზის, ჩვენი მორაგბეების პოტენციალს ბევრად უკეთ წარმოაჩენს.

ჩვენი მიზანი წლეულს ყველა შეჯიბრებაში გამარჯვებაა, ჩემპიონატიც უნდა მოვიგოთ, თასიც და შვიდკაცაც. ვეცდებით, მაქსიმუმს მივაღწიოთ და რა გამოვა, მომავალი გვიჩვენებს.

**- საქართველოს რაგბის კავშირმა დიღმის მასივში არსებული „ლოკომოტივის“ საწვრთნელი ბაზა გადმოგცათ. ვფიქრობთ, თქვენი გუნდისთვის ეს უძვირფასესი საჩუქარია...**

- ოფიციალურად ეს ბაზა ჯერ ჩვენი არაა, თუმცა გადაწყვეტილება მიღებულია და იმედია, მალე გაგვიპიროვნებენ. სავარჯიშოდ ძალიან კარგია, სათამაშოდ კი - პატარა. აქამდე მორაგბეებს დარტყმაში სავარჯიშო ადგილი არ ჰქონდათ, ახლა კი ექნებათ, რაც გუნდის თამაშში ძალიან ბევრ რამეს გამოასწორებს, მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

დიღმის ბაზას რეკონსტრუქცია სჭირდება, ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. ვეტერანი ლოკომოტიველების დიდი იმედი გვაქვს. მათი დახმარებით, ვფიქრობ, ერთ-ერთ საუკეთესო სპორტულ ბაზას მოვაწყობთ.

ვეტერანები კვირაობით შევიკრიბებით ხოლმე, ვივარჯიშებთ, ვითამაშებთ. ამით საკლუბო პატრიოტიზმი გაიზრდება. ერთად ყოფნით და სწორი მიმართულებით სვლით წინ წავალთ, განვვითარდებით. ვეტერანების მხარდაჭერა კი ახალგაზრდა მორაგბეების საბრძოლო სულისკვეთებას მნიშვნელოვნად გაზრდის.

**- თქვენი კლუბი დღემდე ერთადერთი იყო უმაღლესი ლიგის კლუბებს შორის, რომელსაც ბავშვთა გუნდები არ ჰყავდა. ახლა საწვრთნელი ბაზა გექნებათ. აპირებთ თუ არა კლუბის საქმიანობაში ამ ხარვეზის აღმოფხვრას?**

- ბავშვთა გუნდები უკვე გვყავს. ჩვენს კლუბში გაერთიანდა ბავშვთა გუნდი „რაინდები“, რომელსაც ვახო ზარიძე ხელმძღვანელობს. ამას გარდა, შარშან ჩვენც ავიყვანეთ ბავშვები სავარჯიშოდ. ასე რომ, წლეულს ჭაბუკთა ორივე ლიგაშიც ვიასპარეზებთ და ბავშვთა ფესტივალებშიც მივიღებთ მონაწილეობას.

**- უკვე თქვით, რომ აუცილებლად ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებთ. როგორ ფიქრობთ, რომელი გუნდები იქნებიან ძირითადი კონკურენტები?**

- კონკურენტები ისევ ის გუნდები იქნებიან, ვინც შარშან იყო. მხოლოდ ბათუმელთა გუნდს გამოვაკლებდი. მათ შარშან აშკარად გაუმართლათ და მათი პოტენციალიდან გამომდინარე, არ მგონია წლეულს იგივე მოახერხონ.

კარგი გუნდი იქნება ქუთაისის „აია“, საინტერესო გუნდია თბილისის „აკადემია“ და მუდმივი კონკურენტები „ლელო“ და „ვისოლი ყოჩები“. წესით, წლევანდელი ჩემპიონატი შარშანდელზე უკეთესი უნდა იყოს.




ბურთით დავით ზირაქაშვილი

# ქართველები ევროთასებზე

ხვალ და ზეგ ევროთასების დღეა. ყველაზე პრესტიჟულ „ჰეინეკენის თასის“ გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს, რომელთაგან პლეი ოფში გასვლის შანსი მხოლოდ ერთს, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს“ აქვს.

„ვულკანები“, რომლებიც C ჯგუფში 12 ქულით მე-2 ადგილზე არიან, საკუთარ მოედანზე გათამაშების ლიდერს, უელსურ „ოსფრიზს“ დაუპირისპირდებიან. გამარჯვების შემთხვევაში „კლერმონს“ კარგი შანსი ეძლევა, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავოს, რადგან ბოლო ტურში, ერთი კვირის თავზე სტუმრად აუტსაიდერს, იტალიურ „ვიადანას“ შეხვდება. ზირაქაშვილი „ვულკანების“ ზელანდიელმა მწვრთნელმა **ვერნ კოტერმა** ძირითად შემადგენლობაში დააყენა.

სრულიად უშანსოდაა დარჩენილი F ჯგუფში მოასპარეზე **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი“. ჩვენებურის გუნდმა ოთხიდან ოთხივე თამაში წააგო და დარჩენილ ორ შეხვედრაში გამარჯვება მისთვის არაფერს წყვეტს. „ბრივი“ დღეს სტუმრად თამაშობს ირლანდიურ „ლენსტერთან“. ხინჩაგიშვილი განაცხადში არ არის.

„ჩელენჯ კაპის“ გათამაშების ოფიციალური სპონსორი ახლახან ინგლისური სადაზღვევო კომპანია „ემლინი“ გახდა და თასიც ახლა მის სახელს ატარებს.

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ C ჯგუფში მეხუთე ტურის ერთი შეხვედრა უკვე გაიმართა. ლიდერმა, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა“ სტუმრად ითამაშა ინგლისურ „სარასენზთან“ და 9:28 წააგო. ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

მარცხის მიუხედავად, „ტულონი“ 18 ქულით მაინც პირველ ადგილზეა და „სარასენზს“ ერთი ქულით უსწრებს. ბოლო შეხვედრას ტულონელები შინ გამართავენ **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრთან“, რომელიც 6 ქულით მესამე ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრის შანსი აღარ აქვს.

კასტრელები დღეს საკუთარ მოედანზე აუტსაიდერს, იტალიურ „როვიგოს“ დაუპირისპირდებიან. „გლობუსა“ ძირითად შემადგენლობაშია.

პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის B ჯგუფში მოასპარეზე **მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე“, რომელიც 15 ქულით მეორე ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდი სტუმრად ეთამაშება ჯგუფის ლიდერს, ირლანდიურ „ქონოთს“, რომელსაც ორი ქულით მეტი აქვს დაგროვებული. ორივე ქართველი ძირითად შემადგენლობაშია.

ბოლო, მეექვსე ტურში „მონპელიე“ ინგლისურ „ვორსტერს“ უმასპინძლებს, რომელსაც შვიდი ქულა აქვს და, ფაქტობრივად, უმოტივაციოდაა.

პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს F ჯგუფში მოასპარეზე **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანი“, რომელიც დღეს სტუმრად ითამაშებს აუტსაიდერთან, იტალიურ „პადოვასთან“.

„მონტობანს“ დღესდღეობით 12 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზეა. მას ლიდერი, ინგლისური „ნიუკასლი“ სამი ქულით უსწრებს. ინგლისელები საფრანგეთში დაუპირისპირდებიან „ალბის“, რომელსაც 10 ქულა აქვს და პლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს.

„პადოვას“ წინააღმდეგ მატჩში შველიძე განაცხადში არ არის. შეყლაშვილი კი სათადარიგოთა შორისაა. ბოლო ტურში „მონტობანი“ შინ „ალბის“ ეთამაშება.

# გიორგი ამირხანაშვილი ჩელენჯ ტროფიზე

18-30 მაისს მოსკოვში „ჩელენჯ ტროფის“ გათამაშება გაიმართება. სამწუხაროდ, საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრები ამ ტურნირზე მონაწილეობას არ მიიღებს.

სამაგიეროდ, „ჩელენჯ ტროფის“ შეხვედრების განსასჯელად IRB-იმ ქართველი არბიტრი **გიორგი ამირხანაშვილი** მიიწვია. სულ ტურნირს სხვადასხვა ქვეყნის 12 მსაჯი მოემსახურება: **მაურო რივერა (არგენტინა), ბრაიან არსიერო (კანადა), ნაპოლიონე ლოკოლოკო (ფიჯი), მარიუს მიტრეა (იტალია), აკიშია ასო (იაპონია), ენდრიუ კარანი (კენია), მარტინ ზეშტუტეკი (ოლონეთი), ჟოაო მოურიონა (პორტუგალია), არუნა რანავერა (აშშ), იგორ ნიკოლაიჩუკი და ვლადიმირ ვოლოვიკი (ორივე - რუსეთი).**

*„მოსკოვში გასამართი „ჩელენჯ ტროფის“ გათამაშება ამ მსაჯებისთვის უდიდესი სკოლა იქნება. თითოეულ მათგანს ყურადღებით დავაკვირდებით. ვნახავთ, როგორები არიან საქმეში. ჩვენ საკმაოდ სერიოზულ რესურსებს გამოვყოფთ, რათა საერთაშორისო, მაღალი დონის მსაჯების ახალი თაობა გავზარდოთ“* - თქვა IRB-ის მსაჯთა მენეჯერმა პედი ობრაიანმა.



გიორგი ამირხანაშვილი

# პედრი ფანენბურხის აღსარება

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილმა მორაგბემ **პედრი ფანენბურხმა** აღიარა, რომ წარსულში კარგ ხასიათზე მოსასვლელად კოკაინს იყენებდა, რაც ლამის კარიერის დასრულების ფასად დაუჯდა.

ფანენბურხი „ბოკეს“ შემადგენლობაში 2002 - დან 2007 წლამდე თამაშობდა. ამჟამად ის სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, „ბლუ ბულზის“ მორაგბეა.

*„ძნელია, შენი ცხოვრების იმ დეტალებზე ილაპარაკო, რომლის გახსენებაც სიმწრის ოფლს გადენს. მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც ჩემი ცხოვრების იმ უძნელეს პერიოდში გვერდში დამიდგა, მხარი დამიჭირა და გადამარჩინა.*

*იმდენს ვსვამდი, ხშირად გონის დაკარგვამდე ვთვრებოდი. ვინმეს შეიძლება ეთქვა, ლოთიაო. ასე არაა, ალკოჰოლზე დამოკიდებული არ ვიყავი, მაგრამ სადაც ალკოჰოლია, კოკაინიც იქვეა. როცა გრძნობ, რომ დასალევისგან საჭირო ეფექტს ვერ იღებ და გაცილებით მეტი გინდა, კოკაინის ჩაყნოსვის ცდუნებას ველარ უძლებ. ასე ხდებოდა ყოველ დღე“* - იხსენებს პედრი ფანენბურხი

„ბლუ ბულზის“ ხელმძღვანელობამ ამის შესახებ 2008 წელს შეიტყო და პედრის მკაცრად დაელაპარაკნენ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაბათის სტუმარი






# მფრინავი ტორპედო

თ ოთხი ოლიმპიადისა და მსოფლიოს ექვსი ჩემპიონატის მონაწილე, საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი და თასის სამგზის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი, 54 საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, რეკორდსმენი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ტრამპლინიდან ყველა დროის მხტომელებს შორის 33-ე – ეს კობა ნაქაძის მიღწევების არასრული ჩამონათვალია.

საკავშირო ნაკრებში 1953 წელს, 19 წლისა მოხვდა და ორი ათეული წლის განმავლობაში ინარჩუნებდა საპატიო ადგილს მსოფლიოს საუკეთესო მხტომელთა შორის. "მფრინავმა ტორპედომ" ნაკრებში ადგილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეინარჩუნა მაღალი და სტაბილური შედეგების წყალობით.

აი, რას წერდა გაზეთ "ნიუ-იორკ თაიმსის" ფურცლებზე ახალგაზრდა კობა ნაქაძეზე სახელგანთქმული ნორვეგიელი ტრამპლინიდან მხტომელი შილდრუპი: "კობა ნაქაძე მსოფლიოში უდიდესი მხტომელია მანამ, სანამ მიწას 10 ფუტით არ მიუახლოვდება. მან თავისდა გაუცნობიერებლად გამოიგონა ახალი სტილი. ტანი უჭირავს სწორად და ყოველგვარი დაძაბვის გარეშე იხრება ისე, რომ მისი სახე თხილამურებიდან ორი ფუტის დაშორებაზეა. იგი თხილამურებს მხოლოდ ფეხის თითების წვერებით ეხება, ხტება უზარმაზარ მანძილზე, მისი ხტომა საოცრად ლამაზია.

ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ ხტომა უნდა სწორედ ამგვარად, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ასეთი ნახტომის ხილვა მეღირსებოდა. ნაქაძე ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ხტება და მთელი ნახტომის მანძილზე ინარჩუნებს ფრენაზე სრულ კონტროლს. იგი არაჩვეულებრივად მამაცია, რადგან მერყეობა რომ შეეპაროს, ამის გამოსწორების არანაირ შესაძლებლობას არ იტოვებს. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს საერთოდ არ იცის დაშვება. 10 ფუტის სიმაღლიდან იგი მოცელილივით ეცემა, თითქოს ეს სულ სხვა მხტომელი იყოს. სამიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იმაგრებს თავს. უაღრესად სასიამოვნო ახალგაზრდაა, მუდამ ღიმილიანი და კმაყოფილი. ერთ-ორ წელიწადში იგი ისწავლის დაშვებას და მართლაც უპირველეს მხტომელად იქცევა".

კობა ნაქაძეს არც სპორტსმენობისას და არც შემდგომ წლებში არ მოჰკლებია უცხოელთა ყურადღება და პატივისცემა, სამშობლოში კი საკუთარი იდეების რეალიზების საშუალება იშვიათად ეძლეოდა. სწორედ ესაა მისი უმთავრესი სანუხარი. საქართველოს ჰყავს მსოფლიო დონის ტრამპლინიდან მხტომელი, რომელიც, მიწვევების სიმრავლის მიუხედავად, უცხო ქვეყანაში წასვლაზე ყოველთვის უარს ამბობდა იმის იმედით, რომ სამშობლოში შეძლებდა საყვარელი საქმის კეთებას. სამწუხაროდ, ამას ვერ ახერხებს, რადგან დღეს საქართველოში მისი სახეობა, უბრალოდ, აღარ არსებობს.

75 წლის კობა ნაქაძე, საბედნიეროდ, მხნედაა, მშობლიურ ბაკურიანში ცხოვრობს და ხალისიანად გვიამბობს მდიდარ სპორტულ წარსულზე. "მფრინავ ტორპედოს" შინ ვეწვიეთ და მის პირად მუზეუმში ვისაუბრეთ. აქ იმდენი ექსპონატია, მათზე სათითაოდ ლაპარაკს მთელი დღე და ღამე არ ეყოფა, ჩვენი მასპინძელი "ლელოს" სტუმრობამ კარგ ხასიათზე დააყენა და თვალებში სითბოჩამდგარი დიდების დღეებს იხსენებს.

- ბაკურიანში დავიბადე და, რაც ფეხი ავიდგი, მას შემდეგ თხილამურებზე ვდგავარ. პირველი ტრამპლინი აქ 1934 წელს აშენდა სპორტკომიტეტის ზამთრის სახეობათა კურატორის, სანდრო გვალიას თაოსნობით. ტრამპლინიდან ხტომის ანბანა სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა არამ ადამიანცმა მასწავლა, ჩემი პირველი ნამდვილი მწვრთნელი კი პაველ დემენტიევი იყო. იგი ბაკურიანის სამხედრო ნაწილში მსახურობდა. ჩვენი ურთიერთობა წლების მანძილზე გაგრძელდა. შემდგომში იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც მუშაობდა და ჩემი სრულყოფისთვის ყველაზე მეტი სწორედ დემენტიევმა გააკეთა. შესანიშნავი სპეციალისტი და პიროვნება იყო, რომლის გარეშეც ამდენს ნამდვილად ვერ მივაღწევდი.



**- საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრა ქართველისთვის, ალბათ, ძალიან ძნელი იყო.**

- მაშინ ნაკრებში მხოლოდ რუსები გამოდიოდნენ და ვერავინ წარმოიდგენდა, მათ ყველასთვის უცნობი ქართველი ბიჭი თუ გაუწევდა წინააღმდეგობას. ნაკრებში მოხვედრა მართლაც ურთულესი საქმე იყო. 1953 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩატარდა სოფლის ახალგაზრდებს შორის, სადაც მეოთხე ადგილი დავიკავე. მალე "ნამდვილი" ჩემპიონატიც მოვიგე და ყველა დარწმუნდა, ჩემი წარმატებები შემთხვევითი რომ არ იყო.

**- სამ წელიწადში კი პირველ ოლიმპიადაზეც იასპარეზეთ...**

- 1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში წარუმატებლად გამოვედი. წავიქეცი და მხოლოდ 30-ე ადგილს დავჯერდი. არადა, თავიდან ლიდერებს შორის ვიყავი.

**- ყველაზე წარმატებულად რომელ ოლიმპიურ თამაშებს მიიჩნევთ?**

- 1960 წელს სკვო-ველში და 1972 წელს საპოროში მე-9 ადგილზე გავედი. არადა, ორივეგან უფრო მეტის მიღწევა შემეძლო. 1964 წელს ინსბრუკში 27-ე ვიყავი, რაც, ბუნებრივია, არადამაკმაყოფილებელი შედეგი იყო.

**- 1968 წლის გრენობლის ოლიმპიადის მიღმა რატომ აღმოჩნდით?**

- როგორც ჩანს, ამდენი წლის განმავლობაში ქართველის ნაკრებში ყოფნა ყელში ამოუვიდათ. შედეგების მიხედვით ოლიმპიადაზე წასვლას ვიმსახურებდი, მაგრამ მითხრეს, უკვე ასაკში ხარო. სასაცილო ისაა, რომ ამის მთქმელებმა ოლიმპიადაზე ოთხი წლის შემდეგ წამიყვანეს.

**- თანაგუნდელებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

- საკმაოდ ნორმალური. ყველაზე ახლოს ნიკოლაი კამენსკისთან ვიყავი, რომელთანაც ოჯახით ვმეგობრობდი. იგი ნაკრებთან ადაპტაციაში ძალიან დამეხმარა, მოსკოვში ხშირად ვცხოვრობდი მის ბინაში. სამწუხაროდ, იგი ცოცხალი აღარაა... კარგი ურთიერთობა მქონდა ნაკრების სხვა წევრებთანაც, ნიკოლაი შამოვთან და იური სკვარცოვთან.

**- გთავაზობდნენ მოსკოვის სახელით გამოსვლასაც...**

- დიახ, სანაცვლოდ კი მოსკოვის ცენტრში სამოთახიან ბინასა და სხვა პრივილეგიებს მპირდებოდნენ. ბევრს არ აძლევდა ხელს ის ფაქტი, რომ ნაკრებში საქართველოს წარმომადგენელი ხვდებოდა, მაგრამ ჩემს გამოსკოველებას ვერაფრით მიაღწიეს.

**- უცხოეთიდანაც ხომ არ გქონდათ მიწვევა?**

- არაერთხელ. ამერიკელები ამაში მილიონ დოლარს მთავაზობდნენ მაშინ, როცა პელე 800 ათასი ღირდა. ბევრი მიზეზის გამო, ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამდი.

**- არაერთ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს შეხვედრიხართ...**

- ყველას ალბათ ვერც გავიხსენებ. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ კონრად ადენაუერთან შეხვედრა იყო. 1961 წელს გარმიშ-პარტენკირხენში მსოფლიოს თასი მოვიგე, მან მიღებაზე მიმიწვია და უძვირფასესი თასი მაჩუქა. ვისთან აღარ ვყოფილვარ მიღებაზე – რიჩარდ ნიქსონთან, რომელიც მაშინ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი იყო, ნორვეგიის მეფესთან, იუგოსლავიის ლიდერ ტიტოსთან, ფინეთის, ჩეხეთის, პოლონეთისა და სხვა უამრავი ქვეყნის ხელმძღვანელებთან... განსაკუთრებით კი იმით ვამაყობ, ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ჯონ აპდაიკმა ლექსი რომ მომიძღვნა.

**- თქვენი წყალობით ბაკურიანი მნიშვნელოვანი შეჯიბრებების ჩატარების ადგილადაც იქცა.**

- თავის ქებაში თუ არ ჩამომართმევთ, სწორედ ჩემი წარმატებების გამო მოექცა ბაკურიანი საყოველთაო ყურადღების ცენტრში. 1962 წელს სპარტაკიადა აქ სწორედ ჩემი მონდომებით ჩატარდა.


კობა და კახა ნაქაძეები

>> მე-17 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მფრინავი ტორპედო

« მე-16 გვერდიდან

ეს წელი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, სპარტაკიადაზე ჩემპიონი გავხდი, იმავე წელს კი პოლონეთის ქალაქ ზაკოპანეში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ადგილზე გავედი. ბაკურიანის სპარტაკიადა დაუვიწყარი იყო. ჩემი გამოსვლის სანახავ`დ 20 ათასი მაყურებელი მოვიდა. ქართველი გულშემატკივრების წინაშე ძალიან იშვიათად გამოვდიოდი და ის დღე ჩემთვის უძვირფასესია. ასე აეწყო ჩემი კარიერა და ცხოვრება – უცხოეთში დაფასება არ დამკლებია, საქართველოში კი თითქმის არავის ვახსოვარ. ბევრს არაფერს ვითხოვ, მხოლოდ ის მინდა, ტრამპლინიდან ხტომის აღორძინებაში ხელი შემიწყონ. ჩემი გამოცდილებისა და კავშირების ადამიანს ამ საქმეში ბევრის მიღწევა შეუძლია და სანამ ჯანზე ვარ, მინდა, მთელი ენერგია ამ საქმეს დავახარჯო. საუბედუროდ, ხელშეწყობას ვინ ჩივის, ხელის შეშლის მეტი არაფერი მინახავს. ტრამპლინიდან ხტომა დღეს საქართველოში მკვდარია, ამ სახეობაში ერთი ბავშვიც კი არ ვარჯიშობს და ეს ფაქტი გულს მიკლავს.



**- ახლა ის შევახსენოთ მკითხველს, "მფრინავი ტორპედო" რატომ შეგარქვეს.**

- ხტომის განსხვავებული სტილის გამო. ეს სტილი მე დავამკვიდრე. ჩემამდე წინ გაშვერილი ხელებით ხტებოდნენ, მე კი ხელები უკან წავიღე, რისი წყალობითაც აეროდინამიკაც მეტი იყო და ეს სახეობა გაცილებით ლამაზიც გახდა. ჩემი სტილით მეცნიერებიც დაინტერესდნენ და აეროდინამიკურ მილში გამატარეს, რათა დეტალურად შეესწავლათ, რა უპირატესობა ჰქონდა მას. უდავოა, რომ ჩემი ხტომის მანერა უწინდელზე გაცილებით დახვეწილი იყო, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მალე სხვა მხტომელებმაც მომბაძეს.

**- ტრამპლინიდან ხტომა თქვენს დროს ახლანდელზე გაცილებით სახიფათო იყო...**

- დიახ, ჩემს ახალგაზრდობაში მხტომელების დაღუპვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ბევრ საერთაშორისო შეჯიბრში მინახავს, გადახტომის წინ სპორტსმენებს მღვდელი ლოცავდა ხოლმე. საბჭოელებს, სხვებთან შედარებით, ცუდი ინვენტარიც გვქონდა, მე კი განსაკუთრებით ვიჩაგრებოდი. ყოფილა შემთხვევა, ხტომისას ცალი თხილამური გამძვრომია და ერთით უსაფრთხოდ დავშვებულვარ. 1958 წელს კი, ლაჰტის მსოფლიოს ჩემპიონატისას თოვლში თავით ჩავერჭე, მაგრამ, საბედნიეროდ, მძიმედ არ დავშავებულვარ.

**- სპორტსმენის კარიერის დასრულების შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?**

- ტრამპლინიდან ხტომის მსოფლიო ოჯახს არასოდეს დავვიწყებივარ, ყოველთვის მაფასებდნენ და დღესაც მაფასებენ. სანამ ასაკი ხელს მიწყობდა, სისტემატურად მიწვევდნენ სამსაჯოდ. პირველი კატეგორიის მსაჯი ვიყავი, ორ ოლიმპიადაზე და ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიმუშავე. შემდეგ საზღვარგარეთ საპატიო სტუმრის რანგში დავდიოდი. ბოლო დროს კი მოწვევებზე უარს ვამბობ.

**- თქვენი სარეკორდო ნახტომიც გაიხსენეთ...**

- საბჭოთა კავშირის რეკორდი დავამყარე, გიგანტურ ტრამპლინზე 147 მეტრზე გადავხტი და ეს მიღწევა დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ გაიმეორა.

**- სახალისო ამბებიც მრავლად გექნებათ გასახსენებელი.**

- პოლონეთის ქალაქ როჟნოვში მდინარეზე წავედი თევზის ხელით დასაჭერად. თავზე ეგერი დამადგა, რომელიც ვერ იჯერებდა, რომ თევზის ასე დაჭერა შეიძლებოდა. ისე აღფრთოვანდა ჩემი ოსტატობით, სულ დაავიწყდა, რომ უნდა დავეჯარიმებინე. 1962 წელს პოლონეთში ბანკეტზე ქვეყნის ხელმძღვანელი გავიცანი, რომელიც საგანგებოდ ჩემს გასაცნობად მოვიდა. ნორვეგიაში კი ერთმა კაცმა შვილისთვის მთხოვა ავტოგრაფი. აღმოჩნდა, რომ ამ კაცისთვის ავტოგრაფი მაშინაც მქონდა მიცემული, როცა ჯერ კიდევ ბავშვი იყო. სწორედ მაშინ გავაცნობიერე, რამხელა სპორტული გზა მქონდა გავლილი...

**- მოკლედ თქვენს ოჯახზეც გვითხარით.**

- მადლობა ღმერთს, პირად ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა. მყავს მეუღლე - მერი, ოთხი შვილი - კობა, კახა, ნონა, ნანა და შვიდი შვილიშვილი. ოთხივე შვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს. ახლა საახალწლოდ კახაა ჩამოსული. როგორც იცით, იგი სამი ოლიმპიადის მონაწილეა და, სხვათა შორის, ხელშეწყობა რომ ჰქონოდა, გაცილებით უკეთეს შედეგს მიაღწევდა. სავარჯიშო პირობები საერთოდ არ ჰქონდა, ტურნირებზე საკუთარი სახსრებით დადიოდა და ისიც სასწაული იყო, ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვებას რომ ახერხებდა. იმდენად ნიჭიერია, საკუთარი საქმეებით რომ არ იყოს დაკავებული, ამას ახლაც, 40 წლისაც კი შეძლებდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტოები

---

სუმოს სამყარო

ჰაცუ ბაშო. 10-24 იანვარი

# ცალი ხელით მოგებული

## იოკოძუნა და მისი ათი მდევარი

**VI დღე**

**მაკუუჩი**

| | | |
|---|---|---|
| ასაშორიუ (ი) | კაკურიუ (ქ) | იორიკირი |
| ჰაკუჰო (ი) | ჰოკუტორიკი (მ 3) | იორიკირი |
| ჰარუმაფუჯი (ო) | გოეიდო (მ 2) | ჰიკაკე |
| მიაბიამა (მ 2) | კოტომიცუკი (ო) | ჰიკიოტოში |
| ტოიონოშიმა (მ 1) | კაიო (ო) | სუკუინაგე |
| კოტოოშუ (ო) | კისენოსატო (მ 3) | იორიტაოში |
| ბარუტო (ს) | კოტოშოგიკუ (ქ) | ოშიდაში |
| **ტოჩინოშინი** (მ 1) | კაკიძოე (მ 4) | იორიკირი |
| ვაკანოსატო (მ 7) | ტაკეკაძე (მ 4) | ოშიდაში |
| ტამავაში (მ 7) | კიოკუტენჰო (მ 5) | იორიკირი |
| ასასეკირიუ (მ 8) | იოშიკაძე (მ 5) | ჰატაკიკომი |
| ამინიშიკი (მ 6) | **კოკაი** (მ 9) | ოშიდაში |
| ტოკიტენკუ (მ 8) | ბუშუიამა (მ 6) | იორიკირი |
| შოტენრო (მ 9) | ჰომაშო (მ 12) | ოშიდაში |
| არანი (მ 10) | ტაკამისაკარი (მ 11) | იორიკირი |
| ჰაკუბა (მ 14) | ტოჩიოძანი (მ 10) | ჰატაკიკომი |
| კიტატაიკი (მ 15) | მოკონამი (მ 11) | იორიკირი |
| ტოსაიუტაკა (მ 12) | ტოჩინონადა (მ 15) | იორიტაოში |
| ივაკიამა (მ 14) | შიმოტორი (მ 13) | იორიკირი |
| ტამანოშიმა (მ 13) | კორიუ (მ 16) | ჰიკიოტოში |
| ტოიოჰიბიკი (მ 16) | საგაცუკასა (ძ 1) | ცუკიდაში |

***6-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა); **5-1:** ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ბარუტო (სეკივაკე), კისენოსატო (მაეგაშირა 3), ამინიშიკი (მ 6), არანი (მ 10), ჰაკუბა (მ 14), კიტატაიკი (მ 15), ტოიოჰიბიკი (მ 16)... 2-4: ტოჩინოშინი (მ 1)... 1-5: კოკაი (მ 9).*

**VII დღე**

**მაკუუჩი**

ჰაკუჰო-ბარუტო, ასაშორიუ-ჰოკუტორიკი, კოტომიცუკი-ტაკეკაძე, კაიო-ტოჩინოშინი, კოტოოშუ-კაკიძოე, ჰარუმაფუჯი-კისენოსატო, კაკურიუ-კოტოშოგიკუ, ტოიონოშიმა-კიოკუტენჰო, გოეიდო-იოშიკაძე, მიაბიამა-ამინიშიკი, ასასეკირიუ-ბუშუიამა, ტამავაში-ტოჩიოძანი, ვაკანოსატო-ტამანოშიმა, ტოკიტენკუ-ტაკამისაკარი, კოკაი-ჰომაშო, ჰაკუბა-შოტენრო, არანი-კიტატაიკი, მოკონამი-ივაკიამა, ტოსაიუტაკა-კორიუ, შიმოტორი-ტოიოჰიბიკი, ტოჩინონადა-კოტოკასუგა.

**ძურიო**

**მნიშვნელოვანი ბრძოლები**

| | | |
|---|---|---|
| გაგამარუ (ძ 13) | შირონონამი (ძ 9) | ოშიდაში |
| ტოკუსეგავა (ძ 1) | ფუტენო (ძ 3) | უვატეჰინერი |
| ოკინოუმი (ძ 2) | ვაკაკოიუ (ძ 4) | უვატენაგე |

***6-0:** ოკინოუმი (ძურიო 2), საკაიზავა (ძ 12); **5-1:** მასაცუკასა (ძ 6), გაგამარუ (ძ 13)*

**IV დღე**

**მნიშვნელოვანი წყვილები**

გაგამარუ-საკაიზავა, ტოკუსეგავა-ვაკატენრო, ოკინოუმი-ასოფუჯი.

ქებვის ღირსია ელიტის ყველაზე ახალგაზრდა ფალავანი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** - მიუხედავად იმისა, რომ ახალი წლის ბაშოს მეორე დღეს დიდ ჩემპიონ ჰაკუჰოსთან ორთაბრძოლაში მარჯვენა მხარი დაიზიანა, ლევანი, ფაქტობრივად, ერთი ხელით აგრძელებს ასპარეზობას (კიდევ კარგი, ცაციაა). ბევრს ეგონა, რომ ის ჰაცუ ბაშოს მიატოვებდა, ექიმებმაც ურჩიეს, მაგრამ არა - ტოჩინოშინი გუშინაც ავიდა დოჰიოზე და მეორე გამარჯვება იზეიმა. ლევანმა სტარტზევე შეაჩერა 31 წლის **კაკიძოეს** შეტევა, მარცხენა ხელით მისი მავაში დაიჭირა, მოგვერდით იაპონელი წონასწორობიდან გამოიყვანა, შემდეგ მიაწვა და რკალიდან გაიყვანა. ტოჩინოშინის ბალანსი 2-4 გახდა. დღეს ლევან გორგაძის მეტოქე ვეტერანი ოძეკი **კაიოა** (2-4).

ძალზე ცუდ ფორმაშია **ლევან ცაგურია (კოკაი)**. პირველი ევროპელი ელიტელი დოჰიოზე დაბნეული გამოიყურება, ხშირად არასწორ გადაწყვეტილებებს იღებს. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მას 1-5 ბალანსი აქვს. გუშინ კოკაი ოშიდაშით დოჰიოდან „მატადორმა" **ამინიშიკიმ** გააგდო. დღეს ქართველის მეტოქე მე-12 მაეგაშირა **ჰომაშოა.**

ძურიოს დივიზიონში კი ისევ ყოჩაღობს **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**. გუშინ მან ოშიდაშით აჯობა ძურიოს მე-9 ნომერ **შირონონამის.** ჩვენებურს 5-1 ბალანსი აქვს და კვალში უდგას ორ ლიდერს, **ოკინოუმისა** და **საკაიზავას.** დღეს გაგამარუ სწორედ საკაიზავას ხვდება და გამარჯვების შემთხვევაში ტიტულის მოსაპოვებლად სერიოზულ განაცხადს გააკეთებს.

დღეიდან ახალი წლის ბაშოს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს - დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო,** რომელმაც იოლად მოუგო **ჰოკუტორიკის** და 6-0 ბალანსი დაუგროვდა. იოკოძუნას კვალში (5-5 მოგებით) ერთბაშად 10 რიკიში უდგას, მათ შორის დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** და ორი ოძეკი, **ჰარუმაფუჯი** და **კოტოოშუ.**



ქართველთა მეტოქეები



**კაიო**

ოძეკი, 37 წლის, 185 სმ, 173 კგ

ტოჩინოშინი-კაიო 0:1



**ჰომაშო**

მე-12 მაეგაშირა, 28 წლის, 185 სმ, 149 კგ

კოკაი-ჰომაშო 2:5



**საკაიზავა**

მე-12 ძურიო, 26 წლის, 188 სმ, 158 კგ

გაგამარუ-საკაიზავა 0:0

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა რუსთან ვერას გახდა

## ოქსანა საქართველოს პირველი ჩოგანი იქნება

წლის პირველი „დიდი სლემის" ტურნირის, ავსტრალიის ღია პირველობის (24,1 მლნ. დოლარი) ძირითადი ბადე გუშინ გამოქვეყნდა, თუმცა ჩვენებურებისთვის უკვე ყველაფერი დასრულდა - პირველად ქართული ჩოგბურთის ისტორიაში „მელბურნ პარკზე" ერთბაშად სამმა ქართველმა იასპარეზა, მაგრამ სამეულმა ვერაფერს მიაღწია, **ანა ტატიშვილმა** (176) პირველივე საკვალიფიკაციო რაუნდში წააგო, ხოლო **ოქსანა კალაშნიკოვა** (179) ქართული დუელის წყალობით (**მაკა ჩახნაშვილი** (207) გავიდა მეორე საკვალიფიკაციო წრეში.

ჩვენი მაქსიმუმიც ეგ აღმოჩნდა - გუშინ „მელბურნ პარკის" ნომერ მეოთხე კორტზე ოქსანა კალაშნიკოვამ ორ სეტში წააგო რუს თანატოლ **ანასტასია პივოვაროვასთან** (205) - 2:6, 5:7. პირველი სეტი სულ რაღაც 29 წუთს გაგრძელდა, მეორეში კი თანაბარი ბრძოლა იყო და სეტის დასრულებას 53 წუთი დასჭირდა. ოქსანამ მეორეში სეტ-პოინტი გაანიავა (!)

ოქსანამ 8 ორმაგი შეცდომა დაუშვა, 16 - უნებლიე და ხუთი ბრეიქ-პოინტიდან მხოლოდ 1 გამოიყენა. პივოვაროვას სტატისტიკა ასეთია: 5 ორმაგი შეცდომა, 10 - უნებლიე და 5-დან 4 გამოყენებული ბრეიქ-პოინტი. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში რუსი ჩინელ **სინიან ჰანს** (192) შეხვდება.

ოქსანასთვის ტურნირი მაინც აქტივშია ჩასაწერი, საპრიზო ფონდიდან კუთვნილი თანხის გარდა ჩვენებური 40 სარეიტინგო ქულას მიიღებს, რას მას ორ კვირაში დაახლოებით 30 ადგილით წასწევს რეიტინგში, თან ოქსანა საქართველოს პირველი ჩოგანი გახდება.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

B უნკერიდან A მომძვრალნი

# ბუნკერიდან ამოვძვერით!

ფიბა-ს გადაწყვეტილებით, ევროპული ნაკრებები ორ დივიზიონად 2003 წელს გაიყო. მას შემდეგ საქართველოს ნაკრები ბევრს ეცადა, მაგრამ ორმოდან A დივიზიონში მხოლოდ 2009 წელს ამოვიდა. დეკემბრის პირველი შაბათიდან გასულ შაბათამდე დეტალურად მოგითხრეთ, როგორ დაგვიცდა ფეხი ფინურ ყინულზე, როგორ დავიმდუღრეთ ისლანდიურ გეიზერში. გუშინ კი 2008 წლის ამბები ჯერ იყო - იგორ კოკოშკოვთან ერთად ნაკრებმა როგორ წამოიწყო მორიგი „ჯვაროსნული ლაშქრობა" და ოთხიდან სამი მატჩი როგორ მოიგო. ფინეთის მეზობლად, შვედეთში 59:61 დავმარცხდით, რის გამოც 2009-ში ნაგების უფლება არ დაგვრჩა. პლეი ოფში გასასვლელად ყველა დარჩენილი შეხვედრა უნდა მოგვეგო. თუ პლეი ოფში ჩერნოგორიასთვის თავის არიდება გვსურდა, შვედებზე უკეთესი ქულათა (მიღებულ-ჩაგდებული) ბალანსი უნდა დაგვებევებინა - არა ურთიერთშეხვედრებში, არამედ ჯგუფის რვავე მატჩის მიხედვით.

როგორ გადაიჭრა ეს საკითხი, ამ სტატიის ბოლოს შეიტყობთ.

## სამი MVP

აქამდე წინასასეზონო მზადება ხმაურიანად იწყებოდა: 2004-ში **შემონდ უილიამსი** გავაქართველეთ; 2005-ში ახალი მწვრთნელი მოვიდა; 2006-ში **ტრაიანოს** ამბავი გამცნეთ და **ტაირონ ელისმა** მიიღო საქართველოს პასპორტი; 2007-ში **ჰერბერტი** მოულოდნელად **შილდსმა** შეცვალა, 2008-ში ომი დაიწყო, 2009-ში? შარშან მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. გუნდი 7-კაციანი შემადგენლობით ავსტრიაში 20 ივლისს გაემგზავრა. იგორ კოკოშკოვის განკარგულებაში იყვნენ: **გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, კოტე ტულუში, ანატოლი ბოისა, ლაშა გამყრელიძე, გიორგი შერმადინი.** თითოეულ მათგანს ზურგს წარმატებული სეზონი უმაგრებდა: ცინცაძე ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელი გახდა, სანიკიძე - ამავე ტურნირის ბომბარდირი; მანუჩარ მარკოიშვილმა უკრაინის ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე დაასრულა, თუმცა უკრაინის პირველობის საუკეთესო კალათბურთელად გამოაცხადეს. გამყრელიძემ საქართველოს ჩემპიონატის MVP-ს ჯილდო მიიღო (ჩვენი გაზეთის გამოკითხვის შედეგად). ამავე გამოკითხვაში მეორე იყო ტულუში. კარგი სეზონი ჰქონდა ანატოლი ბოისას, ხოლო ნაკრებში „პანათინაიკოსის" წევრის სტატუსით ჩავიდა შერმადინი.

შვიდეულს მალე **ვლადიმერ ბოისა** შეუერთდა, ხოლო მეორე მწვრთნელი, **დავით უსტიაშვილი** ახალგაზრდული ნაკრების სამ წევრთან ერთად (**თორნიკე და ლევან შენგელიები, ნიკა მეტრეველი**) ეროვნულს 27 ივლისს დაემატა.

ვიზასთან დაკავშირებული პრობლემების გამო **მიხეილ ბერიშვილის** ნაკრებში თამაში მალევე გამოირიცხა. ივლისის ბოლოს ლევან შენგელიას სანაკრებო ამბებზე ვკითხე, თბილისში ვარო, მომიგო. მას როდ აილენდის უნივერსიტეტში გამოცდები ჰქონდა ჩაბარებული, თუმცა ერთი გამოცდის გადაბარება დასჭირდა და მოსამზადებლად თბილისში დაბრუნებამ მოუწია.

## ჰოლანდია

30 ივლისს საქართველოს ათკაციანი ნაკრები ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში გადავიდა და ადგილობრივებთან ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. გაჭირვებულს ქვა ალმართში მიეწევაო, ნათქვამია: ჰოლანდიელებთან მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო მანუჩარ მარკოიშვილმა, ხოლო ვლადიმერ ბოისას სახეში იდაყვი მოხვდა და მეოთხე პერიოდში გუნდს ვერ დაეხმარა. მეორე მეოთხედში ფეხის კუნთი გაეჭიმა გიორგი შერმადინს და მატჩის ბოლოს იგორ კოკოშკოვს 7 კალათბურთელი შერჩა. ამიტომ ჰოლანდიასთან პირველი წაგება ლოგიკური იყო - 63:79.

**31.07.2009. ჰოლანდია-საქართველო 79:63**
16:15, 23:19, 21:11, 19:18
საქართველო: ცინცაძე (23წთ, 7ქ), ტულუში (22წთ. 14ქ), სანიკიძე (35წთ. 16ქ. 5მ), ვ. ბოისა (25წთ. 4ქ), შერმადინი (17წთ); გამყრელიძე (27წთ. 8ქ. 3ე), მეტრეველი (17წთ. 7ქ), თ. შენგელია (21წთ. 7ქ. 2ჩ), ა. ბოისა (13წთ)

მეორე დღეს იმავე ჰოლანდიასთან მწვრთნელი მეტად ენდო ტულუშს, შენგელიას, შერმადინმა 22 წუთი ითამაშა და მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ. ბოლო წუთებზე დავმარცხდით.

**1.08.2009. ჰოლანდია-საქართველო 81:74**
18:25, 18:10, 20:14, 25:25
საქართველო: ცინცაძე (33წთ, 18ქ, 4ე, 5ჩ), ტულუში (26წთ, 16ქ), სანიკიძე (33წთ, 9ქ, 6მ), ვ. ბოისა (30წთ. 16ქ. 5მ), შერმადინი (22წთ. 4ქ. 7მ); გამყრელიძე (18წთ), ა. ბოისა (9წთ), მეტრეველი (11წთ. 5ქ), თ. შენგელია (17წთ. 6ქ. 5მ)

## ავსტრია

ჰოლანდიური ფიასკოს შემდეგ კოკოშკოვის გუნდი ავსტრიაში დაბრუნდა. ამერიკის საზაფხულო კემპიდან თბილისში ჩამოსულმა **ნიკა ცქიტიშვილმა** საქართველოდან ავსტრიაში გაფრენა ველარ მოახერხა: სავიზო პრობლემები შეექმნა და სხვა გზა არ ჰქონდა - გუნდს თბილისში დაელოდა.

3 აგვისტოს გუნდს შეუერთდა ტაირიონ ელისი, რომელმაც ავსტრიასთან პირველ მატჩში 16 ქულა ჩააგდო. მეორე შეხვედრის წინ ნაკრებს ზაზა ფაჩულია დაემატა, თუმცა მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

ქართველებმა ავსტრიას ორივეჯერ აჯობეს და ოფიციალური მატჩების წინ ხასიათი გამოიკეთეს.

**7.08.2009. ავსტრია-საქართველო 73:77**
21:18, 19:17, 13:17, 20:25
საქართველო: გამყრელიძე (11წთ), ვ. ბოისა (34წთ, 15ქ), ცინცაძე (35წთ, 17ქ, 4ე, 3ჩ), შერმადინი (35წთ, 14ქ), ტულუში (5წთ), სანიკიძე (39წთ, 11ქ, 12მ), მეტრეველი (11წთ, 4ქ), ელისი (30წთ, 16ქ, 6ე)

**8.08.2009. ავსტრია-საქართველო 71:75**
18:22, 22:18, 17:18, 14:17
საქართველო: გამყრელიძე (11 წთ), ვ. ბოისა (31 წთ, 12ქ, 6მ), ცინცაძე (29 წთ, 6ქ, 8ე, 3ჩ), შერმადინი (34 წთ, 18ქ, 7მ), ტულუში (10 წთ, 3ქ), სანიკიძე (31 წთ, 11ქ, 6მ), მეტრეველი (8 წთ, 2ქ), ელისი (32 წთ, 17ქ), ა. ბოისა (7 წთ, 4ქ), შენგელია (6 წთ, 2ქ)

ჟურნალისტებს დამშვიდების საფუძველი არ გვქონდა: მანუჩარ მარკოიშვილს მონაწილეობა არც ერთ მატჩში არ მიუღია. მისი ოფიციალურ შეხვედრებში გამოყენება კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. ასევე უცნაურად ჩანდა იგორ კოკოშკოვის ნაბიჯი - იგი ავსტრიაში ძირითადად 5 კალათბურთელს დაეყრდნო. ასეთი საქციელისთვის **დრაჟენ ბრაიკოვიჩმა** სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა. კრიტიკა არც კოკოშკოვს ასცდა. ოფიციალური მატჩების წინ ერთი ამბავიც გვაშფოთებდა: ქართველებს 4 საკონტროლო შეხვედრა მოუგროვდათ, შვედებს - 9.

## ძუჩის კალათბურთი

ლუქსემბურგთან მატჩის წინა დღეს სპორტის სასახლეში იგორ კოკოშკოვმა გვითხრა:

- პლეი ოფში გასასვლელად ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ, ხოლო ჩერნოგორიას რომ ავცდეთ, შვედებზე უკეთესი ბალანსი უნდა დავიბევოთ. ამიტომ ლუქსემბურგს რაც შეიძლება დიდი სხვაობით უნდა ვაჯობოთ.

**15.08.2009. საქართველო-ლუქსემბ. 115:73**
31:17, 29:11, 22:25, 33:20
საქართველო: ცინცაძე (27წთ, 20ქ, 5ე, 3ჩ), ელისი (34წთ, 23ქ, 5მ, 6ე), სანიკიძე (33წთ, 15ქ, 15მ, 3ე), ვ. ბოისა (29წთ, 19ქ, 8მ, 5ე), ფაჩულია (26წთ, 20ქ, 10მ), ცქიტიშვილი (12წთ, 5ქ, 5მ, 3ჩ), გამყრელიძე (17წთ, 2ქ, 5ე, 3დ), ა. ბოისა (7წთ), შერმადინი (10წთ, 11ქ), ტულუში (3წთ)

ლუქსემბურგელების ძლევის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალმა ვლადიმერ ბოისამ ასეთი ანალიზი გააკეთა:

- ბურთს ავილებდით თუ არა, პირდაპირ იერიშზე გადავდიოდით, რათა მეტი შეტევა მოგვესწრო. ამიტომ გამოგვივიდა ქუჩის კალათბურთი. თუ შემდეგ მატჩებში თამაში არ გამოვასწორეთ...

## სამჟურებს ჟურები ავუწიეთ

**19.08.2009. საქართველო-ირლანდია 98:73**
21:15, 27:23, 21:15, 29:20
საქართველო: ცინცაძე (29წთ, 19ქ, 10ე), ელისი (32წთ, 18ქ, 6ე), სანიკიძე (36წთ, 17ქ, 15მ), ვ. ბოისა (25წთ, 7ქ, 9მ), ფაჩულია (27წთ, 14ქ, 7მ, 4დ), გამყრელიძე (11წთ, 3ქ), ა. ბოისა (12წთ), შერმადინი (13წთ, 10ქ), ტულუში (1წთ), ცქიტიშვილი (15წთ, 10ქ)

ირლანდიელების მთავარი მწვრთნელი **ჯეი ლარანგა** ყოველი წუთშესვენებისას თვალებანთებული უყვიროდა შეგირდებს. მწვრთნელის განწყობა კალათბურთელებსაც გადაედოთ და ტანდაბალმა „მწვანე" მეფარეებმა **ზაზა ფაჩულიას** სივრცე შეუზღუდეს. პერიმეტრიდანაც კარგად ისროდნენ. ერთ ეპიზოდში ემოცია ვერ მოვთოკე და გაბრაზებულმა კალამი მაგიდაზე დავაგდე. ამ კალმის ისტორია 31 დეკემბრის ნომერში მოგითხრეთ.

- ასეა თუ ისე, ირლანდია მაინც სასურველი ანგარიშით დავამარცხეთ. ვფიქრობდით 30 ქულით გამარჯვებას, მაგრამ 25-ქულიანი ფორაც არ არის ურიგო, - განაცხადა ვიქტორ სანიკიძემ.

## ორი ცენტრით

სლოვაკეთთან მატჩი კურიოზულად დაიწყო: იგორ კოკოშკოვმა ერთდროულად ორი ცენტრი გამოიყვანა - ზაზა ფაჩულია და გიორგი შერმადინი. არსად ჩანდა გიორგი ცინცაძე. შემადგენლობა აშკარად არათანაბრად იყო დაბალანსებული, თუმცა აღმოჩნდა, რომ მწვრთნელებს სასტარტო შემადგენლობის ჩამოწერისას შეეშალათ და გიორგი ცინცაძის ნაცვლად გიორგი შერმადინი ჩაწერეს. ცინცაძემ ახალგაზრდა ცენტრი მალევე შეცვალა.

**22.08.2009. საქართველო-სლოვაკ. 91:50**
24:8, 22:12, 24:13, 21:17
საქართველო: ელისი (29წთ, 9ქ), სანიკიძე (27წთ, 14ქ, 14მ), ვ. ბოისა (23წთ, 4ქ, 6მ), შერმადინი (9წთ, 7ქ, 5მ), ფაჩულია (31წთ, 34ქ, 14მ), ცინცაძე (30წთ, 12ქ, 5ე), ცქიტიშვილი (13წთ, 8ქ), გამყრელიძე (13წთ), ა. ბოისა (15წთ, 3ქ), ტულუში (7წთ), შენგელია (4წთ)

ნამატჩევს ყველა კალათბურთელი გაოცებული იყო, არავის ეგონა, რომ სლოვაკებს ისევე იოლად აჯობებდნენ, როგორც ლუქსემბურგს. იგორ კოკოშკოვის კომენტარი ასეთი იყო:

- სლოვაკებს ლუქსემბურგთან და ირლანდიასთან შედარებით დაბალანსებული გუნდი ჰყავდათ და ჩვენც შედარებით დალაგებული თამაში გამოგვივიდა. ტანმაღლებიც კარგად გაისარჯნენ და უკანახაზელებიც.

ბოლო წუთებზე მწვრთნელს ზაზა ფაჩულია რომ არ შეეცვალა, თავისსავე რეკორდს აუცილებლად დაამხობდა. ზაზამ სლოვაკეთთან 34 ქულა ჩააგდო, რეკორდი კი 36 ქულაა.

## საუკეთესო მატჩი

**26.08.2009. საქართველო-შვედეთი 82:72**
17:13, 24:22, 19:20, 22:17
საქართველო: ცინცაძე (37წთ, 13ქ, 3ე, 3ჩ), ელისი (35წთ, 13ქ, 4ჩ), სანიკიძე (37წთ, 17ქ, 13მ, 3ე), ვ. ბოისა (27წთ, 11ქ), ფაჩულია (29წთ, 21ქ, 12მ), შერმადინი (9წთ, 7ქ), ცქიტიშვილი (15წთ), გამყრელიძე (6წთ), ა. ბოისა (5წთ)

შვედეთთან მატჩისას სპორტის სასახლე ბოლომდე გაივსო. 10 ათასმა გულშემატკივარმა საქართველოს ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა იხილა. დაცვაში ჩავარდნები ყოველთვის გვახასიათებდა (ლუქსემბურგთან ერთ ეპიზოდში 3 სამქულიანი მივილეთ), შვედეთთან კი დაცვაში ყურადღება წამითაც არ მოგვიდუნებია. შეტევაში თამაში ჭირდა, თუმცა ჩვენზე მეტად შვედებს უჭირდათ. ბოლო წამებზე ტაირონ ელისმა საჯარიმოები ზუსტად ისროლა და 10-ქულიანი სხვაობით გავიმარჯვეთ.

- ვიცოდით, რომ ქართველებს შემადგენლობით ვერ შევედრებოდით, ამიტომ 9 საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ, რათა შეთამაშებით გვეჯობნა, მაგრამ მაინც არაფერი გამოგვივიდა. ასე რომ, თქვენ პლეი ოფში ბელარუსს შეხვდებით, ჩვენ - ჩერნოგორიას, - განაცხადა შვედეთის ნაკრების თავკაცმა **კოსტას ფლევარაკისმა.**

## ბელარუსი და BMW

**05.09.2009. ბელარუსი-საქართველო 75:89**
17:23, 15:22, 22:19, 21:25
საქართველო: ცინცაძე (28 წთ, 3ქ, 5ე), ელისი (29 წთ, 10ქ, 4ე), სანიკიძე (36წთ, 19ქ, 11მ, 3ჩ), ვ. ბოისა (29წთ, 18ქ), ფაჩულია (34წთ, 19ქ, 8მ, 3ე, 3ჩ), შერმადინი (5წთ), ცქიტიშვილი (11წთ, 9ქ), გამყრელიძე (17წთ, 5ქ), ტულუში (12წთ, 6ქ)

ბევრისთვის მოულოდნელად, ბელარუსმა ჯგუფურ ეტაპზე შინ შვეიცარიასთან წააგო (66:70), რითაც პლეი ოფში განმეორებითი მატჩის ჩატარება სპორტის სასახლეს მიანდო. პირველ შეხვედრაში ქართველებმა იმდენად კარგად ითამაშეს, რომ საგაზეთო კარიკატურა დაგვტყუეს: მატჩის მიმოხილვას დავურთეთ BMW-ში მჯდომი ფაჩულიას კარიკატურა, რომელიც ძველ ტრაქტორს (ბელარუსს) უსწრებდა.

განმეორებითი მატჩის წინა დღეს ზაზამ ცერი ასწია - კარიკატურა კარგი იყოო. მივუგე: კარგი თქვენი თამაში იყო-მეთქი.

**09.09.2009. საქართველო-ბელარუსი 86:84**
27:19, 25:27, 19:22, 15:16
საქართველო: ცინცაძე (26წთ, 3ქ, 6ე), ელისი (33წთ, 17ქ), სანიკიძე (32წთ, 18ქ, 10მ), ვ. ბოისა (26წთ, 11ქ), ფაჩულია (30წთ, 11ქ, 5მ, 3ე, 2დ), შერმადინი (5წთ, 2ქ), ცქიტიშვილი (18წთ, 11ქ), გამყრელიძე (14წთ, 5ე), ტულუში (16წთ, 13ქ)

- ბელარუსში მოგების მერე ყველა ზეიმისთვის იყო განწყობილი. კალათბურთელებსაც სჯეროდათ, რომ A დივიზიონში იყვნენ და ფსიქოლოგიურად სათანადოდ განწყობა გაუჭირდათ. ამიტომ მეტოქე მხოლოდ 2 ქულით დავამარცხეთ - 86:84, - განაცხადა ფედერაციის გახარებულმა პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა.**

*წლის ბოლოს სპორტის დეპარტამენტის გამოკითხვაში საუკეთესო გუნდისთვის განკუთვნილი ჯილდო კალათბურთელთა ნაკრებმა მიიღო, ხოლო წლის მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი გახდა. რაც შეეხება კალათბურთელებს, მათ მოჭიდავეებს ვერ აჯობეს. დაველოდოთ 2010 წელს...*






A დივიზიონის წილისყრა

# ალათასა, ბალათასა...

## ვინ შეხვდება საქართველოს ნაკრებს?

წლის დასაწყისში გამოვაქვეყნეთ **ზაზა ფაჩულიას** ინტერვიუ სათაურით: „16 იანვარს მოუთმენლად ველი". ზაზასთან ერთად ქართული საკალათბურთო საზოგადოებაც ელოდა 16 იანვარს, A დივიზიონის წილისყრის დღეს. თუმცა, გერმანიის ქალაქ ფრეისინგში ფიბა მხოლოდ საქართველოს ნაკრების მეტოქეებს როდი გამოარკვევს - ჩატარდება B ლიგის, ახალგაზრდული ნაკრებების და ქალთა შეჯიბრებების წილისყრა. ეს ღონისძიებები გერმანიის დროით 14 საათზე დაიწყება.

ვიდრე სავარაუდო მეტოქეებსა და გუნდების კალათებში განაწილებას შევეხებოდეთ, შეგახსენებთ, რომ A დივიზიონის 15 გუნდი სამ ჯგუფად გაიყოფა (თითოში 5 ნაკრები). ისინი 2010 წლის აგვისტოში ორ წრედ (შინ და გარეთ) 8 მატჩს გამართავენ და ევრობასკეტი 2011-ის ხუთ მონაწილეს გამოარკვევენ. აგვისტოში ჯგუფების გამარჯვებულები და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი ავტომატურად მიიღებს ევროპის პირველობის საგზურს. ხოლო უარესი მაჩვენებლის მქონე მეორე და შედეგებით მის ქვემოთ მყოფი კიდევ ხუთი ნაკრები 2011 წელს დამატებითი ერთი საგზურისთვის იბრძოლებენ (ორი სამგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება, რომელთა გამარჯვებულები პლეი ოფში ითამაშებენ).

A დივიზიონის უარესი მაჩვენებლის მქონე ოთხი გუნდი 2011 წელს ჯგუფს შეკრავს და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს. B დივიზიონში ორი ნაკრები გავარდება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

>> მე-19 გვერდზე

ქართული სპორტი

# ალათასა, ბალათასა...

« მე-18 გვერდიდან

A ლიგის სტრუქტურაზე ნათელი წარმოდგენა რომ შეგექმნათ, წილისყრის შემდეგ სქემის სახით შემოგთავაზებთ. დღეს კი ცხრილად დივიზიონში ნაკრებთა დახარისხებას წარმოგიდგენთ. სულ 5 კალათია, თითოში სამი გუნდი. საქართველოს ნაკრები ბოლო კალათშია, რადგან ზედა ლიგაში წლეულს ალზევდა. ერთი მხრივ, მეხუთე კალათში მოხვედრა კარგიცაა - აგვცდება ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობის ჩერნოგორია. თუმცა, A დივიზიონში ერთმანეთზე უკეთესი ნაკრებებია და იოლი დასამარცხებელი არც ერთი იქნება. შემადგენლობებზე ქვემოთ, ახლა კალათები გადავათვალიეროთ.

| ქვეყ. | ევრო 2009 | მ./წ.ბ | ქალ. |
|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 6 ადგ. | 1/4 | 1 |
| 2. მაკედონია | 7 ადგ. | 1/4 | 1 |
| 3. ლატვია | 8 ადგ. | 1/2 | 1 |
| 4. ისრაელი | ფინ. ეტაპი | 0/3 | 2 |
| 5. ბრიტანეთი | ფინ. ეტაპი | 0/3 | 2 |
| 6. ბულგარეთი | ფინ. ეტაპი | 0/3 | 2 |
| 7. ბელგია | საკ. რაუნდი | ფინალ. | 3 |
| 8. ბოსნია | საკ. რაუნდი | 3/1 | 3 |
| 9. ფინეთი | საკ. რაუნდი | 2/2 | 3 |
| 10. იტალია | საკ. რაუნდი | 1/3 | 4 |
| 11. პორტუგალია | საკ. რაუნდი | 0/4 | 4 |
| 12. უნგრეთი | გასაკ. ოთხეული | 4/2 | 4 |
| 13. უკრაინა | გასაკ. ოთხეული | 4/2 | 5 |
| 14. ჩერნოგორია | B-დან გადმოს. | 10/0 | 5 |
| 15. საქართველო | B-დან გადმოს. | 9/1 | 5 |

■ ■ ■

A დივიზიონში გუნდები კალათებად 2009 წლის დეკემბერში დავანაწილეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი ვერსია ფიბა-ს ოფიციალურ ვერსიას დაემთხვა. სწორედ დეკემბერში ბევრმა სუსტი და ძლიერი მეტოქეების გამორჩევა დაიწყო. პოლონეთი, ბულგარეთი, ბელგია, უნგრეთი, საქართველო - შეიძლება, ეს ვარიანტი მისაღებიც იყოს, იქნებ ჯგუფში იტალია გვირჩევნია? ან ფინეთი? იტალია იმიტომ გვირჩევნია, რომ ასეთ გუნდებთან ორმაგი მობილიზებით ვითამაშებთ, ხოლო ფინეთი იმიტომ, რომ შური გვაქვს საძიებელი... თუმცა, ვფიქრობთ, ბევრს გადაწყვეტს, აგვისტოს მატჩებს რომელი ნაკრები როგორი მომზადებით შეხვდება. ზოგს ვარსკვლავური შემადგენლობა ჰყავს, ზოგი უსახელო კალათბურთელებით ისე კარგადაა შეკრული, რომ ვარსკვლავების არყოფნას იოლად აბალანსებს.

A დივიზიონში პირველ ნომრად განთესილი პოლონეთი 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი იყო. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ შემადგენლობის მიხედვით საქართველოს ნაკრებთან ყველაზე მიახლოებული პოლონეთია. სლავებს ჩვენსავით ერთი კალათბურთელი ჰყავთ NBA-ში - გორტატი „ორლანდოს" ღირსებას იცავს. პოლონეთის ორი წარმომადგენელი (შევზიკი და კოზარეკი) იტალიის ჩემპიონატში თამაშობს (ჩვენც ხომ ორი კალათბურთელი გვყავს სერია A-ში). ასევე, ჩვენსავით ორი ლეგიონერი ესპანეთშია - **ინგერსკი** და **ჩილინსკი**. თუმცა პოლონელებს საქართველოსთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა აქვთ - ევროლიგაზე მათი „პროკომი" რეგულარულად თამაშობს. საქართველოში კი ისეთი კრიზისია, წლეულს ევროტურნირებზე ერთმა გუნდმაც არ ითამაშა.

მაკედონიას თბილისში 73:60 რომ მოვუგეთ, მას შემდეგ გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა. **რაიან სტაკის** ნაცვლად თამაშობს ნატურალიზებული **იერემია მეისი**, რომელიც მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავს. ყველა სხვა მაკედონიელს ქართველი გულშემატკივარი კარგად იცნობს.

ლატვიელებს ევროტურნირებზე გამოცდილი „ასკ რიგა" და „ბარონსი" ჰყავთ. თუმცა ლეგიონერებითაც შეუძლიათ თავი მოიწონონ: **ბლუმსი** და **ვალტერსი** ესპანეთში თამაშობენ, ხოლო **კამბალა** კრასნოიარსკის „ენისეის" ღირსებას იცავს. ლატვიელთა კოზირი **მარკოიშვილი-სანიკიძე-ცინცაძის** თანატოლი **ანდრის ბიედრინსია**, რომელიც „გოლდენ სტეიტში" თამაშობს. სხვათა შორის, ლატვიელებს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ორი დისკვალიფიცირებული ჰყავთ - **შკელე** და ვალტერსი. ისინი სამი წლით არიან ნაკრებიდან მოკვეთილნი.

ისრაელმა ევროპის ჩემპიონატზე სამი საშინაო მოგებით გაალწია. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ებრაელები შეგვხვდნენ, თბილისში მათთან დიდი უპირატესობა გვექნება. ესპანური ლიგის წარმომადგენლები არიან **ბურშტეინი** და **ელიაჰუ**, ხოლო მარკოიშვილის ყოფილი თანაგუნდელი („ოლიმპიაში") **იოთამ ჰალპერინი** საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" წევრია. არ დაგვავიწყდეს, რომ ევროლიგაზე წარმატებულად თამაშობს თელ-ავივის „მაქაბი".

ბრიტანეთი 2012 წლის ოლიმპიადას მასპინძლობს და არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ყველანაირი ხელშეწყობა ექნება ევრო-2011-ზე მოსახვედრად. არც შემადგენლობა ეყოლება ხელწამოსაკრავი. უნდა ველოდოთ ჩიკაგოელი **დენგის** დაბრუნებას. მის გარდა გუნდში კიდევ ერთი NBA-ელია - **მენსა-ბონსუ** („ტორონტო").

ბულგარელებს ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავთ იტალიასა და ესპანეთში. ნაკრების წევრთა უმეტესობა ბულგარეთის ჩემპიონატის წარმომადგენელია.

ზემოთ ვთქვით ევრო-2009-ის მონაწილეებზე. პოლონეთში მოხვედრამდე ცოტა დააკლდა ბელგიას, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში საფრანგეთთან წააგო. ფინალისტობა თავისთავად მიუთითებს ბელგიელთა სიძლიერეზე. მათ საკლუბო კალათბურთიც განვითარებული აქვთ და ერთიორი კარგი ლეგიონერიც ჰყავთ: მეფარე **ჰარველე** წლების განმავლობაში მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავდა, ხოლო **მბენგა** „კლიპერსს" წარმოადგენს.



ბოსნიის ნაკრებში ევროლიგის ვარსკვლავი არავინაა, თუმცა ნაკრების წევრები წამყვან ბალკანურ კლუბებში არიან გადანაწილებულნი.

ფინეთის ნაკრებს ასე ვიცნობდით: **რანიკო, მოტოლა** და დანარჩენები. ახლა ლიდერთა დუეტი ტრიოდ იქცა - სანიკიძის თანაგუნდელი (ვირტუსში) **კოპონენი** მიემატა. მოტოლა ცოტა დაბერდაო, - გვითხრა ფინეთში მოთამაშე გივი ბაქრაძემ.

A დივიზიონში ყველაზე სახელიანი შემადგენლობა იტალიას ჰყავს. სერია A-ს თავი რომ დავანებოთ, აპენინელების ნაკრებში NBA-ს სამი კალათბურთელი თამაშობს: **ბარნიანი, ბელინელი** და **გალინარი.**

მეოთხე კალათში პორტუგალია და უნგრეთია. პორტუგალიელებმა ევრობასკეტი 2007-ის შესარჩევი ეტაპი ალმავლობით ჩაატარეს. თუმცა 2009-ის შესარჩევში წარუმატებლად გამოვიდნენ. პორტუგალიის ნაკრებში სახელოვანი არავინაა, უმეტესობა შიდა ჩემპიონატში თამაშობს. იგივეს თქმა შეიძლება უნგრეთზე, რომელიც 2009 წელს უკრაინასთან, ესტონეთთან და ჩეხეთთან ერთად ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდა. საბოლოოდ, უკრაინა და უნგრეთი A დივიზიონში დარჩნენ, ხოლო ჩეხეთი და ესტონეთი ქვედა ლიგაში საქართველოსა და ჩერნოგორიას ჩაენაცვლნენ.

უკრაინის და ჩერნოგორიის ნაკრებებზე ბევრს არაფერს ვიტყვით, რადგან ისინი არ შეგვხვდებიან. **ნიკოლა პეკოვიჩისა** და **ომარ კუკის** ჩერნოგორია ნებისმიერი გუნდისთვის არასასურველი მეტოქე იქნება.

■ ■ ■

ბოლოს ჩამოგითვლით აგვისტოში გასამართავი მატჩების თარიღებს: 2, 5, 8, 11, 14, 17, 20, 23, 26, 29. აქედან ორ დღეს ნაკრები დაისვენებს.

ასე და ამგვარად, დღეს 16 საათზე წილისყრაა...

ვაჟა სიმონიშვილი

კრიზისი



## დონეცკი დაიშალა, ცინცაძე თავისუფალია

გუშინ მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელეს უკრაინულმა სააგენტოებმა: „დონეცკის" პრეზიდენტი **სერგეი დიადჩენკო** თანამდებობიდან გადადგა, შესაბამისად, გუნდს შეუწყდა დაფინანსება და ყველა ლეგიონერს განთავისუფლების ფურცელი გადაეცა.

თავისუფალი აგენტია **გიორგი ცინცაძეც**, რომელმაც მიმდინარე სეზონი ბერძნულ „ტრიკალაში" დაიწყო და „დონეცკში" დეკემბერში გადავიდა.

დონეცკელები უკრაინის ჩემპიონატში ადგილობრივებით გავლენ ფონს. რაც შეეხება გიორგი ცინცაძეს, სად გააგრძელებს კარიერას, ჯერ უცნობია. თუმცა შევიტყვეთ, რომ ბუს გადაბირებით სამი კლუბია დაინტერესებული. მათ შორის არ არის „ტარტუ როკი", რომელშიც ქართველმა გამთამაშებელმა სამი სეზონი გაატარა.

ვაჟა სიმონიშვილი

მიხეილ კორკიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი.

### მეოთხედფინალი

**15 იანვარი, რუსთავი**

**შსს-სამედიცინო/აკად. 84:68**

24:15, 12:19, 20:12, 28:22

შსს: ი. ბერიშვილი (9 ქ, 8 პ, 4 ჩ), ნიკოლაძე (22), ლაფანაშვილი (13), მარკოიშვილი (17), სუხიშვილი (20 ქ, 15 მ); ფაიქრიძე, კორკოტაძე, შერმადინი (1), ყველაშვილი (2)

სამედ/აკადემია: ბოქოლიშვილი (9), ლომოური (3), თენიეშვილი (18), მუმლაძე (16ქ, 12 მ), ჯავახიშვილი (7); ლეჟავა (12), ლვალაძე, ბექაური (1), ელიაძე, ჭიჭვეიშვილი (2)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

კომისარი: გ. სანაძე

**თსუ-დინამო 94:80**

19:18, 31:18, 25:23, 19:21

თსუ: გაფრინდაშვილი (18), კოხრეიძე (2ქ, 10მ), ლოსაბერიძე (14), მინაშვილი 916), დ. ბარბაქაძე (16ქ, 8მ); კეიდია (2), შანიძე, ივანეიშვილი (3), ზ. დეკანოიძე, ბოლქვაძე, ხიზანიშვილი (8ქ, 8მ), კუჭავა (15)

დინამო: სიგუა (12), ნოზაძე (19), სანაძე (7), ჯანგველაძე (8), ლონდარიძე (23ქ, 15მ); ნანიტაშვილი (3), ეძგვერაძე (2), გემაზაშვილი (4), დ. დეკანოიძე (2)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: თ. ქიქოძე

**სსაუ-სოხუმი 90:68**

20:19, 16:18, 25:18, 29:13

სსაუ: ნივნივაძე (18ქ, 5პ), გულისაბედაშვილი (12), გ. ბარბაქაძე (10), დიდია (13), ათანელიშვილი (14ქ, 9მ); ჩაჩიბაია (19ქ, 9მ, 4ჩ), გასიტაშვილი, ტყეშელაშვილი, ხანიაშვილი (4), კანდელაკი

სოხუმი: ტეტელაშვილი (2), ბ. ბერიშვილი (21ქ, 7ჩ), კანკია (14), კვეტენაძე (19), გაბელია (3); ტიკიშვილი , არეშიძე, თვარაძე (6), სულაბერიძე (4), გოლეთიანი, როგავა

მსაჯები: მ. კუპატაძე, მ. ანდღულაძე

კომისარი: რ. ხომერიკი

**ენერჯი-ჭიათურა 104:34**

29:8, 20:14, 29:5, 26:7

ენერჯი: ტულუში (11ქ, 5პ), არწივიძე (7ქ, 4ჩ), ჭოჭუა (2), ბაბიაშვილი (14), დვალიშვილი (25ქ, 14მ); მაჭავარიანი (5), ცეკვავა (4), ჩაჩანიძე, აბაიშვილი (13), ხმელიძე (12), ბოისა (5ქ, 4 ჩ), პირველაშვილი (6)

ჭიათურა: ფ. გურული (8), ენუქიძე, სვანიძე(6), თავამაიშვილი (6), მეზვრიშვილი (2); ხაჩიური (4), გაბუნია, მჭედლიშვილი (8)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. სადღობელაშვილი

კომისარი: რ. გელოვანი

**ნახევარფინალები. დღეს**

14:00 სსაუ-შსს

16:00 ენერჯი-თსუ

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი

# ირანი ბოლოსკენ გავტეხეთ

**საქართველო-ირანი 27:22 (11:11)**

საქართველო: თევზაძე, ტორონჯაძე, სამყურაშვილი; რუსია (7 გოლი), ჩიქოვანი (6), მსხვილიძე (4), მაისურაძე (4), ტალახაძე (3), ჭანტურია (2), კირილოვი (1), გრიშიკაშვილი, ყაველაშვილი, ამირანაშვილი, ყიფიანი, გოგალაძე, კობახიძე, კალანდაძე, ქარდავა.

მსაჯები: არაბული, ჭკუასელი

მართალია, ამჯერად უფრო დიდი სხვაობით გავიმარჯვეთ, მაგრამ საქართველოსა და ირანის ეროვნული ნაკრებების მეორე ამხანაგური მატჩი უფრო დაძაბული გამოდგა. მეტოქე შეხვედრის ბოლოსლა გავტეხეთ, თორემ მატჩის უდიდესი ნაწილი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და რამდენჯერმე ირანელები წინაც კი იყვნენ.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ მეტრეველმა** საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე რამდენიმე ხელბურთელსაც მისცა თავის გამოჩენის შანსი და მათი თამაშით კმაყოფილი დარჩა. ამჯერად ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი **ვლადიმერ რუსია** იყო. პირველ ტაიმში, როცა დიდი სხვაობით წინ გაჭრას ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა, **შოთა თევზაძემ** ჩვენი კარი არაერთხელ გადაარჩინა.

მატჩის შემდეგ მერაბ მეტრეველს გავესაუბრეთ.

- ჩვენმა გუნდმა ნორმალურად ითამაშა, მაგრამ ხარვეზები მაინც მრავლად გვქონდა. ელემენტარულ სიტუაციებში ბურთს ვკარგავდით, ვერ გამოვიყენეთ არაერთი ხელსაყრელი საგოლე მომენტი. დაახლოებით მე-20-დან 25-ე წუთამდე ჩავარდნა გვქონდა, კმაყოფილი კი დაცვის თამაშით ვარ. ჩვენი მთავარი პრობლემა შეუთამაშებლობაა, რაც გასაკვირი ნამდვილად არ არის. ნაკრები ძალიან იშვიათად იკრიბება და შეცდომების სიმრავლეც ამის ბრალია. იმის მიუხედავად, რომ თამაშები ამხანაგური იყო, ბიჭები ღელავდნენ, რაც, ბუნებრივია, არ წაგვადგა.

**- ირანის ნაკრები კარგი სპარინგპარტნიორი გამოდგა?**

- უდავოდ. საკმაოდ ძლიერი გუნდია და დონით გაცილებით აღემატება იმ ნაკრებებს, რომლებსაც "ჩელენჯ ტროფიზე" მოვუგეთ. ამ ტურნირის ფინალში ჩვენს მეტოქეს, ფინეთის ნაკრებს რაც შეეხება, მათ და ირანელებს ვერ შევადარებ, რადგან ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებულ ხელბურთს თამაშობენ. ირანელები სწრაფ სტილს ანიჭებენ უპირატესობას, ფინელები კი პოზიციურ თამაშში არიან ძლიერები.

**- ჩვენი გუნდიდან ვის გამოარჩევდით?**

- ორივე თამაში უმაღლეს დონეზე ჩაატარა შოთა თევზაძემ, სხვა ლეგიონერების ფორმითაც კმაყოფილი ვარ. სერგეი კირილოვი დაცვაში შეუცვლელია და მისი იმედი გვაქვს. ქართული გუნდების წევრთაგან კი უჩა მაისურაძესა და ილია გოგალაძეს გამოვარჩევ. ორივე ახალგაზრდა და ძალიან პერსპექტიულია, როგორც იქნა, მათი სანაკრებო დონეზე გასინჯვის შესაძლებლობა მომეცა და როგორც გითხარით, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

**- ფინეთთან ფინალური მატჩის განაცხადს როდის შეადგენთ?**

- 19 და 20 იანვარს ორმხრივ თამაშებს ჩავატარებთ და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებ.

**- ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის საკითხი თუ გადაწყდა?**

- დიახ, განაცხადი უკვე შევიტანეთ და 31 იანვარს მეტოქეების ვინაობასაც შევიტყობთ. ჯგუფში ოთხი გუნდი ითამაშებს. მეტოქეებთან შეთანხმებით, ან მიმოსვლით ვითამაშებთ, ან ერთ ქვეყანაში. ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტი ტურნირის საქართველოში ჩატარება იქნება და იმედია, ეს გამოგვივა კიდეც.

ლევან ჯანეზაშვილი

ავტორის ფოტო



### მილოცვა

საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან საიუბილეო 70 წელს ულოცავს გამოჩენილ ქართველ მობილიარდეს, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულს და პრიზიორს, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელს, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს როსტომ (ენრიკო) მაჩაიძეს.



# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## სპორტის სახეობათა ისტორია

# კალათბურთი



კალათბურთი (ინგლ. Basketball - Basket - კალათი, Ball - ბურთი). ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტის გუნდური სახეობაა.

კალათბურთის მსგავსი თამაშის კვალი ნაპოვნია ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიებზე (ძვ. წ. X საუკუნე). იმდროინდელი რელიგიური დღესასწაულების აუცილებელი თანამდევი იყო თიხის ბურთის სროლა მიზანში (შუაში გახვრეტილი ქვის დაფა). ამ თამაშს ერქვა „პოკ-ტა-პოკ". მექსიკაში აღმოჩენილია 147 მეტრი სიგრძის სათამაშო მოედანი, რომელსაც გარს აკრავს 8 მეტრი სიმაღლის ქვის ტრიბუნები. ტრიბუნებზე დამაგრებული იყო სამიზნე რგოლები. აცტეკები თამაშში კაუჩუკის ბურთს და ქვის კალათს იყენებდნენ. მათგან განსხვავებით, ფლორიდელი ინდიელები ჭოკის ბოლოში დამაგრებულ დაწნულ კალათს იყენებდნენ.

ისტორიკოსთა მიერ აღწერილ ადრეულ თამაშებს, მსგავსების მიუხედავად, თითქმის არაფერი აქვთ საერთო თანამედროვე კალათბურთთან, რომელიც სპრინგფილდის (აშშ, მასაჩუსეტსის შტატი) კოლეჯის ანატომიისა და ტანვარჯიშის მასწავლებელმა **ჯეიმს ნეისმითმა** (1861-1939) შექმნა სტუდენტებისთვის. წესების შემუშავების შემდეგ, 1891 წლის 21 დეკემბერს ნეისმითმა პირველი საცდელი მატჩი ჩაატარა თითოეულ გუნდში 9-9 მოთამაშის მონაწილეობით. ამერიკიდან სულ მალე კალათბურთი მთელმა მსოფლიომ გაიცნო და აღიარა.

## იყო ასეთი შემთხვევა...

1989 წლის მაისში (ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა კავშირში პოლიტიკური კრიზისი აშკარად გამოიკვეთა) მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის 20 წლის ჰოკეისტმა **ალექსანდრ მოგილნიმ** აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. ცხადია, მოსკოვმა ეს შეიცხადა და „საბჭოთა არმიიდან უმცროს ლეიტენანტ მოგილნის დეზერტირობის გამო" სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დააპირა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა და მოგილნი ნჰლ-ის კლუბ „ბუფალო სეიბრიზში" ზარ-ზეიმით ჩაირიცხა.

## თარიღი 16-22 იანვარი

**16.01.1935 წ.** დაიბადა **უდო ლატეკი**, ცნობილი გერმანელი საფეხბურთო მწვრთნელი.

**16.01.1969 წ.** დაიბადა ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე **როი ჯონსი.**

**17.01.2008 წ.** 65 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული მოჭადრაკე **რობერტ ფიშერი** (აშშ)

**20.01.1892 წ.** აშშ-ში გაიმართა პირველი საკალათბურთო მატჩი.

**17.01.1906 წ.** დაიბადა **გილერმო სტაბილე,** ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი და მწვრთნელი. გარდაიცვალა. 1966 წელს.

**17.01.1911 წ.** დაიბადა **გავრილ კაჩალინი.** გამოჩენილი საფეხბურთო მწვრთნელი. გარდაიცვალა 1995 წელს.

**18.01.1955 წ.** დაიბადა **ტიბორ ნილაში,** ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი.

**19.01.1922 წ.** დაიბადა ესპანელი ფეხბურთელი **მიგელ მუნიოსი.** გარდაიცვალა 1990 წელს.

**20.01.1953 წ.** დაიბადა **ჯონი რობერტსონი,** ინგლისელი ფეხბურთელი.

**21.01.1901 წ.** დაიბადა **რიკარდო სამორა.** ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი. გარდაიცვალა 1978 წელს.

**22.01.1920 წ.** დაიბადა **ალფ რამსეი,** გამოჩენილი ინგლისელი საფეხბურთო მწვრთნელი. გარდაიცვალა 1999 წელს.

## ვიქტორინა

1. რომელ წელს და სად გაიმართა პელეს გამოსათხოვარი მატჩი?

ა - 1996 წელს ბრაზილიაში
ბ - 1997 წელს აშშ-ში
გ - 1998 წელს საფრანგეთში

2. რომელ წელს შეინარჩუნა ანატოლი კარპოვმა ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ვიქტორ კორჩნოისთან მატჩში?

ა - 1976 წელს
ბ - 1977 წელს
გ - 1978 წელს

3. რომელმა ჩეხმა სპორტსმენმა სთხოვა პოლიტიკური თავშესაფარი აშშ-ს 1975 წელს

ა - მარტინა ნავრატილოვამ (ჩოგბურთი)
ბ - ანტონი პანენკამ (ფეხბურთი)
გ - ფრანტიშეკ პოსპიშალმა (ჰოკეი)

4. ვინ არის სამხტომში თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი?

ა - მაიერ პრინშტაინი (აშშ)
ბ - ჯეიმს კონოლი (აშშ)
გ - გუსტავ ლინდბლომი (შვედეთი)

5. სად ჩატარდა ზაფხულის XV ოლიმპიური თამაშები?

ა - ბერლინში
ბ - ლონდონში
გ - ჰელსინკში.

პასუხები: 1-გ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-ა.

## სპორტი და ტრაგედიები

ეს ამბავი მოხდა 1979 წლის 11 აგვისტოს. 8400 მეტრ სიმაღლეზე ერთმანეთს შეეჯახა ორი სამგზავრო ლაინერი. ერთს ბავშვები გადაჰყავდა პიონერთა ბანაკ „არტეკიდან" ჩელიაბინსკში, მეორეს კი - ტაშკენტის „ფახთაქორის" საფეხბურთო გუნდი მინსკში სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარული მატჩის ჩასატარებლად.

საბჭოთა ხელისუფლებამ მსხვერპლის ზუსტი რაოდენობა საიდუმლოდ შეინახა. თუმცა კატასტროფიდან ორი კვირის შემდეგ იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ დაიღუპა „ფახთაქორის" 13 ფეხბურთელი.

## გინესის რეკორდების წიგნიდან

1989 წლის 25 თებერვალს "ფეირვიუს" (პენსილვანია) სასკოლო გუნდის კალათბურთელმა კრისტოფერ ედიმ "იროკეზსთან" მატჩში ბურთი კალათაში 27,49 მეტრიდან ჩააგდო. ზუსტი სროლა დამატებით დროში შესრულდა და ედის გუნდს 51:50 გამარჯვება მოუტანა.

■ ■ ■

**ლოს ანჯელესში 1932 წლის ოლიმპიადაზე, ინდოელმა ბალახის ჰოკეისტებმა ამერიკის ნაკრები 24:1 დაამარცხეს.**

■ ■ ■

ლოს ანჯელესის "ლეიკერსმა" 1971 წლის 5 ნოემბრიდან 1972 წლის 7 იანვრამდე ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მიჯრით 33 მატჩი მოიგო.

## სახალისო აფორიზმები

- ზოგ მორბენალს ყველაზე უკეთ ფალსტარტი გამოსდის.
- მეტისმეტად ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულისთვის ცოტა ადგილი რჩება.
- სპორტში განდიდების მანია ცუდი მსახურია, დევნის მანიამ კი შესაძლოა, სწრაფად გარბენინოს.
- სპორტში არავის სურს იყოს მეორე, სიყვარულში კი – მესამე.
- სპორტში, ისევე როგორც კაზინოში, შემთხვევით მოგება ძალიან ძნელია.
- მსუბუქ წონაში გამარჯვებისთვისაც კი მძიმე შტანგის აწევაა საჭირო.

## თითო აბზაცი ბიოგრაფიიდან



### ანდრე აგასი

**1997-1999 წლებში ანდრე აგასი მსახიობ ბრუკ შილდსის მეუღლე იყო, 9 წლის წინათ კი ჩოგბურთელ შტეფი გრაფზე დაქორწინდა და ორი შვილი ჰყავს. აგასის მამა — ემანუელი, ამერიკაში ემიგრაციამდე, ირანის მოკრივეთა ნაკრების წევრი იყო და 1948 და 1952 წლების ოლიმპიადებში მონაწილეობდა.**

### ჯენიფერ კაპრიატი

**ჩოგბურთელმა, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, საყოველთაო ყურადღებისა და პოპულარობის ტვირთს ვერ გაუძლო და მისი კარიერა დაღმა წავიდა. 1993 წელს ფლორიდაში ის მაღაზიაში ქურდობისთვის დააკავეს, მომდევნო წელს კი ფლორიდის ერთ-ერთ მოტელში მარიხუანის მოწევისთვის დააპატიმრეს.**




## ობიექტივი




# კროსვორდი

**თარაზულად:** 1. იხ. სურათი; 4. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 8. მეკარის მოძველებული სახელწოდება; 9. "ჩელსის" ფრანგი ლეგიონერი; 12. "მილანის" ცენტრალური მცველი; 15. ზუგდიდის საფეხბურთო გუნდი; 17. მოთხილამურის ფეხსაცმელი; 18. ლატვიის საფეხბურთო გუნდი; 19. გამოჩენილი კანადელი ჰოკეისტი; 21. "ინტერის" მთავარი მწვრთნელი; 22. ჰოლანდიური ფეხბურთის სარესურსო ქვეყანა; 25. ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ჩოგბურთელი ქალი; 26. სახლთან სათამაშო ადგილი ბავშვებისათვის; 28. ფეხბურთის კარის შემადგენელი ნაწილი; 29. სპორტული ნაწარმის ფირმა; 30. ფეხბურთელთა ფეხსაცმელი; 31. ... რეჰაგელი; 32. მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი ჭადრაკში; 33. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი.

**შვეულად:** 1. ფეხბურთის უგვირგვინო მეფე; 2. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 3. ქვეყანა, რომლის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელია ჯოვანი ტრაპატონი; 5. არგენტინული წარმოშობის ძვ. ფრანგი ფეხბურთელი და მწვრთნელი; 6. ... ჩიბურდანიძე; 7. "მილანის" ფეხბურთელი; 10. ბატისტუტას მეტსახელი; 11. 1968 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყანა; 13. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 14. გერმანიის საფეხბურთო გუნდი; 16. ფეხბურთის გულშემატკივრები იტალიაში; 19. "შავ პანტერად" წოდებული პორტუგალიელი ფეხბურთელი 20. "კრილია სოვეტოვის" ყოფილი ბრაზილიელი ნახევარმცველი; 23. ამერიკელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 24. ფეხბურთელი, რომლის სახელსაც ატარებს მილანის სან-სიროს სტადიონი; 27. გერმანიის ეროვნული ნაკრების მეკარე, რომელმაც ახლახან თავი მოიკლა.



**შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ**

*პასუხები იხილეთ მომდევნო ნომერში*

ჩოგბურთი

# 10 პროგნოზი

**ცნობილმა ჟურნალმა Tennis-მა გამოაქვეყნა ერთ-ერთი წამყვანი საჩოგბურთო ანალიტიკოსის ტომ პეროტას მასალა, რომელიც ახალი სეზონის ათ ყველაზე განხილვად პროგნოზს ეხება.**

**1. ფედერერი ვერ მოიგებს დიდი სლემის ტურნირს**

არ მგონია, რომ **ფედერერმა** შეძლოს უახლოეს მომავალში უმაღლესი რანგის რომელიმე ტურნირის მოგება. ეს წელი ერთ-ერთი ყველაზე რთული იქნება მის კარიერაში, რადგან ახალგაზრდა ვარსკვლავებმა ძალიან მოუმატეს (პირველ რიგში, **დელ პოტრომ** და **მიურეიმ**), ამასთან მთავარი კონკურენტი **ნადალი** ძველი სპორტული ფორმის დაბრუნებას იმედოვნებს. ეს იქნება პირველი სეზონი 2002 წლის შემდეგ, როცა ფედერერი „დიდი სლემის" ვერც ერთ ტურნირს ვერ მოიგებს.

**2. ნადალი მოიგებს როლან გაროსსა და უიმბლდონს**

ნადალი ახლა იმ ასაკშია, რომელშიც ფედერერი ძალიან ძლიერი იყო, მაგრამ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ივნისში ესპანელს 24 წელი შეუსრულდება და ტრავმირებულმა მუხლმა მინიმუმ ორი კარგი სეზონის ჩატარების საშუალება უნდა მისცეს. ვფიქრობ, ის კვლავ შეძლებს პარიზულ კორტებზე თავისი ძალის დამტკიცებას, მაგრამ უიმბლდონზე გასამარჯვებლად ნადალს საკუთარ თავში რწმენა და დამაჯერებლობა დასჭირდება.

**3. შარაპოვა მოიგებს ავსტრალიის ღიას**

მელბურნში მთელი ყურადღება დიდ სპორტში დაბრუნებული **ანენისკენ** იქნება მიპყრობილი. ყურადღების ცენტრში მოექცევიან აგრეთვე ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონი **კლაისტერსი** და **სერენა უილიამსი**, რომელსაც ტიტულის დაცვა უნევს. მაგრამ შარაპოვა მათზე მაღლა იდგება. 2009 წელს 25 წლის რუსი ტრავმებს ებრძოდა და ვერ შეძლო სეზონის თანაბრად გავლა, მაგრამ შემოდგომაზე მაინც საუკეთესო იყო. ასევე იქნება მელბურნშიც. არ არსებობს იმის თქმის საფუძველი, რომ რუსმა ვერ აღიდგინა ძველი ფორმა და ვერ შეძლებს ავსტრალიაში გამარჯვებას.

**4. ანენი მოიგებს როლან გაროსს, მაგრამ დამარცხდება უიმბლდონზე**

როცა ბელგიელის დაბრუნებაზე ლაპარაკობენ, ყველაზე ხშირად იმეორებენ იმას, რომ ჟუსტინი დიდ ჩოგბურთში უიმბლდონის დასაპყრობად მოვიდა. ეს არის „დიდი სლემის" ერთადერთი ტურნირი, რომელიც ანენს არასოდეს მოუგია. მაგრამ ძალიან რთული იქნება ამ ამოცანის გადაწყვეტა, რადგან ბელგიელი ახალი დაბრუნებულია დიდ ჩოგბურთში.

**5. ჯოკოვიჩი რეიტინგის პირველი ნომერი გახდება**

სერბმა ჩოგბურთელმა ამ მიზანს, შესაძლოა, „დიდი სლემის" ტურნირის მოუგებლად მიაღწიოს, რადგან შარშან ავსტრალიის ღიაზე, როლან გაროსსა და უიმბლდონზე ცუდად გამოვიდა (ორჯერ მეოთხედფინალიდან და ერთხელ მესამე წრიდან გამოვარდნა). ასე რომ, ამ ტურნირებზე შორს წასვლის შემთხვევაში **ნოვაკს** ახალი ქულების მოპოვების შანსი ექნება. ჯოკოვიჩის ტრიუმფი კიდევ უფრო რეალური გახდება, თუ რაფა ვერ შეძლებს ავსტრალიასა და ამერიკის ღია პირველობებზე (მოგება და ნახევარფინალი) შარშან მოპოვებული ქულების დაცვას.

**6. ვენუს უილიამსი ვერ მოიგებს დიდი სლემის ტურნირს და პენსიაში გასვლაზე დაფიქრდება**

შესაძლოა, შარშანდელი უიმბლდონის ფინალში გასვლა ბოლო წარმატება იყოს უფროსი უილიამსისთვის. წელს ის 30 წელს მიაღწევს და მისთვის სულ უფრო რთული იქნება კლაისტერსთან, ანენთან და შარაპოვასთან ბრძოლა. ხოლო თუ ვენუსი ძირითად დროს მკურნალობას დაუთმობს და არა თამაშს, სავსებით შესაძლებელია დაასრულოს აქტიური კარიერა.

**7. არგენტინა მოიგებს დევისის თასს**

დიახ, ეს შესაძლებელია. ყველაზე საჩოგბურთო ერი მთავარ ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ. დელ პოტრო სულ უფრო უმატებს თამაშს, **ნალბანდიანი** თითქმის მზად არის კორტზე დასაბრუნებლად. ამჯერად ეს გუნდი საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ ტიტული მოიპოვოს, იმ დროს, როცა ფავორიტი ესპანეთი ნაადრევად ჩამოშორდება სატურნირო დისტანციას.

**8. მელანი ოუდინი დაქვეითდება რეიტინგში**

**მელანი** ხისტად თამაშობს, ბრწყინვალედ მუშაობს ფეხებით, მისი თამაში ნებისმიერ საფარს ერგება. მაგრამ ამერიკის შარშანდელი პირველობის ნახევარფინალისტი ჯერ არ მომწიფებულა დიდი გამარჯვებებისთვის. მას ამისთვის დრო სჭირდება. ოუდინი რისკიან თამაშს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ მეჩვენება, რომ დღეს მისგან ბევრს ელიან. იქნებ მომავალში უფრო მეტს მიაღწიოს, ვიდრე 2010 წელს.

**9. საფინა დატოვებს საუკეთესო ათეულს**

ზურგის ტრავმით გაწამებული **საფინა** 2009 წლის ბოლოსთვის განადგურებული იყო როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. დინარას წინ ურთულესი სეზონი ელის, რადგან თითქმის ყველა ტურნირზე შარშან მოპოვებული დიდი რაოდენობით სარეიტინგო ქულების დაცვა უწევს. ასე რომ, მისი რეიტინგი უკვე უახლოეს მომავალში შეიძლება შესამჩნევად დაეცეს.

**10. როდიკი მამა გახდება**

საქმის კურსში არ ვარ, ელოდება თუ არა **როდიკების** ოჯახი ბავშვს, იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ენდის მოუხდება მამობა. მხოლოდ ფედერერსა და მის შვილებზე ხომ არ უნდა იყოს გადატანილი მთელი ყურადღება?!

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ავსტრალიის ღია პირველობა. კაცების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 — 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

| 1/64 (მარცხენა ნახევარი) | 1/64 (მარჯვენა ნახევარი) |
|---|---|
| ფედერერი (შვეიც, 1) | როდიკი (აშშ, 7) |
| ანდრეევი (რუს) | დე ბაკერი (ჰოლ) |
| ჩელა (არგ) | გაბაშვილი (რუს) |
| ჰანესკუ (რუმ) | ბელუჩი (ბრა) |
| რობერი (საფ) | ფ. ლოპესი (ესპ) |
| სტარაჩე (იტა) | კუევასი (ურუ) |
| ერნანდესი (ესპ) | შუტლერი (გერ) |
| მონტანიესი (ესპ, 31) | კუერი (გერ, 25) |
| ჰიუიტი (ავსტრა, 22) | ბერდიხი (ჩეხ, 21) |
| კვალიფიკაცია | ჰაასე (ჰოლ) |
| კ. როხუსი (ბელ) | ბრანდსი (გერ) |
| კვალიფიკაცია | კოროლიოვი (ყაზ) |
| ლორენცი (იტა) | გროსჟანი (საფ) |
| ბალდატისი (კვიპ) | კვალიფიკაცია |
| ჟილი (პორ) | ო. როხუსი (ბელ) |
| სიმონი (საფ, 15) | გონსალესი (ჩილ, 11) |
| ვერდასკო (ესპ, 9) | ჩილიჩი (ხორ, 14) |
| ბოლი (ავსტრა) | სანტორო (საფ) |
| კვალიფიკაცია | კვალიფიკაცია |
| სელა (ისრ) | ტომიჩი (ავსტრა) |
| რამი (აშშ) | კუნიცინი (რუს) |
| კვალიფიკაცია | აკასუსო (არგ) |
| კვალიფიკაცია | გარსია ლოპესი (ესპ) |
| ფერერო (ესპ, 23) | ვავრინკა (შვეიც, 19) |
| მონაკო (არგ, 30) | ტროიცკი (სერ, 29) |
| გულბისი (ლატ) | ლაპენტი (ეკვ) |
| ვასალო არგელო (არგ) | პეტცშნერი (გერ) |
| ლოდრა (საფ) | ფ. მაიერი (გერ) |
| მოია (ესპ) | ბლეიკი (აშშ) |
| კვალიფიკაცია | კლემანი (საფ) |
| კვალიფიკაცია | რასელი (აშშ) |
| დავიდენკო (რუს, 5) | დელ პოტრო (არგ, 4) |
| ჯოკოვიჩი (სერ, 3) | მიურეი (ბრიტ, 5) |
| ხიმენო ტრავერო (ესპ) | კვალიფიკაცია |
| მატოშევიჩი (ავსტრა) | ჟიკელი (საფ) |
| ჩიუდინელი (შვეიც) | ბოლელი (იტა) |
| ვლიეგენი (ბელ) | ნიემინენი (ფინ) |
| ბერერი (გერ) | ლინდალი (ავსტრა) |
| ისტომინი (უზბ) | სერა (საფ) |
| შარდი (საფ, 32) | მელცერი (ავსტრია, 28) |
| იუჟნი (რუს, 20) | ფერერი (ესპ, 17) |
| გასკე (საფ) | სეპი (იტა) |
| ჰაიეკი (ჩეხ) | კვალიფიკაცია |
| ჯინეპრი (აშშ) | ლუ (ტაივ) |
| კუბოტი (პოლ) | კოლერერი (ავსტრია) |
| ზვერევი (გერ) | კვალიფიკაცია |
| ხირალდო (კოლ) | კვალიფიკაცია |
| რობრედო (ესპ, 16) | მონფილსი (საფ, 12) |
| ცონგა (საფ, 10) | შტეპანეკი (ჩეხ, 13) |
| სტახოვსკი (უკრ) | კარლოვიჩი (ხორ) |
| ფონინი (იტა) | ბენეტო (საფ) |
| დენტი (აშშ) | კვალიფიკაცია |
| ჰარისონი (აშშ) | ფიში (აშშ) |
| ტიპსარევიჩი (სერ) | გოლუბევი (ყაზ) |
| გრეული (გერ) | კუბლერი (ავსტრია) |
| ჰაასი (გერ, 18) | ლუბიჩიჩი (ხორ, 24) |
| ალმაგრო (ესპ, 26) | კოლშრაიბერი (გერ, 27) |
| კვალიფიკაცია | სებალიოსი (არგ) |
| ბეკერი (გერ) | ისნერი (აშშ) |
| კვალიფიკაცია | ოდესნიკი (აშშ) |
| ფალა (კოლ) | ლაჩკო (სლოვაკ) |
| დანიელი (ბრა) | ლ. მაიერი (არგ) |
| გრანოლერსი (ესპ) | ლუჩაკი (ავსტრა) |
| სიოდერლინგი (შვედ, 8) | ნადალი (ესპ, 2) |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი

### ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. X ტური

**A ჯგუფი**

**ციბონა-ვილერბანი 73:71**

26:18, 20:18, 15:17, 12:18

ც: ტომასი (24), გორდონი (16+5 პასი+5 ჩაჭრა), ანდრიჩი (13).

ვ: ტრაორე (16+8 მოხსნა), კემპბელი (15+3 ჩაჭრა), ლუკაუსკისი (11).

**ბარსელონა-მონტეპასკი 85:70**

22:15, 18:20, 20:14, 25:21

ბ: რუბიო (14+10 პასი+4 ჩაჭრა), ვასკესი (13+7 მოხსნა), ნავარო (13).

მ: პოუკინსი (19), მაკინტაირი (16), ლავრინოვიჩი (10+8 მოხსნა).

**ფენერბაჰჩე-ჟალგირისი 68:76**

19:23, 18:20, 14:25, 17:8

ფ: უკიჩი (20+6 მოხსნა), გირიჩეკი (16+8 მოხსნა), კინსი (11).

ჟ: პოჩიუსი (18), ბრაუნი (17), კლიმავიჩუსი (13).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 10/0 | 208 |
| 2. მონტეპასკი | 8/2 | 141 |
| 3. ჟალგირისი | 3/7 | -66 |
| 4. ციბონა | 3/7 | -105 |
| 5. ვილერბანი | 3/7 | -69 |
| 6. ფენერბაჰჩე | 3/7 | -109 |

**B ჯგუფი**

**ორლეანეზი-ეფესი 60:75**

15:23, 16:14, 12:18, 17:20

ო: ნიკოლსი (17).

ე: შუმპერტი (21), რაკოჩევიჩი (14), ფექერი (12+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), სმიტი (11+7 პასი).

**ლ. რიტასი-უნიკახა 71:73**

13:20, 22:13, 12:22, 24:18

ლ-რ: გეჩიავიჩუსი (19), ბიელიცა (18+7 მოხსნა), ბაბრაუსკასი (12).

უ: პრინტეცისი (17+7 მოხსნა), კუკი (15+6 მოხსნა), არჩიბალდი (11), დინი (10).

**ოლიმპიაკოსი-პარტიზანი 81:60**

20:15, 16:18, 27:16, 18:11

ო: კლეიზა (16), ჰალპერინი (14), ბურუსისი (12+4 ჩაჭრა), ჩილდრესი (10).

პ: მაკალები (14+4 ჩაჭრა), რობერტსი (14), ვესელი (11+7 მოხსნა).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 8/2 | 97 |
| 2. უნიკახა | 7/3 | 9 |
| 3. პარტიზანი | 5/5 | -12 |
| 4. ეფესი | 4/6 | 15 |
| 4. ლ. რიტასი | 4/6 | -43 |
| 6. ორლეანი | 2/8 | -66 |

**C ჯგუფი**

**ცსკა-კახა ლაბორალი 84:83**

18:24, 23:15, 27:24, 16:20

ც: შიშკაუსკასი (21+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ლენგდონი (21), ხრიაპა (17+11 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა).

კ-ლ: ტელეტოვიჩი (21), სინგლტერი (16+5 ჩაჭრა), სპლიტერი (16+7 მოხსნა).

**რომა-ოლიმპია 68:49**

13:5, 15:10, 21:13, 20:20

რ: ჯაბერი (23+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), მაინარი (11+4 ჩაჭრა), დატომე (10).

ო: ვიდმარი (8), უოლში (7).

**მარუსი-მაკაბი 83:75**

12:19, 19:15, 22:19, 30:22

მარ: კაიმაკოგლუ (18), პომანი (14+10 მოხსნა), ლუკასი (12+6 პასი).

მაკ: პერკინსი (18+5 პასი), ანდერსონი (13), ბლუტენტალი (10).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 8/2 | 30 |
| 2. კახა ლაბორალი | 7/3 | 44 |
| 3. მაკაბი | 6/4 | 57 |
| 4. მარუსი | 4/6 | -20 |
| 5. რომა | 4/6 | -24 |
| 6. ოლიმპია | 1/9 | -87 |

**D ჯგუფი**

**პროკომი-ხიმკი 75:70**

22:21, 23:8, 10:23, 20:18

პ: ლოგანი (24), ვუდსი (16+7 მოხსნა), იუინგი (11).

ხ: მაკარტი (22), ფრიძონი (10), იანკუნასი (8+10 მოხსნა).

**მილანი-რეალი 66:75**

19:16, 20:16, 13:22, 14:21

მ: მანჩინელი (18), ვიჯიანო (13+9 მოხსნა), ბულერი (11).

რ: კაუკენასი (12), პრიჯიონი (11), იარიჩი (11), იული (11), რეიესი (10+8 მოხსნა), დ. ლავრინოვიჩი (10).

**ოლდენბურგ-პანათინაიკოს 64:67**

10:20, 15:13, 24:17, 15:17

ო: პოლდინგი (19), ფოსტერი (15), მაისტოროვიჩი (12+9 მოხსნა).

პ: ბატისტი (21+9 მოხსნა), ნიკოლასი (14), ნ. კალატესი (10).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. რეალი | 8/2 | 121 |
| 2. პანათინაიკოსი | 8/2 | 85 |
| 3. ხიმკი | 6/4 | 7 |
| 4. პროკომი | 4/6 | -63 |
| 4. მილანი | 3/7 | -17 |
| 6. ოლდენბურგი | 1/9 | -143 |

**ტურის მოთამაშე**

მესამედ ევროლიგის მიმდინარე გათამაშებაში ტურის საუკეთესო მოთამაშედ ერთბაშად ორი კალათბურთელი დაასახელეს. ამჯერად MVP-ის სტატუსი მოიპოვეს მოსკოვის ცსკა-ს ფორვარდმა **რამუნას შიშკაუსკასმა** და "ბარსელონას" 19 წლის გამთამაშებელმა **რიკი რუბიომ.**

ლიტველმა შიშკაუსკასმა ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ესპანეთის "კახა ლაბორალის" დამარცხებაში, რითაც არმიელთა კლუბმა პირველი ადგილი დაიკავა C ჯგუფში. რამუნასის ანგარიშზე იყო 21 ქულა (თამაშიდან - 9-დან 7 ზუსტი ტყორცნა, 4-დან 3 სამქულიანი, 6-დან 4 საჯარიმო), 7 მოხსნა, 4 შედეგიანი პასი და 4 ჩაჭრა. გარდა ამისა, შიშკაუსკასზე მეტოქე კალათბურთელები შვიდჯერ დაჯარიმდნენ. ამ ყველაფერმა ბალტიისპირელს 33 სარეიტინგო ქულა მოუტანა.

ასეთივე მაჩვენებელი დააფიქსირა რუბიომ. "მონტეპასკის" (85:70) წინააღმდეგ ესპანეთის ნაკრების ვუნდერკინდმა 14 ქულა (თამაშიდან - 2/4, სამქულიანი - 1/1, საჯარიმო - 9/10), 10 შედეგიანი პასი, 4 ჩაჭრა და 3 მოხსნა მიითვალა. რიკიმ მეტოქეებს ჯამში ცხრა პერსონალური მიალებინა.

ტურის საუკეთესო ხუთ კალათბურთელს შორის მოხვდნენ **ვიქტორ ხრიაპა** (ცსკა), **პრესტონ შუმპერტი** ("ეფესი") და **მაიკ ბატისტი** ("პანათინაიკოსი").

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ახალბედამ ლებრონს მოუგო

„ბოსტონ სელტიქსსა" და „ჩიკაგო ბულზს" შორის შარშანდელი პლეი ოფის სერიამ იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რომ ამიერიდან კალათბურთის ნებისმიერი მოყვარული მოუთმენლად ელის რეგულარულ ჩემპიონატში ამ გუნდების თუნდაც რიგით შეხვედრას. რა ადგილსაც არ უნდა იკავებდნენ ისინი გათამაშების ცხრილში, „კელტებისა" და „ხარების" ორთაბრძოლას ყოველთვის პრინციპული ხასიათი ექნება.

გამონაკლისი არც გუშინდელი შეხვედრა ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ „სელტიქსი" ლიდერობს აღმოსავლეთ კონფერენციას, ხოლო „ბულზს" საუკეთესო რვა გუნდში მოსახვედრად რთული ბრძოლა აქვს გამართული, მატჩი ისეთი არ გამოდგა, როგორც საბუკმეიკერო კანტორები ვარაუდობდნენ. ისინი „ბოსტონს" იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. უკვე პირველ მეოთხედში **ვინი დელ ნეგროს** შეგირდებმა ყველას დაანახვეს, რომ ისინი არ ცნობენ ავტორიტეტებს. „ჩიკაგოს" ბრწყინვალე გუნდურმა თამაშმა დიდი სირთულეების წინაშე დააყენა მასპინძლები. პირველი 12 წუთის შემდეგ „ხარები" 11 ქულით იყვნენ წინ.

ბუნებრივია, „ბოსტონს" თამაშის ასეთ სტილში გაგრძელების უფლება არ ჰქონდა. მაგრამ ერთადერთი, რაც „კელტებმა" პირველ ტაიმში მოახერხეს, თამაშის (და არა ანგარიშის) გათანაბრება იყო. სტუმრებს კი განწყობის შეცვლაზე არც უფიქრიათ და ყოველ წამს ბოლომდე იხარჯებოდნენ მოედანზე. ადგილობრივ გულშემატკივარს მთელი ერთი მეოთხედი ლოდინმა მოუწია, სანამ მისი საყვარელი გუნდი სპურტისმაგვარს განახორციელებდა. **პირსის, პერკინსისა** და **რონდოს** მონდომებით „სელტიქსმა" ხუთ ქულამდე შეამცირა სხვაობა. რაღაც მომენტში ისე ჩანდა, მალე ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდოდა, თუმცა „ბულზმა" მეტოქის ამ გამოწვევასაც გაუძლო. მობილურმა დაცვამ და მეტოქის ნახევარზე **ლუოლ დენგის** ბრწყინვალე თამაშმა სტუმრებს დამაჯერებლობა დაუბრუნა. როგორ არ ეცადა „ბოსტონი" მეტოქის დაწევას, მაგრამ ბოლო მეოთხედის გადამწყვეტ მომენტებში დაცვის შეცდომებმა „ჩიკაგოს" სასარგებლოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა მატჩი სოლტ-ლეიკ-სიტიში, სადაც „ჯაზმენებთან" სტუმრად **ლებრონ ჯეიმსის** „კლივლენდი" ჩავიდა.

სტუმრებმა კარგად დაიწყეს შეხვედრა. ლებრონი მარტო თავის თავზე არ ფიქრობდა და პარტნიორებსაც აძლევდა თავის გამოჩენის საშუალებას. დაცვასა და თავდასხმაში კოლექტიურმა თამაშმა „კლივლენდს" შეხვედრის დებიუტშივე კომფორტული ფორა მოუტანა. „იუტა" პირველ ტაიმში წვალების შემდეგ შეტევაზე გადავიდა, მაგრამ ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა გუნდის ლიდერმა **დერონ უილიამსმა.**

ბუნებრივია, ვარსკვლავი გამთამაშებლის ტრავმის შემდეგ „იუტას" შანსები მკვეთრად დაეცა, მაგრამ აქ გადამწყვეტი სიტყვა თქვა „ჯაზის" დამრიგებელმა **ჯერი სლოუნმა,** რომელიც არ შეუშინდა მეოთხე მეოთხედში ახალბედა **სუნდიატუ გეინსის** მოედანზე შეშვებას. D-ლიგიდან გამოძახებული ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც „იუტასთან" 10-დღიანი არაგარანტირებული კონტრაქტი აკავშირებს, სოლტ-ლეიკსიტის ნამდვილი გმირი გახდა. თუმცა სასწაული მოგვიანებით მოხდა.

ერთი შეხედვით მოსაწყენი თამაში ფანტასტიკურ სანახაობად გადაიქცა. გულშემატკივრებით გამხნევებული „ჯაზმენები" წინ წავიდნენ და 17:5 გაქცევაც მოაწყვეს. თითქოს აღარაფერი რჩებოდა სეზონში 22-ე მოგებამდე, მაგრამ თურმე ზეიმი ნაადრევი ყოფილა. შეხვედრის გადარჩენა ამჯერადაც ლებრონმა ითავა, რომელმაც არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ თავისი გუნდი წინ გაიყვანა! საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე „კავალერების" უპირატესობა 4 ქულას შეადგენდა. თუმცა არც ეს ყოფილა მატჩის დასასრული.

შეგნებული ჯარიმების ტაქტიკის წყალობით, „იუტამ" ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა და ბოლო შეტევისთვის 5 წამიც დაიტოვა. სწორედ აქ დადგა ზემოთ ნახსენები ახალბედის ვარსკვლავური საათი. ბოლო კომბინაციის არადამაჯერებლად გათამაშების შემდეგ, **რონი პრაისმა** პერიმეტრზე გეინსი მონახა, რომელსაც **ენტონი პარკერი** მეურვეობდა, მაგრამ მაინც ჩააგდო არანორმალური სამქულიანი!!!

**ბოსტონი-ჩიკაგო 83:96**

18:29, 21:18, 24:23, 20:26

ბ: პირსი (20+8 მოხსნა+6 პასი), რონდო (15+7 პასი), პერკინსი (14+10 მოხსნა), ჰაუსი (11).

ჩ: დენგი (25), როუზი (17+8 მოხსნა), ნოა (15+11 მოხსნა), გიბსონი (14+6 მოხსნა), ჰაინრიხი (11+6 მოხსნა+6 პასი)

**იუტა-კლივლენდი 97:96**

19:26, 21:21, 15:13, 42:36

ი: ბუზერი (19+13 მოხსნა+6 პასი), ოქური (13+8 მოხსნა), პრაისი (13).

კ: ჯეიმსი (36+9 მოხსნა+6 პასი+5 ჩაჭრა), პარკერი (11), უესტი (11), ვარეჟაო (10+9 მოხსნა), უილიამსი (10).





## ჰოკეი. NHL

**ტორონტო-ფილადელფია 4:0**

0:0, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ბოჟაკი-1 (კესელი-11, ი. უაიტი-15), 2:0 კულემინი-9 (კესელი-12, ბოჟაკი-3), 3:0 შენი-2 (სტაიანი-22, როუზპილი-11), 4:0 სტემპნიაკი-13 (ბლეიკი-16, ბოშემენი-16).

**რეინჯერსი-ოტავა 0:2**

0:0, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 კამპოლი-3 (კოვალიოვი-19, ფიშერი-18), 0:2 კელი-9.

**ატლანტა-ბაფალო 1:2 (ო)**

0:0, 1:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 კალეტა-7 (ლიდმანი-8, მაკარტური-10), 1:1 კოვალჩუკი-27 (ვიაჩ. კოზლოვი-14, ენსტრიომი-33), დ. როი-11 (ტიმ კონოლი-27).

**მონრეალი-დალასი 5:3**

1:2, 2:1, 2:0

**გოლები:** 0:1 პეტერსენი-5, 1:1 ჯონტა-11 (გომესი-25, კამალერი-18), 1:2 ოტი-10 (რობიდასი-19, ბ. რიჩარდსი-40), 2:2 ლარაკი-1 (მ-ა. ბერჟერონი-14, მარა-8), 3:2 პუიო-7, 3:3 მოდანო-7, 4:3 ჯონტა-12 (პუიო-3, მეტროპოლიტი-11), 5:3 კამალერი-21 (ჰამრლიკი-12, პრაისი-1).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 2:3**

2:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ჰორტონი-16 (უეისი-23, ფროლიკი-16), 1:1 ჰალპერნი-9 (ლეკავალიე-32, ტანგეი-19), 2:1 დაუნი-10 (მელოუნი-19, ჩეჩურა-1), 2:2 სტილმანი-7 (რაინპრეხტი-19, დვორაკი-11), 2:3 ოლეში-11.

**დეტროიტი-კაროლინა 3:1**

1:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ლიდსტრიომი-2 (ფილპულა-8, დ. მილერი-5), 2:0 დ. მილერი-5 (ფილპულა-9, ქლირი-10), 2:1 კოსტოპულოსი-6 (ბ. სატერი-8, ტლუსტი-4), 3:1 ზეტერბერგი-11 (ბერტუცი-14).

**სტ. ლუისი-მინესოტა 1:0**

0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 ოში-9 (პოლაკი-7).

**ჩიკაგო-კოლამბუსი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ბ. კემპბელი-6 (ვერსტეეგი-17, პიალმარსონი-7), 2:0 ბიფუგლინი-12 (მადენი-9, ვერსტეეგი-18), 3:0 კეიტი-10 (შარპი-21, მარიან ჰოსა-11).

**ფინიქსი-ნიუ ჯერსი 4:3**

2:0, 0:2, 2:1

**გოლები:** 1:0 ლომბარდი-8 (იენდლი-17, აპშოლი-11), 2:0 მიულერი-3, 2:1 როლსტონი-14 (პელეი-5, მოტო-4), 2:2 ზაიაცი-13 (პარიზე-27), 3:2 ვინიკი-3 (ფიდლერი-11, კორპიკოსკი-3), 4:2 ზ. მიხალეკი-3 (ლანგი-15, ვრბატა-14), 4:3 როლსტონი-15 (ლანგენბრუნერი-28, მოტო-5).

**ედმონტონი-პიტსბურგი 2:3**

0:0, 2:0, 0:3

**გოლები:** 1:0 კოლიანო-5 (ო'სალივანი-15, ვიშნოვსკი-20), 2:0 ვიშნოვსკი-9 (ო'სალივანი-16), 2:1 ტაილერ კენედი-9 (ჯ. სტაალი-18), 2:2 კუკი-9 (ჯ. სტაალი-19, ოეტანგი-13), 2:3 დუპუი-11 (ჯ. სტაალი-20, კუკი-12).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 4:0**

1:0, 3:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ჰანძუში-11 (ჯ. ჯონსონი-13, ო'დონელი-8), 2:0 პერსი-8 (სკუდერი-6), 3:0 დ. ბრაუნი-11 (ფროლოვი-18, დაუტი-26), 4:0 სიმონდსი-11 (კოპიტარი-27, ჯ. ჯონსონი-14).

**სან ხოსე-ბოსტონი 1:2 (ბ)**

0:0, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 პეი-5 (შ. ტორნტონი-7), 1:1 ჯ. ტორნტონი-12 (ჰიტლი-25, დ. ბოილი-29).

**ბულიტები გაიტანეს:** ხარა (ბოსტონი).

## ავტოსპორტი. დაკარი 2010

# გადამწყვეტი ეტაპების წინ

უკან დარჩა რალი-რეიდ დაკარის მე-12 ეტაპი, რომელშიც საერთო ჩათვლის ლიდერებმა წამყვანი პოზიციები შეინარჩუნეს.

მას შემდეგ, რაც წინა ეტაპზე კატარელმა **ნასერ ალ-ატიიაჰმა** სერიოზული იერიში მიიტანა **კარლოს საინსის** პოზიციებზე, ესპანელმა საპასუხო შეტევაზე გადასვლა სცადა. საინსი თავიდანვე წინ გაიჭრა და ერთ მომენტში ოთხ წუთსაც კი უგებდა უშუალო კონკურენტს, მაგრამ ბოლოს კატარელი თითქმის დაეწია კარლოსს და ფინიშზე მხოლოდ 52 წამი წააგო.

ახლა „ფოლკსვაგენის" ამ ორ პილოტს შორის სხვაობა სულ რაღაც 5 წუთი და 20 წამია - დაახლოებით ასეთი დრო სჭირდება ერთი ჩაფუშული საბურავის გამოცვლას. ასე რომ, ავტომობილების კლასში არაფერია გადაწყვეტილი.

გარკვეული ცვლილებები მოხდა მოტომრბოლთა შეჯიბრში.

აშკარად შეწყვიტა ბრძოლა და მხოლოდ ფინიშზე მისვლაზე ფიქრობს ლიდერი **სირილ დეპრე.** ფრანგმა ზედიზედ მეორე ეტაპი ჩააგდო და მხოლოდ მერვე მივიდა ფინიშთან. მან გუშინდელ ტრიუმფატორ **ფრანსისკო ლოპესთან** 17 წუთი წააგო, რის გამოც გენერალურ კლასიფიკაციაში დეპრეს უპირატესობა ერთ საათამდე დავიდა.

ჩილელმა ლოპესმა კი ამ წარმატებით მეორე ადგილზე გადაინაცვლა საერთო ჩათვლაში - მან ნორვეგიელი **ანდერს ულევალსეტერი** შეავიწროვა. ამ ორ მოტომრბოლს შორის ბოლო ორ ეტაპზე მეორე ადგილისთვის დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

გუშინდელ მიმოხილვაში ვწერდით, რომ **ფრანც ვერჰოვენმა** BMW-ის მოტოციკლებს 2001 შემდეგ პირველად გაამარჯვებინა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ჰოლანდიელი წესების დარღვევით მისულა ფინიშთან - ვერჰოვენმა ტრასის ნაწილი მოჭრა და ამით მდგომარეობა გაიმარტივა. ასე რომ, BMW-ს გამარჯვება ჩამოართვეს და პირველი ადგილი ამერიკელ **ჯონ სტრიტს** მიაკუთვნეს, რომელიც ეტაპზე მეორე იყო.

ბოლოსწინა მე-13 ეტაპზე დაკარის მონაწილეები 368-კილომეტრიან მარშრუტს დაფარავენ სან რაფაელიდან სან როზამდე. ეს იქნება მორიგი გამოცდა ქვიშიან ტრასებზე, სადაც, როგორც ამბობენ ნებისმიერი მონაწილე შეიძლება დაიკარგოს.

**XII ეტაპი**

**სან ხუანი-სან რაფაელი (476 კმ)**

**მანქანები**

1. კარლოს საინსი (ესპ, ფოლკსვაგენი) - +03:03.29; 2. ნასერ ალ-ატიიაჰი (კატ, ფოლკსვაგენი) - +00:52; 3. მარკ მილერი (აშშ, ფოლკსვაგენი) - +04:22; 4. სტეფან პეტერანსელი (საფ, BMW) - +10:49; 5. რობი გორდონი (აშშ, ჰამერი) - +10:56; 6. ნიკოლა მისლენი (საფ, მიცუბისი) - +17:58.

**საერთო ჩათვლა**

1. კარლოს საინსი (ესპ, ფოლკსვაგენი) - 42:47:24; 2. ნასერ ალ-ატიიაჰი (კატ, ფოლკსვაგენი) - +05:20; 3. მარკ მილერი (აშშ, ფოლკსვაგენი) - +28:12; 4. სტეფან პეტერანსელი (საფ, BMW) - +02:20:42; 5. გერლენ შიშერი (საფ, BMW) - +04:02:50; 6. კარლოს სოუზა (პორტუგალია, მიცუბისი) - +04:13:25.

**მოტოციკლები**

1. ფრანც ვერჰოვენი (ჰოლ, BMW) - 2:44.50; 2. ჯონ სტრიტი (აშშ, KTM) - +0.03; 3. ალენ დიუკლო (საფ, KTM) - +1.25; 4+2.26; 5+3.48; 6+3.49.

**საერთო ჩათვლა**

1. სირილ დესპრე (საფ, KTM) - 46:10.56; 2. ფრანსისკო ლოპესი (ჩილ, აპრილია) - +1:03.42; 3. ანდერს ულევალსეტერი (ნორ, KTM) - +1:04.55; 4. ელდერ როდრიგესი (პორ, იამაჰა) - +01:13:16; 5. დავიდ ფრეტინი (საფ, იამაჰა) - +01:40:12; 6. ალენ დიუკლო (საფ, KTM) - +01:53:25.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადა

ვანკუვერი 2010



# ოლიმპიური საიდუმლო

ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი თვით ადრე საიდუმლოდ რჩება გახსნის ცერემონიის სცენარი. საზეიმო ღონისძიების ალმასრულებელი პროდიუსერი ამ ფაქტთან დაკავშირებით აღფრთოვანებას ვერ მალავს - *„უნდა ვთქვა, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ ამ გარემოებით“*, - აღიარებს **დევიდ ეტკინსი**, რომელსაც ეკუთვნის 2000 წელს სიდნეიში ზაფხულის თამაშების გახსნის ცერემონიის დადგმა. ამ ეტაპისთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ვანკუვერის თამაშების გახსნაში 4 ათასი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

ეტკინსი დღე-ღამეში 20 საათს მუშაობს, რათა უნისონში მოიყვანოს უამრავი ადამიანის მუშაობა: ლოჯისტიკის თანამშრომლებიდან დაწყებული, ადმინისტრაციით დამთავრებული. სხვათა შორის, მეცადინეობა იმდენად წარმატებით მიმდინარეობს, რომ პროგრამის რამდენიმე ნომერი უკვე მზად არის და მათი რეპეტიციის აუცილებლობა აღარ არსებობს. *„ისინი იმდენად კარგად მუშაობდნენ, იმდენად მორჩილნი და პუნქტუალურები იყვნენ, რომ უნდა ვაღიარო: ამჯერად ჩემს განკარგულებაში იყო მოხალისეთა ყველაზე სასიამოვნო გუნდი, რომელთანაც ოდესმე მიმუშავია“*, - განაცხადა პროდიუსერმა.

ეტკინსი გახსნის ცერემონიის არც ერთ დეტალს არ ამხელს, მაგრამ აღიარებს, რომ სცენარის კონცეფცია კულტურის სხვადასხვა სფეროს 160 წარმომადგენელთან კონსულტაციის შემდეგ შემუშავდა. ასევე გათვალისწინებულია ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის რჩევები. ისევე როგორც სიდნეის შემთხვევაში, ეტკინსმა მუშაობისას გამოიყენა სოციოლოგიური კვლევის შედეგები - მან წინასწარ გაარკვია, რისი ნახვა სურდა ხალხს ოლიმპიადის გახსნის სპექტაკლის დროს.

*„იმასთან დაკავშირებით, რასაც ახლა ვაკეთებთ, ჩვენ საკმარისი ამბიცია გაგვაჩნდა, - აღნიშნა ეტკინსმა. - გადავწყვიტეთ მაყურებელს შევთავაზოთ არა ტრადიციული ცერემონია, არამედ განსხვავებული სანახაობა, რაც ყოველთვის იოლად არ აღიქმება აუდიტორიის მიერ.*

*„12 თებერვალს, საღამოს ექვს საათზე (თბილისსა და ვანკუვერს შორის სხვაობა 12 საათია) თქვენ შეგიძლიათ ჩართოთ ტელევიზორი და დარწმუნდეთ, რომ ოლიმპიურ სტადიონზე რაღაც განსაკუთრებული მოხდება“*, - დაადასტურა ვანკუვერის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **ჯონ ფარლონგმა**.

სპორტის მომავალ ზეიმზე (რომელიც, სხვათა შორის, პირველად გაიმართება დახურულ არენაზე - „ბი სი პლეისში“) უცვლელი დარჩება მხოლოდ პროტოკოლური მომენტები, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესების მიხედვით არის გაწერილი: სპორტსმენების ალლუმი, მტრედების აფრენა და ტრადიციული ფრაზა: „დაე, დაიწყოს თამაშები“.

■ ■ ■

ამასობაში, ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციაში კვლავაც თბილი ამინდია და ისევ გადაუღებლივ წვიმს. სამთო სათხილამურო სტადიონი დატბორილია. სამთო კურორტი, სადაც წლის მთავარი სტარტები უნდა გაიმართოს ფრისტაილსა და სნოუბორდში, დროებით დაკეტილია.

გასულ ზამთარში ანალოგიური პრობლემების გამო გაუქმდა მსოფლიოს თასის ეტაპი გიგანტურ სლალომში. თუმცა, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები ჯიუტად გაიძახიან: რომ დარწმუნებულნი არიან, რომ ამინდი ხელს ვერ შეუშლის 12-28 თებერვალს ოლიმპიადის ჩატარებას.

■ ■ ■

ოლიმპიადის წინ ადგილობრივმა მეცნიერებმა საიდუმლო სამეცნიერო გამოკვლევა ჩაატარეს. ამის მიზანი ისაა, რომ კანადელმა ათლეტებმა შინ რაც შეიძლება მაღალი შედეგები აჩვენონ. ცოტა ხნის წინ გამოცხადდა ახალი ტექნოლოგიის შესახებ, რომლის წყალობით შესაძლებელია ციგურების, თხილამურებისა და სნოუბორდების ხახუნის ძალის შემცირება. პროექტის ხელმძღვანელი გახლავთ კანადელი პროფესორი **სავას ხაციკირიაკოსი**.

მეცნიერის გუნდი სამი წელი სწავლობდა ციგურების, თხილამურებისა და სნოუბორდების ადაპტაციას პროვინციის ამინდის თავისებურებებთან. პროფესორის სიტყვებით, თხილამურების შემთხვევაში მათ ხახუნის ძალის 20 პროცენტით შემცირებას მიაღწიეს, რაც დაახლოებით ერთი პროცენტით გააუმჯობესებს დისტანციის გავლის საერთო დროს.

ჰოკეი

# სელიანეს კოივუს დაემატა, ფორსბერგის ტრავმირებულია

ერთიმეორის მიყოლებით იღებენ ტრავმებს ფინეთის ოლიმპიური ნაკრების წევრები. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლოს ანჯელესთან“ შეხვედრის დასრულება ვერ შეძლო „ანაჰაიმის“ ვეტერანმა ფორვარდმა **საკო კოივუმ**. მან ერთ-ერთ ეპიზოდში ტანის ქვედა ნაწილში მიიღო დაზიანება და პარტნიორების დახმარებით დატოვა მოედანი.

შეგახსენებთ, რომ ერთი დღით ადრე ყბა გაიტეხა „ანაჰაიმის“ კიდევ ერთმა ვეტერანმა ფინელმა **ტეემუ სელიანემ**, რომელსაც გუშინ ოპერაცია გაუკეთეს და სავარაუდოდ ეს ფორვარდი ვანკუვერში ვერ გაემგზავრება.

კოივუმ წელს 42 მატჩი ჩაატარა და 29 ქულა დააგროვა (10+19). ის ვანკუვერში ფინეთის ნაკრების კაპიტნად არის დანიშნული.

■ ■ ■

არ გაუმართლა შვედეთის ნაკრების ვეტერან თავდამსხმელ **პეტერ ფორსბერგსაც**. სახელოვანი ჰოკეისტის ვანკუვერში გამოსვლა დიდ ეჭვს იწვევს. ამ კვირას შვედეთის ლიგაში მოთამაშე ფორსბერგმა ნეკნის ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა ვადაზე ადრე დაეტოვებინა ვარჯიში. მისი კლუბის, „მოდოს“ ხელმძღვანელობამ უკვე გამოაცხადა, რომ ამ კვირას პეტერი ყინულზე არ გამოჩნდება და შესაძლოა, იგივე მოხდეს მომდევნო კვირაშიც.




გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **აფრიკის თასი** | |
| კოტ დ'ივუარი-განა | 3:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ანკონა-ლეჩე | 1:1 |
| **გერმანია** | |
| ბაიერნი-ჰოფენჰაიმი | 2:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ალემანია-კარლსრუე | 3:1 |
| პადერბორნი-ფორტუნა | 1:1 |
| უნიონი-ობერჰაუზენი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-არლი | 1:0 |
| სედანი-შატორუ | 1:1 |
| ტური-დიჟონი | 1:4 |
| ვანი-ნიმი | 0:2 |
| კაენი-ბასტია | 1:0 |
| კლერმონი-ნანტი | 2:0 |
| სტრასბური-ლავალი | 4:1 |
| **ბელგია** | |
| გენტი-კორტრიიკი | 2:2 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კოვილია-ბეირა მარი | 2:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ოლიმპიაკოსი-ეთნიკოსი | 2:0 |
| **უელსი** | |
| ბანგორი-სეფნი | 3:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ორლეანი-პარიზი | 94:90 (ო) |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-მეტალურგი (ნ) | 4:2 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ალბა | 3:6 |
| ვილახი-გრაცი | 2:3 |
| ლინცი-ოლიმპია | 4:1 |
| ზაგრები-კლაგენფიურტი | 4:2 |

| გერმანია | |
|---|---|
| აისბარენი-მანჰაიმი | 4:2 |
| ჰანოვერი-აუგსბურგი | 4:3 |
| დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 3:4 |
| იზერლონი-ჰამბურგი | 1:2 |
| კასელი-შტრაუბინგი | 1:2 |
| ფრანკფურტი-კიოლნი | 4:3 |
| **დანია** | |
| ფრედრიკშავნი-ოდენსე | 6:1 |
| ჰვიდოვრე-როდოვრე | 1:3 |
| ესბერგი-ოლბორგი | 4:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| მიკულაში-ნიტრა | 0:1 |
| პოპრადი-ტრენჩინი | 6:3 |
| სკალიცა-მარტინი | 1:4 |
| სლოვანი-ჟილინა | 7:1 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-კერპეტი | 4:1 |
| ლუკო-ტპს | 5:2 |
| იუვიასკიულა-ჰპკ | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-სლავია | 3:2 |
| ლიტვინოვი-ბუდეიოვიცე | 3:3 |
| პლზენი-ბრნო | 4:1 |
| სპარტა-ვიტკოვიცე | 2:1 |
| ზლინი-პარდუბიცე | 4:2 |
| ლიბერეცი-ბოლესლავი | 2:5 |
| **შვეიცარია** | |
| დავოსი-სერვეტი | 2:4 |
| რაპერსვილი-ამბრი პიოტა | 2:3 |
| ფრიბურგი-ლანგნაუ | 3:1 |
| ცუგი-კლოტენი | 6:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ოკლენდი** | |
| ისნერი-მონტანიესი | 6:2, 7:6 |
| კოლშრაიბერი-კლემანი | 3:6, 6:7 |
| **ATP. სიდნეი** | |
| გასკე-ბენეტო | 6:4, 7:6 |
| ბალდატისი-ფიში | 6:4, 6:7, 7:6 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| ერანი-პეერი | 2:6, 0:6 |
| მ. გარიგესი-ა. ბონდარენკ | 6:4, 3:6, 4:6 |
| **WTA. სიდნეი** | |
| ს. უილიამსი-დემენტიევა | 3:6, 2:6 |

## TV პროგრამა

### 16 იანვარი. შაბათი

**SPORT 1 (უკრაინა)**

16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკ-ლივერპული (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ბარნლი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბარი-ინტერი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-მაინცი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვოლფსბურგი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სანდერლენდი (LIVE).
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
23:45 იტალიის ჩემპიონატი. ბარი-ინტერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

11:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS134. საპორო. იაპონია (LIVE).
13:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
16:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
17:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. საფრანგეთი (LIVE).
23:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დეტროიტი (LIVE).
01:30 ამერიკული ფეხბურთი. NFL. პლეი ოფი. ნიუ ორლეანი-არიზონა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

13:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. 10 კმ. ოტეპიაია. ესტონეთი (LIVE).
16:10 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. 15 კმ. ოტეპიაია. ესტონეთი (LIVE).
18:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ბარნლი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი (LIVE).
00:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სევილია (LIVE).

**EUROSPORT**

12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS134. საპორო. იაპონია (LIVE).
13:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. 10 კმ. ოტეპიაია. ესტონეთი (LIVE).
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
17:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
18:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. მას-სტარტი. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
19:45 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ბენინი. ანგოლა (LIVE).
20:50 რალი. დაკარი 2010. XIV ეტაპი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ბენინი. ანგოლა (LIVE).
22:15 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-მოზამბიკი. ანგოლა (LIVE).
00:45 სნუკერი. მასტერსი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

13:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ორადგილიანი. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
14:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. 10 კმ. ოტეპიაია. ესტონეთი (LIVE).
17:15 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
22:00 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის სახეობები. სნოუბასინი. აშშ (LIVE).

### 17 იანვარი. კვირა

**SPORT 1 (უკრაინა)**

17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ჯენოა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-არსენალი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-პალერმო (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ჰემი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-დორტმუნდი (LIVE).
23:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ფილადელფია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

17:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ჰემი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-არსენალი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-პალერმო (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

12:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
14:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. საფრანგეთი (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
16:10 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
17:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. საფრანგეთი (LIVE).
19:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-დეპორტივო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

14:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები/კაცები. სპრინტი. ოტეპიაია. ესტონეთი (LIVE).
17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ჯენოა (LIVE).
21:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სპორტინგი (LIVE).
00:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ფილადელფია (LIVE).
03:50 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე. მელბურნი (LIVE).

**EUROSPORT**

12:05 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
13:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
16:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
18:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ჯგუფური ეტაპი. გაბონი-ტუნისი. ანგოლა (LIVE).
22:15 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ჯგუფური ეტაპი. კამერუნი-ზამბია. ანგოლა (LIVE).
00:45 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე. მელბურნი (LIVE).

**EUROSPORT-2**

12:30 ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
15:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები/კაცები. სპრინტი. ოტეპიაია. ესტონეთი (LIVE).
16:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. ნენდა. შვეიცარია (LIVE).
00:00 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის სახეობები. სნოუბასინი. აშშ (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე. მელბურნი (LIVE).

ფეხბურთი





# ჯიჯის საწუწუნო არაფერი აქვს

ტურინის „იუვენტუსის" მეკარის **ჯანლუიჯი ბუფონის** მეუღლე **ალენა სერედოვამ** იცის, როგორ ანუგეშოს საყვარელი ადამიანი. ჯიჯის დღეისთვის რთული პერიოდი უდგას: მუხლზე ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის, ხოლო მისი კლუბი იტალიის ჩემპიონატში ერთმანეთის მიყოლებით აგებს თამაშებს.

მეორე ბავშვის დაბადების მიუხედავად, სერედოვა ბრწყინვალე ფორმაშია, რაც მისმა მორიგმა ფოტოსესიამ დაადასტურა. ამჯერად ალენამ სურათები 2010 წლის კალენდრისთვის გადაიღო, თანაც გამოცემა მთლიანად პრაღაში დაბადებულ მოდელს მიეძღვნა.

ამ ფოტოების შემხედვარე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთი მეუღლის ხელში ბუფონის ყველანაირი საფეხბურთო პრობლემა მეორე პლანზე გადადის.





კალათბურთი

# არენასის საქმე ცუდადაა

## ვაშინგტონის ლიდერს ხუთწლიანი პატიმრობა ემუქრება



**გილბერტ არენასის** გახმაურებული საქმე დასასრულს მიუახლოვდა. სასამართლომ „ვაშინგტონ უიზარდსის" მცველს ბრალი წაუყენა იარაღის უკანონო ხმარებაში, ამას კი, შესაძლოა, ხუთწლიანი პატიმრობა მოჰყვეს. მაგრამ როგორც სააგენტო AP იუწყება, „უიზარდსის" ლიდერი აღიარებს დანაშაულს და ამან იქნებ გავლენა იქონიოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე, რომელიც დღეს გახდება ცნობილი. შესაძლოა, პატიმრობის ვადა შემცირდეს ან სულაც გილბერტს სხვა სასჯელი გამოუტანონ.

შეგახსენებთ, რომ არენასს „ვაშინგტონის" გასახდელში ცეცხლსასროლი იარაღი უპოვეს, გარდა ამისა, გილბერტმა და მისმა თანაგუნდელმა **ჯავარის კრიტერტონმა** ასევე გასახდელში პისტოლეტები მიუშვირეს ერთმანეთს, მიზეზი კი ბანქოს ვალი გახდა.

სხვათა შორის, პოლიციამ კრიტერტონის სახლი გაჩხრიკა, მაგრამ იქ ცეცხლსასროლი იარაღი ვერ აღმოაჩინა.

სპორტი და ტელეფონი

# უცნაური ჩემპიონატი

ამ დღეებში ნიუ იორკი მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობდა. ეს იყო ტურნირი მოკლე ტექსტური შეტყობინებების (sms) სწრაფად აკრეფაში. პირველობისთვის ათი ქვეყნის „სპორტსმენი" ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ამასთან, მსაჯები ქულების გამოყვანისას სისწრაფის გარდა კორექტურულ შეცდომებსა და წინადადებების წყობასაც ითვალისწინებდნენ.

საბოლოოდ, გამარჯვებული გახდა კორეული წყვილი - 17 წლის **ბე იენგ ჰო** და 18 წლის **ჰა მოკ მინი**. მათ 100 ათასი დოლარი დაისაკუთრეს. მეორე პრიზი და 20 ათასი დოლარი ერგოთ ამერიკელებს, მესამეზე იყვნენ არგენტინელები, მეოთხეზე - ბრაზილიელები.

ამერიკელმა „სპორტსმენმა", 16 წლის **კეიტ მურმა**, რომელსაც წამში 3.5 სიმბოლო შეჰყავს, აღიარა, რომ თვეში დაახლოებით 12 ათას შეტყობინებას გზავნის, მაგრამ ასეთი ურთიერთობა მას სულაც არ აშორებს რეალობასთან. *„შემიძლია sms ისე ავკრიფო, რომ საერთოდ არ დავხედო ტელეფონის კლავიატურას"*, - ამბობს მური. კეიტის ყველა მეგობარი ასევე ცხოვრობს, ხოლო ის, ვინც არ აღიარებს „sms-ცხოვრებას", მათგან გარიყული ხდება. *„როცა ვხედავ, რომ ვიღაცას არ გააჩნია ულიმიტო sms, მაშინვე გავიფიქრებ: ამ ადამიანს რაღაც არ აქვს წესრიგში"*, - ასკვნის მური.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




